


# დავით გელაძე



The image features a large, ornate title in a white, gold-edged script font. The title reads "ଓକୁଠାଳେଖା" on the top line, "ମୃତ୍ସା" on the middle line, and "ଗାନ୍ଧାରାକ୍ଷ୍ରମେହିବି" on the bottom line. The background is a warm-toned collage. It includes a faded photograph of a man with glasses and a suit, resting his chin on his hand. Overlaid on the background are several layers of faint, handwritten text in a cursive script, which appear to be historical documents or manuscripts.



დავით გერაძე

ლირიკულებს  
მუსა  
განმარტოებით...

ამონაკრები  
ძველი და ახალი შაირებიდან

1963 წ. ქუთაისი

ISBN 978-9941-0-0519-0



[www.facebook.com/Davit Getsadze](https://www.facebook.com/Davit Getsadze) - დავით ოქროპირის ძე გეწაძე

მხატვრული და კომპიუტერული გაფორმება - მერაბ გეწაძე

©Merab Getsadze. 2014

## „მე დავბრუნდები“

უნივერსიტეტის კედლებში შეგხვდებოდათ მუდამ სახემდიმარი და ალერსიანი, ბუბუნა ხმის და სანდომიანი გარეგნობის მქონე კაცი, რომელსაც ეოველთვის სტუდენტები ეხვივნენ გარს. ხშირად მინახავს გამოშების საღამოებზე აცრემლებული კურსდამთავრებული, დავით გერამესთან განშორება უველაზე მეტად რომ უმძიმდათ.

დავით გერამებ კარგი კეთლი დატოვა უველაზე, საღაც თავისი ხანმოკლე ცხოვრების გზაზე შეჩერდა – ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, სამამულო ომის ფრონტზე, ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში, უნივერსიტეტში...

ჩვენს ხელთ არის ახლა ლექსებით საჭერა რვეული, რომლის პირველ გეგრძნე აუტორი წერს:

„...როცა მოცლილ დროს ჩემი არქივი გადავჭერ და მველი ნაწერები გადავიყითხე, აზრად მომივიდა მათი შეკრება და ერთ რვეულში მოთავსება „სათანადო კომენტარებით“. მართალია, არც ერთი მათგანი არ მიძახნია იმის დირსად, რომ ლიტერატურის ფართო შარჩხე გავიდეს, მაგრამ მაინც იუს წარსული დღეებისა და საქმეების მოსაგონებლად“.

ირკვევა, რომ დავით გერამე ეოველთვის წერდა ლექსებს. წერდა მაშინაც, როცა პირტიველ ემაწვილს ჯარისკაცის ფარაჯა ეცვა და მაშინაც, როცა პროფესორის მანტია უმშვენებდა ბეჭებს, მაგრამ ისე დიდი და სწორი წარმოდგენისა იუო პოეზიაზე, რომ სიცოცხლეში, ახლობლების გარდა, არც არავისთან გაუმხელია და არც დასაბუქდად მიუტანია სადმე.

გვაპატიოს შენმა სულმა, შე კარგო კაცო, რომ გავკადნიერდით და შენი ლექსები გამოვაძეულეთ, რათა შენი განათლებული კვალი ამმხრივაც დასდგომოდა შენს უნივერსიტეტს.

**რევაზ მიშველაძე**

რუსთაველის პრემიის ლაურეატი

ავტობიოგრაფია

## დავით რძელავირის გენეალი

ახალი ქართული ენის კათედრის  
პროფესორი,  
ფილოლოგის მეცნიერებათა  
დოქტორი,  
დიდი სამამულო ომის მონაწილე,  
თადარიგის უფროსი ლეიტენანტი.

**მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.**

დავიბადე 1917 წლის 28 აგვისტოს ქ.  
ზესტაფონში, გლეხის ოჯახში.

1936 წელს დავამთავრე ბათუმის  
ინდუსტრიული ტექნიკუმი. ამის  
შემდეგ ვმუშაობდი ზესტაფონის  
ფეროშენადნობთა ქარხანაში.

1938 წელს სწავლა დავიწყე ქუთაისის  
ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ენისა და ლიტერატურის  
ფაკულტეტზე.

დაიწყო დიდი სამამულო ომი. 1941 წლის აგვისტოში, როდესაც მე-IV კურსზე ვიყავი  
გადასული, მობილიზაციის წესით გამიწვიეს წითელი არმიის რიგებში.

1941 წლის სექტემბრიდან 1942 წლის მარტამდე ვსწავლობდი თელავის სამხედრო  
სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ მომანიჭეს ლეიტენანტის წოდება და განმაწევს  
414-ე ქართულ დივიზიაში, ქ. ბუინაკში.

ვმონაწილეობდი დიდი სამამულო ომის ბრძოლებში. 1942-1943 წწ. სხვა სამხედრო  
შენაერთებთან ერთად ჩვენმა დივიზიამ გერმანელი ფაშისტებისაგან გაათავისუფლა ქალაქები  
და სტანიცები: იშჩორსკაია, მოზდოკი, პროხლადნი, პიატიგორსკი, გეორგიევსკი, მინვოდი,  
ნევინომისკი, ჩერქეზისკი, უსტლაბინსკი, ანაპა, ნოვოროსიისკი და სხვ. 1943 წლის დეკემბერში  
ბრძოლით გადავედით ყირიმის ნახევარკუნძულზე. 1944 წლის პირველ ნახევარში 414-ე ანაპის  
ქართულმა მსროლელმა დივიზიამ მონაწილეობა მიიღო ქერჩის, ფეოდოსიის, სიმფეროპოლისა  
და სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ნარმოებულ მძიმე ბრძოლებში, რის შედეგადაც  
დივიზია დაჯილდოვდა წითელი დროშის ორდენით, ხოლო 1367-ე ლეგიონს, სადაც მე  
ვმსახურობდი, მიენიჭა სევასტოპოლის სახელი.

1944 წლის მარტში ყირიმის ნახევარკუნძულზე მიმიღეს სკუპ წევრად.

1943 წლის თებერვალში დავიჭერი აზოვის ზღვის პირას, ს. კალაბატკაში. ვმკურნალობდი  
ქ. მახაჩკალაში, №4650 პისპიტალში. 1944 წლის თებერვალში დავიჭერი ქერჩის პლაცდარმზე  
და ვმკურნალობდი №1415 ევაკოპოსპიტალში. ამჟამად ვარ დიდი სამამულო ომის III ჯგუფის  
ინვალიდი, საბჭოთა კავშირის თავდაცვის სამინისტროს პენსიონერი.



ომის დროს ვმსახურობდი 414-ე ანაპის წითელდროშოვანი ქართული მსროლელი დივიზიის 1367-ე სევასტოპოლის ლეგიონის ჯერ 82 მმ. და შემდეგ 120 მმ. ნაღმსატყორცნი ბატარეის ოცეულის მეთაურად, ხოლო დროდადრო ამავე ბატარეის მეთაურის მოადგილედ.

სარდლობის საბრძოლო დავალებათა კარგად შესრულებისათვის მიღებული მაქვს მთავრობის ჯილდოები: წითელი ვარსკვლავის ორდენი (1943), დიდი სამამულო ომის ორდენი (1944 წ.), მედლები: “კავკასიის დაცვისათვის” (1944 წ.) და “გერმანიაზე გამარჯვებისათვის” (1945 წ.). დიდი სამამულო ომის დროს მივიღე უმაღლესი მთავარსარდლის 4 მადლობა ჩრდილოეთ კავკასიის, ტამანის ნახევარკუნძულის, ქერჩისა და სევასტოპოლის ბრძოლებისათვის.

ჩემი მცირეოდენი დამსახურების შესახებ დიდი სამამულო ომის ბრძოლებში ლაპარაკია შემდეგ წიგნსა და სტატიებში:

- ვ. ჯანჯლავა, 414-ე წითელდროშოვანი. თბ., 1968, (წიგნი). გვ. 392;
- ვ. ჯანჯლავა, სევასტოპოლისათვის ბრძოლებში. გაზ. “თბილისი” №62, 16.III. 1965.
- ვ. ჯანჯლავა, კალაბატკის გმირები, გაზ. “თბილისი” №196, 22.VII. 1967.
- ვ. ჯანჯლავა. შურისმაძიებელთა ცეცხლით. გაზ. “თბილისი” №273, 20.XII. 1971.
- რ. შამელაშვილი. დ. გენაძე-ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი. გაზ. “ქუთაისი” №71, 3.VII. 1971.

Р. Шамелашвили, Д. О. Гецадзе - Доктор Филологических наук. газ. “Кутаисская правда” №103 2.IX. 1971.

დ. მელაძე. მეგობრები ისევ მეგობრობენ. გაზ. “განთიადი” (კასპის რაიონი) №65, 30. V. 1972.

ამჟამად იწერება ყირიმის ნახევარკუნძულის განთავისუფლებისათვის წარმოებული ბრძოლების ისტორია, სადაც, ვფიქრობ ჩემი სახელიც იქნება მოხსენიებული.

1947 წელს დემობილიზაციის წესით დავბრუნდი საბჭოთა არმიის რიგებიდან და სწავლა განვაგრძე ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის IV კურსზე. იმავე წელს დამინიშნეს ი. სტალინის სახელობის სტიპენდია.

ინსტიტუტი წარჩინებით დავამთავრე 1948 წელს. 1948 წლის 1 სექტემბრიდან 1968 წლის თებერვლამდე ვმუშაობდი ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობაზე.

1968 წლის მარტიდან ვმუშაობ თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრაზე.

1954 წელს დამაჯილდოვეს “სახალხო განათლების წარჩინებულის სამკერდე ნიშნით”.

1953 წელს დავიცავი საკანდიდატო, ხოლო 1970 წელს სადოქტორო დისერტაცია.



**ინსტრუქცია**  
**1963 წლისათვის**  
**უვერტიურა**

დავიბადე 1917 წელს. 1925 წლამდე სწავლა—განათლებისათვის თავი არ შემინუხებია. მერმე წამიყვანეს სკოლაში. 1932 წელს დავამთავრე 7 კლასი. ვსწავლობდი კარგად. მეძახდნენ პირველ მოწაფეს.

სწავლა მაშინ იყო არეულ—დარეული. ამის მიზეზი შემდეგ გავიგე, როდესაც ინსტიტუტში პე-დაგოგიკის კურსი მოვისმინე.

იმავე წელს გამოცდები ჩავაბარე ბათუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში — მანქანათ—მშენებლობის განხრით.

პირველად ამ ტექნიკუმს ერქვა „სანავთო“, — რადგან კადრებს უმზადებდა ბათუმის გადა-მამუშავებელ ქარხანას. ეს სახელწოდება ჭირივით გვეჯავრებოდა. მის გაგონებაზე ყოველთვის მაგონდებოდა გვერდებშეჭყლეტილი და აქოთებული სანავთო, რომელიც ზესტაფონში დიდი ბუხ-რის უკან გვედგა „პადვალში“. მერმე „ინდუსტრიული“ დაარქვეს და სიხარულით ერთი თვის სტი-პენდია ერთ დღეში შევჭამეთ.

ტექნიკუმში სწავლა—განათლების საქმე კარგად იყო დაყენებული.

გვასწავლიდნენ პირველხარისხოვანი პედაგოგები (გარდა ზოგიერთი უბედური გამონაკლისი-სა) და საუკეთესო სპეციალისტები — ინჟინერები და ტექნიკოსები. მათი უმრავლესობა ქართუ-ლად ვერ ლაპარაკობდა, ამიტომ ლექციებს რუსულად გვიკითხავდნენ.

1932 წლის 1 სექტემბრიდან 1933 წლის 7 თებერვლამდე ცუდ დღეში ვიყავი. ზესტაფონში ნას-წავლი რუსულით ფონს ვერ გავდიოდი.

ვიჯექი, ვუსმენდი, ვერაფერს ვგებულობდი.

მერმე უცებ გამეხსნა გონება.

ტექნიკუმში ძალიან კარგი ამხანაგები მყავდნენ. ზოგი მათგანი ახლაც ცოცხალია, ზოგიც დი-დი იმის დროს ბრძოლის ველზე დაეცა.

ვსწავლობდი კარგად, მაგრამ არა მთელი მონდომებით.

განსაკუთრებით ძლიერი ვიყავი მათემატიკაში და ჰუმანიტარულ საგნებში.

ვერაფრით ვერ დავუდე გული ლითონებს, რკინებსა და მათს ხელოვნებას, არც მიყვარდა და არც მინდოდა.

ბათუმშივე იჩინა თავი ჩემი ბუნების გაორებამ, რომელიც დღემდე ქეციანი ეშმაკივით თან დამ-დევს

ძლიერ შემიყვარდა ლიტერატურა.

დღე და ღამე გასწორებული მქონდა წიგნების კითხვით.

ჭკუის დამრიგებელი არავინ მყავდა.

ზესტაფონშიც გატაცებული ვიყავი ქართული მწერლობით, ვწერდი პატარ—პატარა ლექსებ-საც:

კოლექტივის თავმჯდომარედ  
დავაყენეთ გრიშა  
და ვიფიქრეთ, საწყალ გლეხებს  
აწი არა გვიშავს.

ასე აისახა საკოლმეურნეო მოძრაობა ჩემს პოეზიაში.

ახლაც მკაფიოდ მახსოვს,

იდგა 1933 წლის 1 მარტი. მაშინ მეთექვსმეტე წელიწადში ვიყავ.

ისეთი მზიანი დღე გათენდა რომ სულს ახარებდა.

მარტოდმარტო დავადექი გზას „გარადვკისკენ“ და მთელი დღე ზღვის პირებზე ვიხეტიალე.

თან მქონდა პატარა ჯაყვა დანა.

ვთლიდი ჯოხებს და ვფიქრობდი. რაღაც ნეტარი დღე იყო.

შინ დავბრუნდი თუ არა, დავიწყე დღიურის წერა პატარა ბლოკით. მთელი დღის შთაბეჭდი-ლება იქ გადავიტანე.

დღიურების წერა შთამაგონა წიგნის წაკითხვამ: რექტორ ჩუდეცკის „მკვლელი იოსებ ლალიაშვილი“. იქ იყო დღიურებზე ლაპარაკი.

ვწერდი ყოველდღე.

დამიგროვდა უამრავი ბლოკით. მერმე ერთ დღეს შევყარე ბუხარში ამდენი ნაშრომ—ნადა-გი. ჩემმა დამ დაუწყო ჩხრეკა, უნდოდა ჩემი გამიჯნურების ამბავი გაეგო: გული მომივიდა და ამან გამოიწვია აუტოდაფე. ახლა გული მწყდება, მაგრამ რაღა დროსია.

ამხანაგებს ვუგონებდი სახუმარო ლექსებს.

სულით და გულით მინდოდა მწერალი გამოვსულიყავი, მაგრამ ვერც ტექნიკოსობას ველეოდი.

მახსოვს, ერთხელ ბათუმში ვიღაც გრაფოლოგი ჩამოხეტიალდა. ხელნაწერით მარჩიელობდა ხასიათის თვისებებზე. მეც გამისინჯა ხელნაწერი და დამიწერა შედეგი (ახლაც შენახული მაქვს), მაგრამ, სამწუხაროდ იქ არსად არაფერი ეწერა იმის შესახებ, რომ მე მწერლობის უნარი მქონდა.

ამან ძლიერ დამწყვიტა გული.

ჩემი დარდები ბიძაჩემს გავუზიარე. ისიც თავს მიქნევდა და ეშმაკურად იღიმებოდა.

1936 წელს დავამთავრე ტექნიკური, არც ისე ბრწყინვალედ. ვიმეორებ: ჩემი შესაძლებლობების მეხუთედიც კი არ მომიხმარებია ამ საქმისათვის. გული სულ სხვა მხრით მექაჩებოდა — ეს იყო, როგორც ვთქვი ლიტერატურა და მწერლობა.

იმავე წლის აპრილში გავმიჯნურდი.

ამან მთლად ამირია გზა—კვალი და ოცნებათა სამყაროში გადამაგდო.

შემიყვარდა მეზობლის გოგონა, ბავშვობიდანვე თანშეზრდილი.

გამიგეს.

შეიქნა ერთი ამბავი. მე რაინდულად ვიდექ ჩემს სიტყვაზე, მაგრამ ქალმა ვეღარ გაუძლო რეაქციის შემოტევას. ამან მასზე გული გამიტეხა და „საერთოდ, ყველა ქალის პრესტიჟი დასცა ჩემს თვალში“.

ვწერდი ლექსებს და ნოველებს უილბლო სიყვარულის გამო.

მერმე ესნიც დავწყი და თავიდან მოვიშორე.

1936 წ. ნათლიმამას პროტექციით მუშაობა დავიწყე „ფერომარგანეცის“ ქარხანაში.

ვმუშაობდი სხვადასხვა კანტორაში და საამქროში.

მერმე რაღაც ეშმაკად ერთი ლექსი დავწერე.

ვიღაცამ ეს ლექსი პარტბიუროს მდივანს მიუტანა.

ჩემი ახსნა—განმარტება რაღა საჭიროა, ძნელი დრო იყო. კომკავშირიდან გამომიძახეს და კინაღამ არ დამიჭირეს?

დავადევი ხელი და მოვუსვი თბილისისაკენ.

ეს იყო 1937 წლის შემოდგომაზე.

იქ დავიწყე სწავლა მოსამზადებელ კურსებზე.

ვცხოვრობდი დეიდაშვილებთან და ვკვდებოდი  
შიმშილით.

მაშინ დაიწერა ჩემი ლექსი „ტრაგედია  
უფულობით“.

ვეღარ გავუძელ შიმშილს და მოვუსვი  
ზესტაფონისკენ.

*Очень хорошо!*  
*Sehr gut!*  
*316 ЗМР. 22*

## ორიოდე სიტყვა ნინასნარ...

როცა მოცლილ დროს ჩემი არქივი გადავქექე და ძველი ნაწერები გადავიკითხე, აზრად მომივიღა მათი შეკრება და ერთ რვეულში მოთავსება „სათანადო კომენტარებით“. მართალია, არც ერთი მათგანი არ მიმართა იმის ღირსად, რომ ლიტერატურის ფართო შარაზე გავიდეს, მაგრამ მაინც იყოს — წარსული დღეებისა და საქმეების მოსაგონებლად.

კალმოსნობა ბავშვობიდანვე მიტაცებდა. ვწერდი, როგორც შოთა ამბობს: „სააშიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სათრეველად“. ვწერდი და ვთანგტავდი — ზოგი სხვებს მიჰქონდათ და ზოგი კი ქარს მიჰყვებოდა. შენახული მეათედიც აღარ არის დაკარგულისა, მაგრამ საბედნიეროდ, ამით არა დაჰკლებია — რა ჩვენს მადლიან მწერლობას. საუბედუროდ არც შენახული მატებს მას რასმე.

1935 წელს გაზეთ „კოლეგტივიზაციის“ თაოსნობით დაიწყო ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშების შეკრება. შეკრებილი მასალები იბეჭდებოდა ამავე გაზეთის ფურცლებზე. მეც ავდექი და ახლო სოფლებში ჩაწერილი რამდენიმე ლექსი გავუგზავნე რედაქციას. არ მეგონა თუ დაბეჭდავდნენ, მაგრამ ერთიც ვნახოთ და მოვიდა გაზეთი! ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა — შავით თეთრზე დაებეჭდათ: „აფრასიონ მერკვილაძე... ჩაწერა სოფ. საქარაში დავით გენაძემ!.. ვინ იცის, რამდენჯერ გადავიკითხე იგი.

გავიდა რამდენიმე თვე და „ლიტერატურულმა საქართველომაც“ გამოაქვეყნა ეს (უნდა გამოვტყდე!) სანახევროდ ჩემი და სანახევროდ ხალხური „აფრასიონ მერკვილაძე“. ამან მთლად აღმაფრთვანა და დიდად შემაყვარა ხალხური ზეპირსიტყვიერების მარგალიტების შეკრება.

იმ ხანებში ჩემს ტოლ — მეგობრებთან, ბიძინა გენაძესთან და ჭაჭუა კრავეიშვილთან ერთად, ფეხიფეხ შემოვიარე სოფლები საქარა, დილიკაური, სვირი... სატრფოს ნახვა არ გაუხარდება კაცს ისე, როგორც ჩვენ მოლექსე და მოშაირე გლეხების პოვნა გვიხაროდა. ბევრი რამ ჩავიწერეთ, მაგრამ ჩვენივე დაუდევრობით თითქმის ყველა დავკარგეთ.

მომდევნო წელს „აფრასიონ მერკვილაძე“ შეიტანეს ხალხური შემოქმედების კრებულში, რომელსაც „საუნჯე“ ეწოდება. „საუნჯის“ მეორე წიგნში სვირში ჩაწერილი ლექსი „სალდათობა“ იყო გადაბეჭდილი. ეს წიგნი ხელთ აღარა მაქვს. დანარჩენი ხუთიოდე ლექსი „კოლეგტივიზაციის“ სხვადასხვა ნომრებშია გაფანტული. მათი მოძებნა ისტორიის მომავალი მკვლევარებისათვის მიმინდია. აქ მხოლოდ ჩემი პირველი ნაბეჭდი ლექსი შემაქვს.

## ავრასიონ მერკვილაძე

აფრასიონ მერკვილაძეს  
თავი უკვდავი ეგონა,  
ოცი ტყვია მოახვედრეს,  
ფეტვის კაკალი ეგონა.

სტრაუნიკები შემოერტყნენ,  
კოლო-ბუზები ეგონა,  
რაზმელების შეძახება  
ტკბილი სიძლერა ეგონა.  
მკერდს სისხლი გადმომდინარე —  
წითელი ვარდი ეგონა,  
გულგანგმირული მოძენი —  
დაძინებული ეგონა.

ვეფხვივით დანავარდობდა —  
მტრები ჩიტები ეგონა.  
ხევში უსულოდ მძინარეს,  
თავი მინდორში ეგონა.  
საფლავში რომ ჩაწერის,  
თავი საფარში ეგონა.  
მდუღარე ცრემლებს ვაფრქვევდით —  
შუშუნა წვიმა ეგონა.\*



აფრასიონ მერკვილაძე.  
© ქართული სახლის ფოტოგალერეა/ლარსონის ფოტოგალერეა

\* — ამ რამდენიმე წლის წინათ ეს ლექსი ერთ-ერთ სასკოლო სახელმძღვანელოშიც ვნახე. მის პოპულარიზაციას, პირველ რიგში, აფრასიონის კარგმა სახელმა შეუწყო ხელი. ნამდვილი ვაჟუაცი იყო... ერთიც, სხვათა შორის: ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში წავაწყდი მე-14 საუკუნის ხელნაწერ სახარებას, რომლის უკანასკნელ გვერდზე აფრასიონის მინაწერი ვნახე. ზეპირად არ მასხოვს... აფრასიონი მადლობის გრძნობით ახსენებს სახარების უცნობ ვადამწერს — ჩვენი წარსული კულტურის უანგარო მუშაკს. ამ მინაწერმა მისი ავტორის ნათელი ვონება თვალწინ ვადამიშალა. კარგი მიქნია, რომ აფრასიონ მერკვილაძის მოსავონებლად ეს ლექსი არ დამიკარგავს.

...ვინ არ ყოფილა მიჯნური, სახმილი ვის არ სდებია?!... 18—19 წლისას მეც მომედო მიჯნურობის ცეცხლი და ბევრი ღამე თეთრად გამათენებინა...

„მარად ისმის ღალადისი:  
სიყვარული ძნელია;  
ვის ისარი მოხვდა მისი,  
მუდამ ცრემლის მღვრელია.“

მხურვალე ფიცი, საიდუმლო მიმოწერა, უღრმესი გრძნობები, თავბრუდამხვევი ფიქრები, ვარდისფერი ოცნებები — მარად ძველი და მარად ახალი ისტორია მიჯნურობით დამწვართა და დადაგულთა! სამი წლისგანმავლობაში ჩემი ჩანგის სიმებს ამური ანკრიალებდა, ლექსებში ვაქსოვდი დარდსა და სიხარულს.

მერე აირია მონასტერი... ჩვენ შორის ხიდი ჩაინგრა და ოცნებათა კოშკის კედლებიც გრუხუნით დაეშვა ძირს. ჩვენი გზები უთავბოლოდ გაიყარა და აღარც შეერთებულა. შინაურებისაგან გაჯავრებულმა, ჩემი დულცინეას უმტკიცობით გულდანყვეტილმა ლექსების კონა ცეცხლს შევუკეთე და რომანტიკულ ლანდებსაც დავემშვიდობე.

დიდი ხნის შემდეგ მხოლოდ რამდენიმე ლექსი ვიპოვე კიდევ, ბარბაროსულ „აუტოდაფეს“ გადარჩენილი. ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება დაუნდობლად განადგურებულ სამიჯნურო სიმღერებს... და მაინც ახლა, როცა ქუხილმა გადაიარა, ზედმეტად არ მიმაჩინა მათი აქ მოთავსება.

აი, ეს ფერმკრთალი ლექსებიც:

## თვალი მარიდე

სადაც კი მნახო გულდაჩაგრული, —  
გინდ ვიცინოდე, გინდ ცრემლებს ვღვრიდე,  
ნუ შემაშფოთებ და სიბრალულით  
სასოწარკვეთილს, თვალნი მარიდე!

არ მეშინია უღვთო სიკვდილის,  
არ შევუდრკები ავ ბედისწერას,  
ოღონდ მარიდე შავი თვალები,  
ნუ შემაგებებ ეშხიან ცქერას!

1936 წ. აპრილი

## ხალხურ მოტივზე

მხოლოდ უამია დილისა, მხოლოდ მთებია ნაბური...  
ღიმილს ღიმილი შეხვდება, გულს გული ამხანაგური.  
შეგხედავ ღიმილს მაგებებ, ვმაღლდები სიხარულითა  
და გზას მინათებ, ლამაზო, ტრფობის კაშკაშა ნათურით.  
„იამან გშობა შობითა, — იმღერის გული დამთვრალი,  
ღამე ნათელით შეცვალე, გაზაფხულითა — ზამთარი“.  
ნეტავ ვიცოდე რა გავსებს ესოდენ სიყვარულითა,  
შენი ვარსკვლავა თვალები ეგრე დამწველი რად არი?  
სამი დღე—ღამე ვერ გნახე, გულს აჩნდებოდა იარა,  
სამ ნათელ ღამეს მოჰკითხე, რა ტანჯვა გამიზიარა  
და გუშინ გნახე, შენც შეკრთი, ირმისა თავი დახარე,  
თვალები მესალმებოდა, ბულბულის ენა კი არა.

წაველ, დავშორდი იმ არეს, გული შენსკენვე მრჩებოდა,  
სახე ღვთიური, უზადო, ხსოვნაში მესარკებოდა.  
ვერ მოვითმინე, თვალები კვლავ შენსკენ გამოვაპარე;  
გახარებულმა ვიგრძენი, რომ გულმი ღარდი ქრებოდა.

1936 წ. 13.IX. ფერო.

\* \* \*

მწვანე ხის ქვეშ ელვარებს  
შენი შავი თვალები.  
მიცქერ, ვიწვი, ლამაზო  
რატომ არ გებრალები?!  
ზეცას მზე ალამაზებს,  
მეორე მზე აქა ხარ;  
გულს სევდით ნუ ამივსებ,  
წინ ვიაროთ მხარდამხარ!  
მე უშენდე სიცოცხლე  
გამიხდება წამებად,  
ცოცხლად ჩავალ სამარეს,  
ლოდი დამეფარება.

1936 სექტემბერი.

## რად გევარი

რად მემდური, რად არ მეტყვი,  
რად მარიდებ ჭურვავ თვალებს,  
გულს რად მივსებ ცრემლთა სეტყვით,  
რად არ მწყალობ, არ მიბრალებ?

გეფიცები, შენ ერთი ხარ  
ფიქრთა ჩემთა სულის მდგმელი.  
გახსოვს, გახსოვს რომ გითხარი:  
შენ ჩემი ხარ, მომე ხელი.

1936 წ.

## არა მჯერა

გინდ მომკალი, მხოლოდ ერთხელ  
შემაგებე ტკბილი ცქერა.  
რომ გამწირე სამუდამოდ  
არა მჯერა, არა მჯერა!

თვალთა შენთა მკრთალი შუქი  
სიზმრად ცხადად მელანდება,  
გულში შენი სიყვარული  
არ ჩაქრება, არ ჩაქრება.

რა კარგი ხარ, მაგრამ მე რა –  
ხომ გამწირე სამუდამოდ.  
ახლაც გინდა შემდურებით  
ეს სამი დღეც მომიწამლო?

კარგი ტურფავ, მაგრამ ერთი  
სადაც წახვალ, იქ გახსოვდეს –  
სიყვარულის გამწირველი  
ვერ იხარებს ვერასოდეს.

1936 წ.

\* \* \*

გულს ნატყვიარი გადუვლის, ანდა ჩაიყვანს სამარეს,  
მთებზე დადნება ყინული, ბარს ესტუმრება ნაზვარევს.  
მე შენი ტრფობა არ მტოვებს და აღარც მითხრის სამარეს,  
თვალებზე ცრემლი არ შრება, დავკვნეს, დავტირი სამ არეს.

\* \* \*

სადაც წავედი, თან მახლავს შენი თვალების კრიალი,  
ბულბულის ნანად მომესმის შენი ნაუბრის წკრიალი.  
სიზმრად მოდიხარ, ძილს მიკრთობს მაგ შავი თავშლის ფრიალი;  
გულს დარდად ჩამყვა: დაგვძახდა ვითომ ყორანი ტიალი.

1936 ოქტომბერი

# ლუვ გურებულები

ლუვ გურებულები! თუ წნევოთ, აუგ გურებულები,  
ნუ იხსები; თუ და მოუკიდა არჩების!  
ლუვ ზოროში! კვირი კი ნუ მუხტიში,  
აუ ქაუჩის კოუზი, ხვახა, ხუბ... აუ ქაუჩის გუკორი.  
უნი იჯიუში, მარტევი უდი იჯიუში  
ოფი ჭოჭოხასხე მამოსის უქიმ კრიტი.  
გაუ რერი უფაუ, არჩერა მუ რე იმრები?  
აუ უდი ვები... სინო ჭიათა ნუ არა, კანკრებ!

1936. მექობენი.

ამ თემაზე დაწერილი რამდენიმე ლექსი კიდევ მოიძებნება ჩემს არქივში. ისინი დაიბადნენ ზოგი ქუთაისში, ზოგი თელავში, ზოგი დაღესტანსა და ყირიმში... სხვადასხვა დროს და სხვადასხვა პირობებში. მათ აქვე შევხვდებით... ქრონოლოგიურ პრინციპს ნუ ვუდალატებთ!

1936 წლის 18 ივლისს დაიწყო სამხედრო-ფაშისტური აჯანყება ესპანეთში... უურნალ-გაზეთებს, რადიოს, წიგნებს შორეული მხრიდან მოჰკონდათ რესპუბლიკელთა გმირული ბრძოლის ამბები. მას სოვეს, როგორი გატაცებით ვსაუბრობდით ხოლმე მე და ჩემი ნათლიმამა ამ ამბებზე. შინაურები როგორც კი ერთად დაგვინახავდნენ, იტყოდნენ ხოლმე: „ნახეს ერთმანეთი, ახლა მთელი დღე მადრიდზე ილაპარაკებენ“. მართლაც ასე იყო. იმ ხანებში დავწერე ეს ლექსიც:

## ეპიროლ მომენტი

სისხლში აღმართეთ დროშა გმირულად,  
ესპანეთს ანთებს დღეს მისი ფრთები.  
სამშობლოს იცავთ თავგანწირულად,  
მტრის შემოტევას კლდესავით ხვდებით.  
ამაოდ ცდილობს ჯალათთა ხროვა  
მშრომელთა ძმობის გაცამტვერებას,  
ამაო არის ტყვიების თოვა:  
ვერ შებოჭავენ ბეღნიერებას.  
ისტორიის ჩარჩს ვერ შეაბრუნებს  
ნაძირალების ბოროტი ხელი.  
დამღად გაჰყვება ამ საუკუნეს  
სისხლით შესვრილი მათი სახელი.  
თქვენით ამაყობს დღეს ესპანეთი,

მადრიდის ბურჯის თქვენა ხართ მცველად,  
მტრის ურდოებით ბორკილშებმული  
თქვენგან მოელის ხსნასა და შველას.  
საკუთარ მკერდით უნდა დაჰფაროთ  
სამშობლოს ბედი და განთიადი,  
რომ მოიგონოს შთამომავლობამ  
ეგ თავგანწირვა, საქმე დიადი!  
მტრებს ეშაფოტი არგუნეთ წილად  
სისხლის აღებით, შურისძიებით,  
რომ გულგანგმირულ მოძმეთა ხსოვნას  
მუდამ ამკობდეთ ვარდით, იებით!

21. X. 1936 წ. ფერო.

ზაფხული იყო. ტექნიკუმი დავამთავრე და ზესტაფონში ვისვენებდი. ერთ დღეს ვანო ბიძიამ მითხრა, - ბათუმში მივდივარ, საქონელი მიმყავს მატარებლით და შენც წამოდიო. ჭკუაში დამიჯდა მისი ნათქვამი; ბათუმიდან დიპლომი უნდა ამომეტანა, სამგზავრო ფული კი არა მქონდა. თუ ბიძაჩემს წავყვებოდი, არც ბილეთი დამჭირდებოდა, არც არაფერი. კიდევ მეტი, „პრავადნიკობის“ ფულსაც ავიღებდი და შინ „გამდიდრებული“ დავბრუნდებოდი. დავთანხმდი... შევრეკეთ საქონელი ვაგონებში და გავნიერ ბათუმისაკენ, მაგრამ ვაი ასეთ გაწევას — სამი დღე მოვუნდით ჩასვლას. ისეთი სიცხე იყო, რომ ქვას ადნობდა. კინალამ დაგვიწყდა საქონელი, თითო ხარი ერთ დალევაზე სამ ვედრო წყალს სვამდა, ახლა ღორები!.. ყოველ გაჩერებაზე ასი ვედრო მაინც უნდა მომეტანა. ბევრი ვინანე, მაგრამ რალას მიშველიდა სინანული. როგორც იქნა ჩავედით ბათუმში, ჩავაბარეთ საქონელი დანიშნულებისამებრ, დიპლომიც ავიღე და დავბრუნდით უკან... ზესტაფონში იანგარიშეს, იანგარიშეს და ხუთი თუმანი მომცეს მანეთნაკლებ!.. ესეც დიდი კაპიტალი იყო მაშინ ჩემთვის... ხუმრობის ხასიათზე დავდექ და ამ მგზავრობის მოსაგონებლად ჩემს ორეულს ლექსიც კი დავუნერე:

ბედი წალმა შეტრიალდა,  
გულში დარდი ამომფხიკა.  
რაღა მინდა ამის გარდა:  
დამაყენეს „პრავადნიკად“.  
  
ზურგზე ვედრო, ჯოხი ხელში,  
ფეხზე ჯღანი, თავზე ჩვარი!  
გენაცვალე, ბიჭო ყელში,  
აღარა გაქვს ფიქრი, ჯავრი!  
  
აქეთ ჯიბე, იქით ჯიბე...  
ორივეა ცარიელი.  
ღორის მწყემსად დაგაყენეს –  
ამ ბოლო ღროს ტარიელი.

დაუყვები ბათუმისკენ,  
ობლად რჩება შენი რაში;  
ფულს იშოვი, გამდიდრდები,  
დატვირთული მოხვალ სახლში.  
  
ისმაილა გადამდგარა,  
დაგრჩენია მისი პოსტი;  
შენი ქება და დიდება  
გავრცელდება ხალხში ფოსტი!  
  
ვინც გაიგებს, მოგილოცავს,  
ვერას გავნებს აწი მტერი.  
„პრავადნიკო“ დათიელა,  
იყავ მრავალჟამიერი!

23. VIII. 1936წ.

მშრომელი ხალხის ტანჯული ცხოვრების თემაზედაც დამინერია ჩემს ახალგაზრდობაში რამდენიმე ლექსი. ერთი მათგანი ეს არის. მახსოვს, დიდი სურვილი მქონდა დამეწერა პოემა 1905 წლის რევოლუციის შესახებ, მაგრამ სურვილი სურვილად დარჩა, რადგან არც ცოდნა მეყო და არც პოეტური გაქანება. პოემის ნაცვლად, ცალკეული ფრაგმენტები შემრჩა ხელთ. ზოგიერთ მათგანს ქვევითაც ვნახავთ:

### მუშის სიმღერა

როცა მეფე ტახტზე იჯდა  
და ვეძებდით სიმართლესა,  
საბრძოლველად დარაზმულებს  
სასიმღეროდ გვქონდა ესა:  
„სად ვიყავით, ვინ არ ვნახეთ,  
ვის არ ვთხოვეთ მოწყალება,  
სულ ამაოდ ვივაგლახეთ  
ბედისწერის ახდა ნება!  
არვინ არის კარგის მთქმელი,  
ყველა უკან გვერეკება,  
მოგითმინეთ მოსათმენი,

გულში რისხვა ისარკება.  
გვჯერა – წვიმა გადიკარებს  
და მზეც გვტყორცნის თავის სხივსა,  
ვინც დღეს ახლოს არ გვიკარებს,  
ჩვენ წინ ვნახავთ დაჩოქილსა! “  
მოგიშორეთ განსაცდელი,  
განაღვერდა მჩაგვრელთ ხროვა,  
ღრო დაგვიდგა სანატრელი,  
დაგვივიწყეთ ტანჯვა-გლოვა!

11 მარტი 1937 წ. ქ. ზესტაფონი.

1937 წლის ოქტომბერში დიდი ზეიმით ჩატარდა შოთა რუსთაველის 750—ე წლისთავი. მანამდე აღფრთოვანებით ემზადებოდნენ მშრომელები, მწერლები, პოეტები, მეცნიერები... „კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ—ნახირაო“ — სახალხო ზეიმის ჩემი სიმღერა შევუერთე და დიდ შოთას ეს პატარა ლექსი შევკადრე:

## შოთა რუსთაველის

შენი ლექსი, სიბრძნით სავსე,  
ანათებდა ბნელ წარსულში...  
არ ხარ მკვდარი კვლავაც ცოცხლობ  
დიდო ბრძნო, ყველას გულში.  
ვინ ამოშლის შენს ნაწერში  
აზრს დიდებულს, სიტყვას მზიურს,

ვაჟგაცობით სავსე გრძნობას,  
დარიგებას ტკბილმშობლიურს?!  
დღეს ვზეიმობთ, შენ გიგონებთ  
სიამაყით, გულის ძერით,  
ვეფხვის ტყავი გადაგვიცვამს,  
და შენს ლექსებს მოვიმღერით.

## თავო ჩამო, ბეჭი არ გიშერია

ყოველივე სიზმარივით გათავდა,  
რაც აქამდე ძილში მეღანდებოდა  
ვისაც გრძნობა ანგელოზად ხატავდა,  
და ვისთვისაც ჩემი გული კვდებოდა.

ვით ქარბუქით ატანილი ფანტელი,  
ვით ფოთოლი მწუხარ შემოდგომისა,  
დაიფერფლა მოცახცახე სანთელი  
უტყვი მოწმე ჩემი მარტოობისა.

ვინ ვიგულო, ვინ იქნება, რომელი  
ფიქრთა ჩემთა მუდმივ თანაზიარად,  
ვინ განკურნოს სევდა განუზომელი  
და ჩემს გულში ჩარჩენილი იარა?

მხოლოდ ერთგან მოსვენება იქნება...  
მარადიულ დღეთა ჩუმი კავშირი.  
დასვენებულს, ამ ქვეყნიდან გახიზნულს  
გამიყოლებს ნებიერი ბავშვივით.

დავიწყება — ყოვლის უარმყოფელი,  
ძილი მშვიდი, უწყინარი ზმანება  
დრო ყოველგვარ ცოდვის მიმტევებელი  
და დაღლილი გრძნობის გარდაცვალება.

ჩემს სამარეს ყვავილები დაჰფარავს,  
ყოველ დამით ესტუმრება ფერია  
და ნიავიც ტკბილად დაიწკრიალებს:  
„თავო ჩემო, ბედი არ გიწერია!“

13 აპრილი, 1937 წ.

## მაზავრელი

მიძინებულა მიდამო, ჰქონის სუსხიანი ქარიო,  
შარაში ჩირაღდანივით გზას მიანათებს კვარიო.  
ნეტავ ვინა ხარ ლამაზო, რა არის შენი გვარიო,  
ნათლით პირგანათებულო, მიხვალ მტრედივით წყნარიო.

თავს დაგფარფატებს ფარვანა, მაღლით ვარსკვლავთა კრებაო,  
სხივს ფიანდაზად გიგზავნის და გზაზე გეფინებაო.  
შენთან წამოვალ ლამპარით, წავალთ — წინ გაგვიძლვებაო,  
ლხენით დაგვხვდება სოფელი და შენი ეზოს კარიო.

დედა დაანთებს შუა—ცეცხლს, რაღას დაგვაკლებს ქარიო,

მმები მოხდიან ღვინოსა, ყანწით შევხვდებით ალიონს,  
ვაჟკაც არ დავიწუნები, არც შენ ხარ ცუდი ქალიო.

ღამეს მოლხენით გავიტანთ და როცა გათენდებაო  
შურთხი მოწყდება მიწასა, მზისაკენ გაფრინდებაო,  
თან გაიყოლებს ჩვენ ფიქრებს და როცა დაბრუნდებაო,  
სანატრელ ამბავს მოგვიტანს, გული არ მოგვიკვდებაო.

4. XII. 1937 წ.

---

1937 წლის ზამთარი და 1938 წლის გაზაფხული თბილისში გავატარე. ძლიერ ხელმოკლედ  
ვცხოვრობდი. ეს ლექსი ნამდვილი სარკეა მაშინდელი ჩემი ცხოვრებისა. ამის შესახებ უფრო  
ვრცლად სხვა დროს მექნება საუბარი, ჯერჯერობით, და ნისლი ჰავარიავდეს.

### ტრაგედია უფალობით

გაზაფხულია.

ვცხოვრობ თბილისში  
კაცი, მოსული პროვინციიდან.

დიდი ხანია

ამოვეწერე  
იქ მცხოვრებელთა დავთარ—სიიდან.

თან მოვიტანე

ჩემი პასპორტი,  
უძრავ—მოძრავი ჩემი ქონება:  
ერთი შარვალი,  
საბან—ლოგინი  
და შელახული თავმოწონება.

ბაღებს ჩავუვლი

თავჩაქინდრული.  
მომწონს მდიდრული მათი მშვენება.

არ მყავს ნაცნობი,

არ მყავს მმაკაცი,  
ოხ, ღმერთო ჩემო, რა მეშველება!

ბოძზე გაკრული ჰკივის აფიშა:

„ოპერა!.. სცენა!.. კინოსურათი!..“

ჯიბეს მოვსინჯავ

და... ფიქრი ჩემი,  
მკითხველო, როგორ დაგისურათო?!

ხელში შემრჩება

ფერდაკარგული,  
ათასგან მყოფი და სევდიანი,

უკანასკნელი

ჩემი ქონება —  
გვერდმოხეული მანეთიანი!

გამეცინება.

გამოვბრუნდები,  
უფულობისგან მწარედ ვნებული  
და ვფიქრობ:  
„ნეტავ, ჩემი კოსტუმი  
არ იყოს ეგრე გახუნებული.

ან ფეხსაცმელმა

ნეტავ გაუძლოს  
ხუთგან მიღებულ მწვავე ჭრილობას.  
არ მიღალატოს,  
ან არ ეწვიოს  
ამ სიბერის უამს დაღრეჯილობა!“

მოსახვევებში

რესტორნებიდან  
ისმის ზრიალი ზურნის, დაირის  
და იბადება  
დუდუკის ხმაზე  
საიათნოვას ლოთი შაირი.

ყველგან — ქეიფი,

ყველგან — ლხინია,  
ირგვლივ—ვნებისდატრფობისდაღადი.  
მეც თუ სხვებივით  
ვერ მიღხენია,  
დამნაშავეა... ფული ქაღალდის!

აპრილი, 1938 წ. თბილისი.

1938 წლის 1 სექტემბრიდან ქუთაისში ვარ... ვსწავლობ პედაგოგიურ ინსტიტუტში. როვორც იქნა, მელიორსა კალაპოტში ჩადგომა. სწავლის დაწყების პირველ თვეებში დავწერე „პაბუას ანდერძი“ დარისპანი აქ პოეტურ სახედ არის გამოყვანილი; მისი პირით ჩემი ცხოვრების მომავალი, ასე ვთქვათ, პროგრამა და კრედო იყო გადმოცემული.

## ბაბუას ანდერძი

ბაბუაჩემი დარისპან,  
თმაჭალარა და მხარეგრძელი,  
მადლეგრძელებდა: „იცოცხლე,  
ქვეყნად ჩემდენ ხანს გაძელი!

სანამდე სული გიდგია,  
მკვდრებში არ გაერეოდე.  
მამულიშვილი კაცი ხარ,  
უნდა მხეობდე, მზეობდე!

მოყვარე არვინ დაკარგო,  
მტერს ნუ მოაკლებ მტერობას;  
ნუ მისდევ კვეწნას, ქადილსა,  
ენითა ათასფერობას.

რაცა სთქვა, იყოს ნათქვამი,  
კაცისთვის გასაგონები;  
ნუ ცდილობ ძალით მოსწონდე,  
მით უფრო მოეწონები!

მამა—პაპათა საფლავებს  
ნუ დაამადლი ხსოვნასა,  
ვერსად ვერ ჰპოვებ, ნუ ცდილობ,  
მათზე ძვირფასის პოვნასა!

დღეს აქ ხარ, ხვალ იქ იქნები,  
ზეცის ცვარ—ნამით ნამული.  
ერთი აქა გაქვს, — მეორე  
იქ გელოდება მამული.

პურს სჭამდე, ღვინოს დალევდე,  
მათ ახსენებდე გულითა!  
მათი ძვალი ხარ, ხორცი ხარ,  
ცოცხალ — მათივე სულითა:

მათი ღუღს სისხლი ძარღვებში,  
ფესვი — მაგარი მუხისა,  
მას ნიაღვარიც ვერ მოთხრის,  
არ უშინდება ქუხილსა.

ქალი ითხოვე, ბაბუა,  
ოჯახიშვილი, მზიანი;  
ავის და კარგის გამრჩევი,  
გამრჯე და თავაზიანი;

ზრდილსა და სტუმართმოყვარეს  
გავლა—გამოვლა შვენოდეს;  
არც შენ გწუნობდეს, არც მისი  
ქმრობა შენ არა გრცხვენოდეს!

შვილნი დაზარდე ვაჟკაცნი,  
ჩვენი სამშობლოს მცველადა,  
მოკეთის შემწედ, ქომაგად  
და მტრების დამაქცევრადა!..“

კიდევ მეტყოდა ამგვარებს,  
ღვინოს შესვამდა ჯამითა.  
მისი ნათქვამი თან მახლავს  
მუდამ, დღისით თუ ღამითა.

დრონი წარვიდნენ... ბაბუას  
თქმული ვერ დაასამარეს,  
თუმც დაპბიბინებს ბალახი  
მის დაუვიწყარ სამარეს.

არ ძალუქს პაპის ანდერძის  
დაფარვა მწვანე მდელოსა.  
მეც შევსვამ ისევ იმ ჯამით  
შვილიშვილთ სადღეგრძელოსა.

ეგების, ჩემი ნათქვამიც  
სამშობლოს წაეშველოსა.  
მისნი ვართ, მისთვის დავწყდებით,  
დიდება საქართველოსა!

13. X. 1938წ. ქუთაისი.

ინსტიტუტში ჩემთან ერთად სწავლობდა ზესტაფონელი გუგულა გაჩეჩილაძე. ამ ცისფერთვალება, ოქროსფერკულულებიან, გულკეთილსადასაკმაოდნაკითხქა-ლიშვილს მალე დავუახლოვდი და დავუმეგობრდი. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა, მაგრამ ჩვენი სახელმისამართი მეგობრობის დროშა არც ერთს არ დაგვიხრია ძირს. ახლაც ხშირად ვხვდებით, წარსულს ვიგონებთ, ანმყოზე ვმსჯელობთ, ისევ ძეველებურად ვხუმრობთ, ვიცინით და რაღაც აუნერელი, სასიამოვნო გრძნობით ვშორდებით ხოლმე ერთმანეთს. ასეთი კარგი ადამიანები რომ არ იყონ ჩვენ გარშემო, მთელი ქვეყანა ციხეს დაემსგავსებოდა.

წინათ მისთვის მრავალი ლექსი დამიწერია. ერთ—ერთი მათგანი ესაა. მახსოვს, რაღაცაზე მოვაყვანინე გული, ძალიან მოწყენილი იყო. მგონი, კიდეც იტირა. გუგულა და მოწყენა?! ავდეჭი და ეს ლექსი დავუნერე. მოეწონა და შემირიგდა. აი, ასეთი ძალა აქვს პოეტურ ქმნილებას, თუ მისი შემოქმედი ჩემსავით მარჯვედ იქნება!

## გუგულას

არა, სიზმარი აღარ გამართლდა  
და საიმედო ჩაქრა სანთელი.  
სევდამ შენს გულში კოშკი აღმართა,  
გტანჯავს დარღები გაუფანტელი.  
  
ბაგეს ღიმილი არ დასთამაშებს,  
თვალები შენი აღარ მზიანობს.  
რატომ არ გვეტყვი, რა დაგიშავეთ  
რად დაგვიღუმდი, რად არ ხმიანობ?!  
  
რომელმა სეტყვამ დასეტყვა ვარდი,  
რომელი ფიქრი სახეს გიღონებს?!  
ამდენი ფიქრი, ამდენი დარღი...  
ცეცხლად ედება ლექსის სტრიქონებს.  
  
არა, ცრემლები შენს წამწამებზე  
უჩვეულოა და საკვირველი,  
როგორც ზაფხულის გიჟმაჟ არეზე  
ცივი და მკაცრი თოვლი პირველი.  
  
არა, შენ ეგრე როდი გჩვევია,  
დავფიქრებულვარ როგორც მისანი.  
შენს მხიარულ გულს რისხვა სწვევია,  
ვეღარ გიცანი... ვეღარ გიცანი!..

1937წ. გაზაფხული.

1940 წლის ზაფხულზე გუგულა წევაში ისვენებდა, მე კი ჩვენი კუთხის ახალგაზრდებთან ერთად კოლმეურნეობაში ვმუშაობდი. ეს იყო ჩემი კურორტიც და აგარზაკიც.

ამ ლექსის დაწერა გუგულას წერილების დაგვიანებამ გამოიწვია, სხვა ცნობებს თვით უსტარში ვიპოვით.

## წერილი, რომელსაც გაგზავნა არ უდერია

ვარ ყველასგან დავიწყებული,  
მიტოვებული ბედის ამარა.  
მხარზე თოხი მაქვს გადადებული  
და შუბლს მიმშვენებს ოფლის კამარა.

შენც დამივიწყე... შენი სიცილი  
არ მაღხებს, არ მწერ გულთბილ ბარათებს.  
ზაფხულში ვკვდები ზამთრის სიცივით,  
უშენოდ მზეც კი აღარ ანათებს.

საით წახვედი? სად რა შევთვალო?  
გული წაიღო ფოსტისკნ ცქერამ –  
რა იქნებოდა, ჩემთვის, შე ქალო,  
ერთი უსტარი რომ მოგეწერა?!

მთვარე მაგ შენი თმების ფერია,  
ზეცა მიცქერის ირმის თვალებით.  
ნატვრით ჭაღარა გამომერია,  
მაღე მშვილდივით მოვირკალები.

მოგონებებში ჩავიძირები,  
ფიქრების ნავი რომ შევაჩერო;  
რა ვქნა, დამითაც არ მეძინება,  
დღისით არ ვეძებ გრილსა და ჩეროს.

როგორ შევბოჭო სევდის მდინარე,  
როგორ დავაწყო ლექსთა კონებად,  
ან როგორ შევძლო, ჩემი ნაწერი  
ღირდეს შენს გულში ჩასაგონებლად?!

შენც კარგად იცი, არ ვარ ჰაინე,  
არც ბრიტანელი ღმერთი მგოსნების,  
რომ უფიქრელად და არხეინად  
შევძლო გამოთქმა ჩემი ოცნების.

ჩემს კალამს ჟანგი მოჰკიდებია,  
თორემ პოემის გმირად მინდოდი.  
არ მიყვებოდა ზღაპრებს ბებია –  
პოეტი როგორ გამოვიდოდი?!

სხვა რაღა გიხრა, ჩემი სათქმელი  
პატარა ლექსში როგორ ჩავტიო?!

კაცს შენმა ნატვრამ მომწყვიტა წელი  
და რითმებზედაც დამე ვათიო?!

აგვისტო. 1940 წ. ზესტაფონი.

1939 წელს დაწერილი, მხოლოდ ერთი ლექსი ვიპოვე კიდევ. ესეც რაღაც აბდა—უბდა, სიმბოლისტურ—ფუტურისტული. აღარ მახსოვს, რამ დამაწერინა... ნეტავ მთვრალი ვიყავი თუ ფხიზელი?! სათაურიც რომ „დალაგებული“ აქვს: „შემოდგომა და მეცნიერება“ (?!)... რაც არის, არის! იყოს მრავალფეროვნებისათვის.

## შემოდგომა და მეცნიერება

დათოვა მთები...  
გადაიწმინდა  
ზეცა მთვლებარე და წვიმიანი.  
მზეც გამოცოცხლდა —  
მის შუქზე ვთბები  
მე, არც სულელი და არც ჭკვიანი.  
აშრიალდება გზაში ტოტები,  
დაწვენილ ვაზებს  
ვკოცნი და ვაქებ...  
რა მენაღვლება,  
რა მედარდება,  
ლხინია იქით, ლხინია აქეთ!  
არ ვარ ვერტერი,  
არც ფაუსტივით  
დაფიქრებული და ნაღვლიანი.  
მე სხვა ვინმე ვარ,  
ხელში დამბაჩით  
არ დავეცემი შუბლსისხლიანი!  
გული იწვება,  
მინდა სიცოცხლე!  
მოდით, მომყევით მე ვარ მინდია!  
ღმერთი მიწყრება?!  
რა დროს წიგნია, რა დროს ლაყბობა?  
მასვით, სანამდე სული მიდგია!  
როცა იქნება,  
დამეძინება,  
ვერ გამაღვიძებს მაშინ ვერავინ.  
სანამ ვიცოცხლებ,  
მწვავდეს ოცნება  
და განმერიდოს ბედი — მზვერავი!  
დათოვა მთები...  
რა ლამაზია  
მათი მოწმენდილ ცასთან ღრეობა.  
დიდებულია,

თვალშეუვლები  
მათი გულმკერდი, ჯავშან — ხეობა!  
მეც მთასავით ვარ  
მიტოვებული,  
მაგრამ არ მტოვებს ბედი მტარვალი.  
ქარში, წვიმაში,  
დარში, ავდარში  
ფრიალებს ჩემი თეთრი შარვალი!  
ზოგჯერ ამანთებს  
მოუსვენრობა  
მაინც ვიძახი: — „რა სიმშვიდეა!“  
ყველამ დამტოვოს!  
მტერი, მოყვარე  
მე ფეხებზედაც აღარ მკიდია.  
ქარი... ნაგავი...  
სიცარიელე...  
რა საცოდავი სანახავია!  
დამისხით ისევ  
ჩემი მაჭარი,  
აღარ მცალია, აღარ მცალია!  
ფოთლები ცვივა, დგება ზამთარი,  
ქარი შეხვდება  
სტვენით ალიონს  
მე აღარ მცივა,  
და უდარდელად  
დინჯად ვაბოლებ თიხის ყალიონს.

1939 წ. შემოდგომა.

1940 წელს ჩემი ნათლულის ბიძაშვილმა თამარმა, დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტი და მისი სურვილის წინააღმდეგ, თბილისის ნაცვლად, ჩვენთან, ზესტაფონში დანიშნეს გერმანულის მასწავლებლად. თამრო ჯავრით აღარ იყო; შეგვიკლა ხელში მოთქმა—გოდებით, ჩვენ უფრო ვახელებდით და იყო ერთი სიცილ—ხარხარი. ბოლოს ლექსიც გამოვუთქვი „თბილისელი „ლერერინი“.

ეს ლექსი თამარს ისე მოსწონდა, რომ აღარ იშორებდა. მალე საწადელს მიაღწია და თბილისში გადაიყვანეს. იქ ყველას აკითხებდა, ვისაც კი იცნობდა. ერთ დღეს მისგან წერილი მივიღე, თუ თანახმა იქნები, „ნიანგში“ დაბეჭდავენო. მე რა მენაღვლებოდა, დავეთანხმე. მერე დაბეჭდეს თუ არა, არ ვიცი.

ასეთია „თბილისელი „ლერერინის“ ისტორია! სიმართლე რომ ითქვას, ზოგიერთი ადგილი ახლაც მომწონს — კარგად არის დაწერილი, ზოგი კი არ ვარგა — ტრაფარეტულია, თუმცა მე რად ვიწუხებ თავს?! ამას მომავალი კრიტიკოსები განსჯიან და პირუთვნელ განაჩენსაც გამოიტანენ ისტორიისთვის გადასაცემად.

## თბილისელი „ლერერინი“

თბილისიდან მასწავლებლად  
ჩამოვიდა ჩვენთან თამრო,  
მოიტანა კაბა, ტუფლი  
და წიგნები მთელი თარო.  
მოიტანა სევდით სავსე  
გული დარდით ანათროლი.  
ტირის: „გვერდით არავინ მყავს  
მეგობარი, თანატოლი.  
ოცნების მზე ჩაესვენა,  
სიხარულის დაშრა წყარო.  
დამიტირეთ მეგობრებო,  
იქვითინე გლოვის ზარო!  
ვის მივმართო, ვინ გამიგებს,  
აღარა ჩანს არსით შველა...  
დაუბნელდეს მას სიცოცხლე,  
ვინც ნათელი დამიბნელა.  
სად წავიდე, სად ვეძებო  
დაკარგული ნატვრის თვალი?!  
გზა ეკლით მაქვს დაფენილი,  
გულს მედება ცეცხლის ალი!  
აღარ ჟღერს და აღარ მალხენს  
მშობლიური ტკბილი ქნარი.  
ჩემი ბაღი გატიალდა,  
შიგ ყვავილობს ეკალ—ნარი!“  
აგონდება „მუშტაიდი“...  
„გალავინსკი“... დროსტარება...  
მეგობრები, გულის სატრფო,  
გაფრენილი ნეტარება.  
აგონდება ვალი, ტანგო...  
მოგონება წვავს და აღნობს.  
თბილისიდან გაღაკარგვა?!

„ახ, კაკ ეტო ნეპრიატნო!“  
ცრემლის ტალღამ გაიტაცა,  
წვალობს, არ ჩანს არსად ფონი:  
იქ — თბილისი მშვენიერი,  
აქ კი უშნო ზესტაფონი!  
როგორ გაძლოს?! ამაოა,  
ვანუგეშოთ, ხელი ვუწყოთ,  
სად მომხდარა, ბატონებო,  
რომ ცოცხლობდეს თევზი უწყლოდ?!  
ვის უნახავს ფარშევანგი  
საქათმეში ბაწრით ებას?!  
ან თამრიკო ზესტაფონში?!  
შაბაშ, მაგის მოთმინებას!  
ეგ ორღობეც ვიწრო, ბნელი  
მაღმაზელს გულს დარდით უვსებს;  
ღამით როგორ გაიაროს,  
ხომ წაიმტვრევს ტუფლის ქუსლებს?!  
დარდობს: „ყველა დამივიწყებს,  
წაიშლება ჩემი კვალი;  
მზე წარსულთან ჩაესვენა  
დამიბნელდა მომავალი!  
ვაჲ, თუ თბილისს ჩემს მეგობრებს  
გაუჭირდეთ ჩემი ცნობა  
და მათ გულში სამუდამოდ  
მეგობრული ჩაკვდეს გრძნობა!“  
ვეღარ შეძლო მწუხარების  
განქარვება, დავიწყება  
და უძილო ღამეების  
დარაზმულა მთელი წყება!  
აღარ ათბობს ჩვენს „ლერერინს“  
არც მზის სხივი, არც ანცობა. —  
მეც ვერაფრით ვანუგეშე,  
შერცხვეს ჩემი ვაჲკაცობა!  
რა ვქნათ, რომელ მკითხავს ვკითხოთ,  
ვით შევბოჭოთ თამროს დარდი?  
ან რა ხერხით ავაყვავოთ  
მის ბაღჩაში ია—ვარდი?!  
რა ვქნათ, როგორ შევაყვაროთ  
ეს პატარა ზესტაფონი?

ან რა რჩევა მოვიგონოთ,  
 მისთვის საქებ—მოსაწონი?  
 აღარ ვიცი... ნუდარ მკითხავთ...  
 თქვენთვის ნება მომიცია, —  
 სინჯეთ თქვენი მოხერხებაც,  
 შეაყვარეთ პროვინცია!  
 იგი მხოლოდ თბილის ნატრობს,  
 მას თბილისი ეტყვის ნანას;  
 ცოდვა აღარ მოასვენებს,  
 ვინც აქ ძალით მოიყვანა.  
 თბილისია მისი ლხენა,  
 ოცნებით იქ ასპარეზობს...  
 „პადუმაეშ“, ძლიერ უნდა  
 ჩვენი ცაცხვი, ჩვენი ეზო!  
 თბილისშია მისი ფიქრი,  
 იქ ლაღობს და იქ თამაშობს...  
 ზესტაფონი?! ტევრის სკოლა?!  
 „ო, გოსპოდი, ეტო სტრაშნო!“

რადგან მეც მკლავს მისი დარღი,  
 სახე ცრემლით დანასეტყვი,  
 ერთხელ კიდევ დავარიგებ,  
 საბოლოოდ ამას ვეტყვი:  
 „თამარ ხანუმ! მომისმინე,  
 არ გამიწყრე, გენაცვალე!  
 ხვალ დილასვე, თუ ღმერთი გწამს,  
 ზესტაფონი დაგვიცალე!  
 აქ სხვა ვინმეც გამოჩნდება  
 რომ გვასწავლოს ანი—ბანი...  
 შენი ხმისგან დაისვენებს  
 ჩვენი ყურის ბარაბანი!  
 დაიქცევა ზესტაფონი?!  
 ქვეყნად ხალხი ვინ დალია!  
 ბილეთს თვითონ მე აგილებ,  
 „პრაშჩაი და სვიდანია!“

24. VIII. 1940წ. ქ. ზესტაფონი.

## ეიციატურები

\*\*\*

ყველა რჩეული გამინაპირდა,  
 არჩევანში მყავს ახლა ხონელი.  
 ჩემი გრეთხენი, ჩემი მატილდა,  
 თვალმარგალიტი აუწონელი.  
 ის ბეატრიჩე არის ნამდვილად,  
 მე კი დანტე ვარ ზესტაფონელი.

\*\*\*

მოსაღამოვდა და ფერწასული  
 იწვის დაისი ცეცხლის ალებად,  
 უცქერს მზის ჩასვლას ერთი ასული,  
 როგორც საკუთარ გარდაცვალებას.

ემაზურების ზეტუბის რუბი,  
 ქომურის რუბი... ავტოსტრატეგი.  
 კატეგრიული მინისტრი შე წილები.  
 უსე რჩებულების ემავარევის.  
 ბერში სიმბორი წ ხეჭირი.  
 კუსოს რცხოცი. ჭრილებულა გუთბი.  
 კუსოს ჭრილები ვრაქის ურიკია,  
 ჭავჭავარის უქის ჭრილები.

1940. აკანი.

22 ივნისს დაიწყო დიდი სამამულო ომი. 28 აგვისტოს გამიწვიეს არმიაში. 1942 წლის მარტამდე ვსწავლობდი თელავის სამხედრო სასწავლებელში.

ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთი ლექსი დავწერე. აკი, ძველთაგანვე ცნობილია: „როცა ზარბაზნები გრიალებენ, მუზები სდუმან...“

### მისალოცი ვახერას დღეობაზე

დღეს შენს სურათს, შენს მაგივრად,  
ვეფერები, ვკოცნი, ვლოცავ...  
დღეს შორიდან, შორს წასული,  
დაბადების დღეს გილოცავ!

შენს ბარათებს ვესაუბრე,  
შენმა კილომ ნაღვლიანმა  
შემიცვალა ხასიათი,  
გული დამიდარდიანა.

დღეს არა ვარ შენს გარშემო,  
აღარ დარდობს შენთვის დარი!  
მე სადა ვარ, ჭაჭუ—სადა,  
ნათლიმამი საით არის?!

დღეეს შენს სუფრას ვერ შეამკიბს  
სადღეგრძელო, ჩვენგან თქმული.  
არ გაგართობს ჩემი ლექსი,  
დღეობისთვის გამოთქმული.

ვერც მაცინებ, ვერც გაცინებ,  
შუბლი რისხვით დასერილა.  
შურისგების წმინდა ფიცი  
მკერდზე სისხლით დაწერილა.

მე თუ ამ ფიცს ვუღალატო,  
ნუღარ მეტყვი ნათელ—მირონს,  
დამიბნელდეს განთიადი,  
ტყვიამ გული განმიგროს!

ცეცხლით უნდა ამოვბუგოთ  
საზიზღარი ჩვენი მტერი,  
რომ კვლავ ლხენით გაგითენდეს  
ოცდაოთხი დეკემბერი!



1941 წ. თელავი

რომ იფეთქოს განთიადმა,  
მზის სხივებით გათბეს ზეცა,  
რომ ეს მძიმე განსაცდელი  
ლხინით ვიზღოთ ათასკეცად!

.....

დღეს შენს სურათს, შენს მაგივრად,  
ვეფერები, ვკოცნი, ვლოცავ.  
დღეს შორიდან, შორს წასული,  
დაბადების დღეს გილოცავ!

24. XII. 1941 წ. თელავი

1942 წლის მარტში დავამთავრე სამხედრო სასწავლებელი. განმამწესეს 414—ე ქართული დი-ვიზიის ერთ—ერთ ლეგიონში ნაღმმტყურცნთა ბატარეიის მეთაურად.

დაიწყო ფათერაკებითა და თავგადასავლებით სავსე საპრძოლო ცხოვრება. 1942 წლის გან-მავლობაში მოვიარეთ ბულინაკსკი (თემირხან—შურა), მახაჩკალა, დაღესტანის რამდენიმე აული, ვედენი, გროზნო... პირველი საპრძოლო ნათლობა თერგის ნაპირებთან მივიღეთ და კარგა მაგრა-დაც შევირუჯეთ თოვის წამლით.

ლექსებს იშვიათად ვწერდი, ან კი რა მელექსებოდა! მხოლოდ რამდენიმე ლექსის სათაური შე-მოუნახავს ჩემს მაშინდელ ჩანაწერებს: „დაღესტნის მთებში“, „მთის მდინარე“, საქართველო და დაღესტანი“, „მისი ლამაზი თვალების მონა“. როცა აზოვის ზღვის პირას ვიბრძოდით, ტყვიამ მარ-ჯვენა ბეჭი გამიხვრიტა და ეს ლექსები ბრძოლის ველზე დარჩა.

საქართველოში წერილებს ხშირად ვაგ ზავნიდი. მიუხედავად იმისა, რომ ძლიერ ცუდ პირობებ-ში ვიყავით, ვცდილობდი წერილები სახუმარო ტონით მეწერა. ხან სასაცილო ამბებს ჩავურთავდი ხოლმე შიგ და ხან პატარ—პატარი იუმორისტულ ლექსებს. ეს ორი ლექსი მაშინდელ წერილებში ვიპოვე:

\* \* \*

\* \* \*

ზესტაფონზე ვოცნებობდი,  
გამიყენეს დაღისტანსა,  
მაგრამ ამას არ დავეძებ,  
თუკი შერჩა თავი ტანსა.

გავიტან, მკერდით გავანგრევ  
გერმანელების მარწუხებს –  
ნურც ჩემი დარდი გექნებათ,  
არც თქვენი დარდი მაწუხებს.

1942 წ.

---

1943 წლის 1 იანვარს მოზდოკის მისადგომებთან დაიწყო გრანდიოზული შეტევა. ბრძოლით გავიარეთ ქალაქები და სტანიცები, თვალუწვდენელი ტრამალები და ველები.

თებერვლის შუა რიცხვებში სულ ახლოს ვიყავით აზოვის ზღვასთან. აქ შეგვხვდა ერთ—ერთი უმძიმესი და უსაშინლესი ბრძოლა, რომელმაც ჩვენი დივიზია რამდენიმე თვით გამოიყვანა მწყობ-რიდან. 23 თებერვალს გამთენის ხანს, მეც დავიჭრი.

ბატარეიაში დავბრუნდი ივლისის პირველ რიცხვებში. დივიზია მალე კვლავ ჩაება ბრძოლებში. 1943 წლის დამლევს ქერჩის სრუტესთან ვიდექით. გაღმით მოჩანდა ყირიმის ნახევარკუნძულის ცეცხლის ალში გახვეული სანაპიროები. მეორედ დაჭრა იქ მელოდა... 1944 წლის 9 თებერვალს უკმბარის ნანსხვრევმა თავი გამიტეხა და ქუდიც უგზო—უკვლოდ დამიკარგა!

ქართულმა მწერლობამ დიდი დანაკლისი განიცადა: 1943 წელს აღარაფერი დამიწერია!

\* \* \*

1944 წლის 9 მაისს ავიღეთ სევასტოპოლი, 12 მაისს გავწმინდეთ ხერსონესის კონცხი. ამით დამთავრდა ყირიმის ოპერაცია.

1944 წლის 12 მაისის შემდეგ ჩვენს დივიზიას ბრძოლებში მონაწილეობა აღარ მიუღია. დავ-რჩით ყირიმის ტერიტორიაზე. ვანარმობდით პირადი შემადგენლობის სამხედროპოლიტიკურ სწავლებას, ვატარებდით მანევრებს, ვებმარებოდით ადგილობრივ მოსახლეობას.

თავისუფალი დრო საკმაოდ მრჩებოდა: ვკითხულობდი წიგნებს, ვანარმოებდი ჩანაწერებს, ვწერდი ლექსებსაც. 1944 წელსაა დაწერილი „სალამი საქართველოს“, „დაპირებათა მომავალი“, „მელალური“, „უფრო მეტი სიხარული“, „ფრინველთა გუნდი“. ამათგან „სალამი საქართველოს“ დაიბეჭდა ჩვენი დივიზიის გაზეთში — „სამშობლოს დამცველში“. ლექსის მოვაწერე ჩვენი ერთ—ერთი მებრძოლის, ლექსო სეხნიაშვილის სახელი და გვარი. ასეთია მისი ისტორია. დანარჩენი ლექ-სები კომენტარების ღირსად არ მიმაჩნია.

## სალაში საქართველოს

სალაში, ჩემო სამშობლოვ,  
სალაში საქართველო,  
შავი ზღვის პირას მდებარევ,  
საქებო, სანატრელო!

აუდებელო სიმაგრევ  
და მტრების გულის მკვლელო;  
ზოგან ზეცაში აჭრილხარ,  
სიმაღლით თვალის მჭრელო.

ზოგან ხვეულო, კლაკნილო—  
ქედებო, მწვანე მთებო;  
ზოგან კი ვაკედ გაშლილხარ  
ზურმუხტო მინდორ—ველო;

ნაირ—ნაირო ყვავილო—  
ხალიჩასავით ჭრელო!  
ოქროს და ვერცხლის მადანო,  
სიმდიდრევ ულეველო...

თავის დროდადრო მზე—წვიმავ,  
ავადმყოფთ განმკურვნელო;  
მოყვრის მოყვრულად დამხვედრო,  
გულუხვო მასპინძელო!

შენს დასაცავად წავსულვართ,  
დაგიცავთ სასახელოდ,  
ჩვენი გმირული ბრძოლებით,  
შენ უნდა გასახელოთ.

ვერ გაიხარებს მტრის გული,  
დღე დაუდგება შავი;  
უნდა გავულიტოთ, განვდევნოთ,  
ბოროტია და ავი.

გნატრობ და გნატრობ შორიდან,  
იმ ბედნიერ დღეს ველი,  
რომ მტერზე გამარჯვებულმა,  
კვლავ ჩამოგართვა ხელი!

სალაში ჩემო სამშობლოვ,  
სალაში საქართველო,  
ჩვენო გამზრდელო დედაო,  
დედისებრ სანატრელო!

1944 წ. ყირიმი.

## ვერისცვალება

ბაღში დავტოვე ერთი ყვავილი,  
დავემშვიდობე ცრემლმორეული.  
მან მწველი კოცნით დამაჯილდოვა  
და დამილოცა გზა შორეული.

მითხრა: „მიდიხარ... მე სიყვარულის  
ცივ სამარემდე ვიქნები მცველი,  
ჩემი ეკლები მექნება ფარად,  
რომ დაგხვდე სხვისგან ხელუხლებელი!“

წამოველ... წმინდა ნიშნად ვიახლე  
მისი სინაზე, მშვენება სრული,  
მაგრამ მან ფიცი გადაივიწყა  
და სამუდამოდ მომიკლა გული.

სხვას ბროლის მკერდი გადაუშალა  
და გახდა მისი მონა—მსახური.  
არც მე მივიწყებს... თურმე საჩუქრად  
ჩემთვის ეკლები აქვს შემახული!

20. X. 1944 წ. ყირიმი,  
ალტიპარმაკი.

## უფრო მატი სისარული

უფრო მეტი სიხარული,  
უფრო მეტი აღმაფრენა!  
მომენატრა სიყვარული.  
შენთან ერთად სმა და ლხენა!

ბაგე ბაგეს დაეკონოს,  
კოცნამ კოცნას უთხრას ქება;  
ცეცხლით სწვავდეს ჩვენს სარეცელს  
გიურ გრძნობის აფეთქება!

წელში მოხრილ სიბრძნის მამებს  
დავულოცოთ წიგნის თარო.  
შენც ჩემს ფიქრებს იმეორებ,  
დაიქუხე შვების ზარო!

ო, რამდენი მიდგას თვალწინ  
სისხლის ღვარი, ძვალთა ხროვა.  
მეც მოვკვდები და სიცოცხლე  
ხელმეორედ აღარ მოვა.

უფრო მეტი სიხარული.  
უფრო მეტი ჩანგთა ჟღერა;  
ტრფობის გარდა,  
ტრფობის გარდა,  
არათერი აღარ მჯერა!

10. VII. 1944 წ. უკრაინა

## მელადური

სტირის, მოსთქვამს მელადური,  
შვილს ეძახის დაკარგულსა,  
ნაღველი და მწუხარება  
არ ასვენებს დედის გულსა.

ხან ხეს ჰკითხავს შვილის ამბავს,  
ხან ყვავილებს, ხან ბალახებს,  
ცრემლი ალბობს ყვითელ კაბას,  
მგლოვიარე დედის სახეს.

მისი კვნესა უნუგეშო  
ისმის, როგორც გლოვის ზარი,  
ღრუბლად ეკვრის ცის კამარას  
და ველ-მინდვრად ფანტავს ქარი.  
„- შვილო, სად ხარ, ერთი სიტყვა  
დააბარე ქარის ქროლვას!  
დედა აღარ გაგონდება,-  
გაგიტაცა მტერთან ბრძოლამ.

ღამეს შენზე დარღით ვტეხავ,  
დღეც გამიხდა შვილო, ბნელი -  
დაგეძებ და ვეღარ გაოვე,  
შესრულდება სამი წელი!

გზრდიდი, ძუძუს გაწოვებდი,  
გიმღეროდი „იავ-ნანას“,  
გაიზარდე, ვზეიმობდი  
შევხაროდი ამ ქვეყანას.

წახველ, გული თან წაიღე,  
არ ჩანს შენი გზა და კვალი,  
დააობლე კარმიდამო,  
სახლი-ეზო, მიწა-წყალი!

შვილო, შენი მოგონება  
გახდა ჩემთვის გულსაკლავი;

ცოცხალი ვინ გამახაროს,  
მკვდარს ვინ დამიხუჭოს თვალი?  
ცრემლით ვნამავ მე, შენს აკვანს,  
შენს მშობლიურ არემარეს  
თუ ცოცხალი აღარ მყავხარ,  
რომ ვნახავდე შენს სამარეს.

მკერდზე მიწას აგაცლიდი,  
მოგკვდებოდი შენთვის შვილო -  
სიკვდილს შენთან გავიყოფდი  
სიცოცხლეზე უფრო ტკბილო.

შვილს დედის ხმა აღარ ესმის,  
დასწოლია მიწა შავი,  
მან გმირულად ბრძოლის ველზე  
მამულისთვის დასდო თავი.

მტერს დაუხვდა, ვაჟკაცურად  
შეაგება ბასრი ხმალი,  
არ დაუთმო სათრეველად  
მშობლიური მიწა-წყალი.

დაჭრილმა ზე აიწია  
და სთქვა ყველას გასაგონად  
ათვერ მომკლან, ასჯერ მომკლან,  
არ გავხდები სხვისი მონა!

დედის ამაგს, სატრფოს ნამუსს,  
ვინც არ იცავს, იყოს კრული.  
კპვდები, მაგრამ გამაცოცხლებს  
მე სამშობლოს სიყვარული!

ვინაც ნახოთ, გადაეცით  
ჩემი სიტყვა მშობელ დედას;  
გმირად მზრდიდა, გმირად ვკვდები  
გმირულ ბრძოლის ალაგზედა.

ზღვის გადაღმა, მთის გადაღმა -  
სითბოა, თუ თოვს და ჰყინავს,  
ვაჟკაცს მხნეს და შეუდრეველს  
სამუდამო ძილით სძინავს.

ნუღარ სტირი, მელადურო,  
ნუ შეგცვლია ყვითლად ფერი,  
გმირს, დაცემულს ვაჟკაცურად,  
ცრემლთა ფრქვევა არ შეჰქერის.

6 ივლისი, 1944 წ. ყირიმი.

## ვრიცხველთა გუდი

მზე ჩადიოდა... ყირიმის მინდვრებს  
ეპარქებოდა დამის ბინდ-ბუნდი;  
ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ  
ეშურებოდა ფრინველთა გუნდი.

ერთი ჩიტუნა მოწყდა მეგობრებს  
და ძირს დაეშვა ღონემიხდილი,  
ბედით განწირულს უცხო მხარეში  
უდარაჯებდა ავი სიკვდილი.

გუნდი კი თავის გზით მიფრინავდა,  
ზვრებს მთები ცვლიდა, მთებს კი ტყე-ველი,  
ათასთა შორის ერთის დაკლება  
იყო მცირე და შეუმჩნეველი...

მე ავიყვანე ხელში ჩიტუნა  
და ერთი ფიქრი მწვავდა, მდაგავდა,  
რომ მეგობრებმა მეც მიმატოვეს,  
რომ ჩემი ბედი მის ბედს წაპგავდა!  
ათასი ნახავს მშობლიურ ბუდეს,  
წარსული ისევ განმეორდება,  
მე კი შევჩერდი შუაგულ გზაზე,  
შინ აღარავინ მიმელოდება.

29. 10. 1944 წ. ყირიმი.

## დაკირებათა მომავალი

ჩემი საქმე კარგად მიდის,  
აგერ სამი წელია, —  
ყველასათვის საოცნებო,  
ნამდვილ სანატრელია!

ლხენა გულში არ ეტევა,  
სულ მთლად გარეთ გამოდის,  
სიხარულის ცრემლი ცრემლზე  
თვალზე ღვარად ჩამომდის.

რომელ სახლსაც დავინახავ,  
ჩემი სახლი მგონია;  
სადაც შინელს წავიხურავ,  
ყველგან ზესტაფონია!

არ სრულდება ეს გზა გრძელი,  
ზღვები, მთები, კორდები,  
მაგრამ რაც რომ შორს მივდივარ,  
უფრო გიახლოვდები.

ვნატრობ ჩვენი კუთხის ნახვას,  
ნიავს, ჩრდილებს, მზიგულებს.  
თუ ბერლინში ჩავაღწიე,  
ზესტაფონში მიგულეთ!

\* \* \*

წერილებს მწერთ ტუჩზე კოცნით,  
ათას რამეს მპირდებით;  
უშენობა გვაწუხებსო,  
უჩემოდ ქორწინდებით.

მეუბნებით: „არ გეწყინოს,  
მაღლა ღმერთმა იცისო,  
ჩამოხვალ და გაქეიფებთ,  
ქორწილი შენ გიცდისო.“

მიმარაგებთ ღვინოს, გოჭებს,  
ზურნას, დუდუკს, ჭიანურს,  
დავბრუნდები, მოვუნდები  
ქორწილებში სიარულს.

მაგრამ, ვაკ თუ ბედისწერამ  
ძველებურად მაწამოს,  
სამ წელიწადს ნაპატიჟევს,  
მჭადიც არვინ მაჭამოს!

\* \* \*

მაიმედებთ: „გულს ნუ იტებ,  
აქ ჩამოდი შვილო და  
არ დაგტოვებთ უსახლკაროდ,  
უძირ-უცოლშვილოდა.“

ამირჩიეთ საპატარძლოდ  
თამრო, მარო, უენია...  
თუმც ამდენხანს უცოლობა  
ძნელი მოსათმენია,

მაინც ვითმენ, უძიროა  
მოთმინების ფიალა,  
თუ ცხოვრებამ ბედის ჩარხი  
წაღმა დაატრიალა!

მაგრამ, ვაკ, თუ დაპირებამ  
ჩაიაროს უკვალოდ:  
ვერ ვიშოვო სიძის ჩოხა,  
დავრჩე ისევ უქალოდ;

მითხრათ: „შენი მაჭანკალი  
ვინ ყოფილა, ვინ არი?!  
სასიძოდ არ გამოდგები  
უქნარა და მძინარი!



მიაკითხე ნატოს, კატოს,  
თებროს, მაკოს ფუციას;  
თუ კოჭლი არ მოგათხოვონ,  
ვინ მოგიშლის ბრუციანს?!“

მეც მადლობას გადაგიხდით,  
წავალ, ვიწყებ ძიებას,  
არ მოვყვები სოფელ-სოფელ  
კითხვა—გამოძიებას.

ვინც შემხვდება, წამოვიყვან  
ქიოფით და ლხინითა.  
ქორწილს მე არ გადავიხდი,

ოქროპირის ღვინითა!

ნათლიმამი, მამამია,  
სოსო და სხვაც მრავალი,  
მწერენ: „მოდი, შენთვისაა  
ჩვენი ჭური, მარანი;

შენ ოღონდ სმა შეიძელი,  
რას გვიქვია ზარალი?!  
იმდენს გასმევთ, რომ იძახო  
ჰარი—ჰარი—ჰარალი!“

მაგრამ, ვაკ თუ სინამდვილემ  
ცრემლი დამაღვრევინოს,  
კოდის წყაროს ცივი წყალიც  
არვინ დამალევინოს!

მითხრან: „თოხი გამოპირე,  
ასეთი გვაქვს წესია:  
შენს მოყვანილს რომ გადაჰკრავ,  
უფრო უპეთესია!

სხვისმა ღვინომ თრობა იცის,  
შენმა — შეზარხოშება...  
ყველგან ქეიფს ნუ მოელი,  
სადაც მოგეხოშება!“

1944 წ. ყირიმი.

1944 წელს დაიწერა ეს სახუმარო ლექსიც „პეტრე სევასტოპოლელი“. მისი დაწერის ისტორია ასეთია:

ჩვენს ლეგიონში „OBC“-ის, ანუ ტანსაცმელ—ფეხსაცმელებით მომარაგების განყოფილების უფროსად მუშაობდა კაპიტანი პეტრე თ. როცა სევასტოპოლი ავილეთ და უკან ვბრუნდებოდით, პეტრემ გერმანელების რაკეტები იპოვა და თან წამოილო. მებრძოლები ამ რაკეტებს მოხერხებულად ხსნიდნენ, შიგ ჩაკეცილ აბრეშუმის პატარა პარამუტებს იღებდნენ და ცხვირსახოცებად ხმარობდნენ ხოლმე. პეტრემაც მოინდომა რაკეტის გახსნა, დაუწყო წვალება და იმდენი უჩინიანა, სანამ ხელში არ აუფეთქდა. სანიტრებმა პეტრეს ხელი შეუხვიეს და კისერზე ჩამოჰკიდეს.

ოფიცირებმა სასაცილო იშოვეს: პეტრემ სევასტოპოლან გერმანელების „დოტი“ ააფეთქა, ფრიცები გაწყვიტა, მაგრამ თვითონაც მძიმედ დაიჭრაო. ეს მით უფრო სასაცილო იყო, რომ პეტრე ფრონტზე არავის უნახავს; როგორც ეშმაკი საკმეველს, ისე გაურბოდა ცეცხლის ხაზს. როცა ლეგიონი იბრძოდა, ის იჯდა თავის საწყობში და უცდიდა, როდის წავიდოდით წინ ან როდის გამოვიქცეოდით უკან, დატვირთავდა თავის ფურგონებს და ჰაიდა!

ვნახოთ, ერთხელ მოვიდა ჩემთან კაპიტანი შიო თ. და მთხოვა პეტრეს ფათერაკთან დაკავშირებით ლექსი გამომეთქვა. მაშინ პეტრეზე გულმოსული ვიყავ — ასი წყვილი ახალი ჩექმა მიიღო, დაარიგა, მე კი ერთი წყვილიც არ მომცა. სამაგიეროს გადახდა მომინდა და შიოს ადვილად დავეთანხმე, ერთ საათში ლექსიც ჩავაბარე. შიომ ერთი ეგზემპლიარი პეტრეს გაუგზავნა საიდუმლო ბეჭედდასმული, დალუქული კონვერტით, მეორე კი ერთ მეჩონგურე კახელ მებრძოლს მისცა, რომელმაც ლექსი სასიმღეროდ გააწყო და ჯარისკაცთა კარვებში ჩუმად ღილინებდა ხოლმე. იყო ერთი სიცილ — ხარხარი!

განრისხებულმა პეტრემ ეჭვი ჩემზე მოიტანა და შემომიტია: „— შენ არ იცი მე ვინა ვარ, ერთი დაკვრით გაგაფრენო“. გუნებაში გამეცინა, არტილერიის იფიცერს ნიფხავ- პერანგის საწყობის გამგე მიპირებდა შეშინებას! მე ვუთხარი: „— წყნარად იყავ, თორემ ლეგიონის კი არა, მთელი დი-ვიზიის საჩინგუროდ გაგხდი, ისეთ რამეს დაგინერ! აბა, როგორ გეგონა, ასე იოლად შეგარჩენდი უჩექმოდ დატოვებას მეთქი?!“ ამ მუქარამ ისე იმოქმედა, რომ მართლა დაწყნარდა: „— კარგი, კარგი!“— თქვა და წავიდა.

ამის შემდეგ სულ სიცილით და სალამ—ქალამით მხვდებოდა ხოლმე, რაც კი რამ მოუგიდოდა საწყობში, პირველად მე მაძლევდა ხოლმე. ჩემზე კარგად ჩაცმული, ლეგიონში კაცი აღარ დადიოდა.

სახუმარო ლექსები, ამის გარდა, სხვებიც ბევრი მინერია. მიუხედავად იმისა, რომ მათი უმრავ-ლესობა ხელოვნების თვალსაზრისით არაფერს წარმოადგენს, ბევრს გვაცინებდა ხოლმე ლამ-ქრობისა და შესვენების დროს, ხანგრძლივ ბრძოლებსა და წუთიერ დროსტარებაში.

## პეტრე სევასტოპოლესი

პეტრეს გმირობის ამბავი საწერად მეტად მნელია:

ზოგი რას ამბობს, ზოგი – რას, ყველა დიდების მთქმელია.

შემეკრიბა და მეწერა, გამოდიოდა გრძელია,

შევამოკლე და დავწერე – საამოდ მოსასმენია!

„ზურგის ოფიცერს“ ეძახდნენ, ამაზე გული სწყდებოდა,  
იყო სიცილი–ხარხარი, კაცი დარდისგან ჭკნებოდა.  
სხვების გმირული ამბების მოსმენაც ეძნელებოდა,  
„გამიშვი, ფრონტზე გამიშვი!“ – მაღალ ღმერთს ეხვეწებოდა.

\*

სევასტოპოლს მიაშურა და მტრის წყვეტას მიჰყო ხელი,  
სადაც დაჰკრავს, მტკერი ასდის, დაკრულია ძნელზე ძნელი;  
ვერ აჩერებს ზარბაზანი, ყუმბარები, ტყვია ცხელი,  
მტერს იქ რაღა გააჩერებს, სადაც მივა პეტრე ძველი?!

თერთმეტ მაისს, დილით ადრე, „ოვეესში“ დაიბარა:

„— მე მივდივარ, თქვენ აქ დარჩით, მტერმა რაც ჰქნა, ისიც კმარა,

ან მათ გავულეტ, ან მომკლავენ, მან მოიგო, ვინც იჩქარა!“

გვენცამესაც გადასძახა: „— შემიკაზმე ცხენი ჩქარა!

ანდერძად ეს დამიგდია: – მოუარეთ საწყობს კარგად,  
არაფერი დამიკარგოთ, ჯანდაბას, რაც დაიკარგა!  
რაც გაქვთ, იმასაც დასჯერდით, სხვას ნურაფერს აიბარგავთ,  
თუ ბრძოლიდან ვერ დავბრუნდე, მომიკითხეთ, ნუ დამკარგავთ!“

\*

პორტის ახლოს „დოტი“ იდგა, „დოტს“ იცავდა ჯარი მტრისა,

კაცი ახლოს ვერ მიუდის, ტყვიამფრქვევი ცოფებს ყრისა.

ვესროდით და ვერ ავიღეთ, ყუმბარები ვერა სჭრისა,

პეტრემა თქვა: „— მე მიყურეთ, ამოგყაროთ ჯავრი მტრისა!

„პოპლასტუნსკი“ „დოტში“ შეძვრა, შიგნით დახვდა ათი კაცი,  
მუშტებით და მუჯლუგუნით გააცალა ყველას ქანცი.  
ცხრა მოახრჩო, მეათესაც გაუსწორა უცებ თვალი,  
რაკეტნიცა ესროლა და... თვით მოედო ცეცხლის ალი.

პეტრე იწვის, არსად არის ჩასაქრობად წვეთი წყალი,  
ვინც უყურებს, გაიძახის: „— სად იწვება ეს საწყალი!“

\*

ბოლოს მაინც გაიმარჯვა, წამოიღო დიდი დავლა,  
ცხრა ბატინკა, ცხრა შარვალი, სხვა მრავალი ხათაბალა.  
ერთი ათ კაცს გაუსწორდა, ამას ჰქვია გმირის ძალა  
უთოფოდ და უზარბაზნოდ ფრიცებს სული გააცალა.

დაჭრილია, პოლკს არ ტოვებს, თუნდაც მოკვდეს, არსად წავა...  
ლირსია და ფართო მკერდზე დაიკიდებს ორდენ „სლავას“.  
მისი ქება დაურჩება სევასტოპოლს, ბალაკლავას,  
პორტში ძეგლსაც დაუდგამენ, ეს ცხადია თავისთავად!

ქართველებიც მოვალე ვართ, პეტრე ვიცნოთ გმირთა გმირად,  
გადავრიცხოთ „ტილავიკი“ „სტრაევო“ კამანდირად,  
რომ საწყობის მაგიერად წინ გაუძლვეს ბატალიონს  
და რადიომ მისი ქება ჩაუტანოს მტკვარს და რიონს.

1944 წ. მაისი, ვერხნი-ჩორგუნი.

---

1944 წლის დასაწყისში ყირიმის ნახევარ-  
კუნძულზე გადავედით და შეტევისათვის და-  
ვიწყეთ მზადება.

სიკვდილის ანგელოზმა მიმართულება ბერ-  
ლინისაკენ აიღო... ფრონტი და ზურგი გამარ-  
ჯვების სიახლოვით ცოცხლობდა. ბრძოლის  
ველზე უამრავ წერილს ვლებულობდით. რო-  
გორ გვამხნევებდა ეს წერილები!

ერთ დღეს პოზიციაზე მომიტანეს ზესტა-  
ფონიდან გამოგზავნილი წერილი, ლექსად აწ-  
ყობილი და წითელ—ყვითელ ყვავილებით მო-  
ქარგული. ამ ბარათს ირას ამხანაგი — ელიკ  
დევდარიანი მწერდა. აი, მისი ასლი:

„დათიკოს!

სამშობლოსათვის თავდადებულ მებრძოლს,  
ჩვენთვის საამაყოს და პატივსაცემს — ძლვნად  
თაიგულის კონა.

გულწრფელი სალამი, გამარჯვება, ხანგრძლი-  
ვი სიცოცხლე, სახელის მოხვეჭა ... აყვავებულ

საქართველოში, ოჯახში, მეგობრებში გამარ-  
ჯვებული დაბრუნება.

## „პირვას ძმას, დავითს!

რა საამურად გალობს აქ შაშვი,  
რა ლამაზია ფოთოლზე ნამი!  
მხოლოდ ფოლადის კალმით წერის დროს  
არსით არ მესმის არავის ჩქამი.  
უკვე აყვავდა და გაზაფხულდა  
საქართველოში, ჩვენსა მხარეში.  
პა, ყვავილები, აქ რომ იზრდება,  
მათ არ აშინებთ მტრების თარეში.  
ეს სტრიქონები მე მოგიძლვენით  
და იმედია არ გეწყინებათ.  
პატივს მეგობარს, თან და-ძმობას ვცემ,  
წერის დროს შუქი მე მეფინება.  
თან პატივსა ვცემ სამშობლოს დამცველთ,

გულწრფელი სალმით ვიკითხავ ყველას,  
თუმც ბევრს პირადად მე თქვენ არ გიცნობთ,  
მაინც კარგია თვენს მიმართ წერა.  
ძმაო და ძმებო, იხარეთ ყველამ,  
თან გაახარეთ მშრომელთა მასა.  
მადლობას ვუძღვნი ჩემსა ძმას დავითს,  
მოკითხვითა რომ მე დამაფასა.  
ძვირფასო ძმაო, სასურველია,  
სასიხარულო თქვენი მხნეობა,  
ირას ძმას ყველგან მე პატივსა ვცემ  
და მისი კარგი გამეხარდება.  
ესეც იკმარებს... თავს არ შეგაწყენო,  
ლექსთა სტრიქონებს ვამთავრებ ამით,  
თუმც არ გცალია, მე პასუხს ველი –  
მშვიდობით ძმაო, ძვირფასო დავით!  
და საბოლოოდ ძმაო, გისურვებ  
გაგთენებოდეს დღენი მზიანი,  
გიძღვნის უცნობი, დად წოდებული –  
ელეონორა დევდარიანი.

13. III. 1944 წ.

ჩვენი ჯგუფი და ჩვენი დირექტორი გთხოვთ  
ორი სიტყვით შეგვატყობინოთ, თუ მიიღეთ  
ჩვენი სკოლის საჩუქარი თქვენდამი — წიგნი.

გულწრფელი სალამი თქვენს მებრძოლ მე-  
გობრებს.

გწერთ ირას ძვირფასი მეგობარი — ელიკო  
დევდარიანი.“

განა შემეძლო ამ წერილის უპასუხოდ და-  
ტოვება?

10 აპრილს დაიწყო გადამწყვეტი შეტე-  
ვა ქერჩთან. გერმანელები მორიელებივით ის-  
ხდნენ რკინა—ბეტონის სანგრებში მითრიდა-  
ტეს მთაზე. გამთენიდან დალამებამდე ცეც-  
ხლის და ლითონის ნიაღვარი მიმოდიოდა ორი-  
ვე მხრივ. ხანმოკლე შესვენების დროს ფანქარი  
მოვიმარჯვე და მუხტის შესახვევ ქალალდზე  
ლექსად დავწერე ელეონორას წერილის პასუხი.  
პასუხის ბოლო სტრიქონები: „— არ დამემდუ-  
რო, ეს ლექსი ბრძოლის ცეცხლშია ნაწერი“, —  
სრულიად შეესაბამება სინამდვილეს.

## ბარათი ბრძოლის ველიდან

გადაიფრინე ზღვა—ხმელი,  
ჩემო წერილო, ფრთიანო.  
მოვიდეს, გადაიკითხე,  
ოცნებავ — სახემზიანო!



მივიღე შენი ბარათი,  
მორთული თაიგულითა,  
კპოცნი... მეასედ ვკითხულობ  
გახარებული გულითა!

\*

მანდ გაზაფხული ყვავილობს,  
დარები გიდგათ მზიანი;  
ხებს სიმწვანე ამშვენებს,  
ველებს — ვარდნი და იანი.  
გადაგავიწყდათ ზამთარი,  
ავი ზუზუნი ქარისა;  
მოაქვს ლხინი და ზეიმი  
გამარჯვებათა ქარიშხალს.  
ხარბს მშობელი ქვეყანა,  
მისი მზე, მისი გზა—კვალი,  
გმირთა—გმირების გამზრდელი  
ჩვენი დიდების აკვანი.

\*

აქ ზარბაზნების სროლად  
და ყუმბარების გრიალი:  
ქარიშხლით ფრთებდაკოცნილი  
დროშა ამაყად ფრიალებს.  
ისმის ქართული ყიუინაც,  
მომდები ცეცხლის ალისა.  
ყირიმის ველებს ანათებს

ელვა ერეკლეს ხმალისა.  
რეინას და ფოლადს ადუღებს  
მახვილი ჩვენი ძალისა.  
\*

მახსოვს წარსული ცხოვრება,  
მშვიდი, წყნარი და მზიანი,  
როცა შრომობდა, სწავლობდა,  
ხარობდა ადამიანი.  
მოვიდა ურდო ველურთა,  
მთელი ქვეყანა არია.  
ბულბულის საგალობელზე  
დაპკიდეს გლოვის ზარია.  
\*

მაშინ მოგვიხმო სამშობლომ,  
მზეთამზე შველას ელოდა.  
თქვენი სახელით წავსულვართ,  
ვიბრძით თქვენს სასახელოდა.  
მტერს გავუთხარეთ სამარე,  
ბინძურს და ბოროტიანსა.  
ვინც ჩვენთან სამტროდ მოსულა,  
დღეს ვერ იხილავს მზიანსა.  
გულხარბი, პირსისხლიანი,  
კარზე მომდგარი მხეცადა –  
ნიავს ქარიშხლად მოიმკის  
და სიკვდილს – ათასკეცადა!  
\*

ნახვამდის!.. ჩემს საქართველოს  
გადაეც მხედრის სალამი.  
მისი სახელის ხსენებაც  
გულს ხვდება, როგორც მალამო.  
მინდორში სუფრა გაშალეთ,  
გვერდით მოიდგით ხელადა;  
დალოცეთ მისი მარჯვენა,  
ვინც დგას სამშობლოს მცველადა;  
ვინც მუხანათ მტერს აღუდგა  
უდრეკი, შეუპოვარი,  
ნაძრახ სიცოცხლეს არჩია  
სიკვდილი სახელოვანი!  
მათს ხსოვნას ჯიღად აღგია  
სამშობლო ზეცის ნაჭერი.

.....  
არ დამინუნოთ, ეს ლექსი  
ბრძოლის ცეცხლშია ნაწერი.

10. IV. 1944წ. ქერჩი.  
ყირიმის ნახევარუნძელი.

## ახალი ზელი

ეს ერთი დღეც მიიწურა,  
ბნელმა დაპკრა, დადგა ღამე,  
და ახალ წელს უცხოეთში  
ველოდები მთელი ღამე.

ღამეს აპობს მთვარის შუქი  
მყუდროებას ღელვა ზღვისა,  
გულს ამშვიდებს მოლოდინი  
უკეთესი მომავლისა.

ნუდარ ვიტყვით თუ ყვავილი  
ზამთრის სუსტით როგორ ჭკნება,  
რამდენ გულის ტკივილს ჰყარავს  
ვაჟგაცური მომინება.

რამდენმა რამ გაიარა,  
რამდენი რამ დამიწდება,  
ბნელი არის ჭრილობების  
სამუდამოდ დავიწყება.

თმას – ჭალარა, შუბლს – ღარები,  
გულს სხვა დარდი ეპარება,  
როდის აღარ დამჭირდება  
სხვასთან თავის შეფარება!

ახლაც სხვათა ქოხში ვზივარ,  
ძველს ვაცილებთ, ახალს ველი,  
მეცინება... ვიმეორებ:  
„ახალ წელი, ახალ წელი.“

თითქოს მესმის დედის ნანა,  
თითქოს ბავშვი ვიყო ისევ,  
მაგრამ არსად აღარ არის  
ის ბავშვური სიხალისე.

კაცი დიდი მდინარეა,  
აკლდება და ემატება...  
ნეტავი მას, ვინც ნათელი  
ბედისწერით იბადება.

ნეტავი მას, ვინც წარსულ გზას,  
შეხედავს შუბლშეუკრავად,  
ბავშვობას და ვაჟგაცობას  
არ ახსენებს ცუდად, ავად.

გამიგრძელდა საუბარი,  
უთქმელი კი ბევრი დამრჩა,  
ღარიბი ვარ, ვერ ჩავაცვი  
მე ჩემს აზრებს ატლას-ფარჩა.

1945 წლის 9 მაისს მთელ მსოფლიოს მო-  
ედო გერმანიის დამარცხებისა და დიდი სა-  
მამულო ომის გამარჯვებით დაგვირგვინე-  
ბის ცნობა.

მაშინ მანევრებზე ვიყავით. ამ სასიხარუ-  
ლო ამბავმა სევასტოპოლთან მოგვისწრო.  
განთიადი ზარბაზნების გუგუნ—გრიალით  
დაიწყო, მთელი დღე არ შეწყვეტილა ზეიმი,  
ლხინი და მილოცვები! ყველანი რაღაც ზე-  
ბუნებრივი ძალით განვიცდიდით ამ დიდი  
ხნის ნანატრ წუთებს.

ომის დამთავრების შემდეგ დაიწყო დე-  
მობილიზაცია. ყოფილი ჯარისკაცების გა-  
საცილებლად ოფიცრები გამოგვყვეს. მე  
ჩამაბარეს აზერბაიჯანელთა ერთი ჯგუფი  
40 კაცის შემადგენლობით. ჩავიყვანე ისინი  
ბაქოში და მერე რამდენიმე დღით ზესტა-  
ფონში ჩამოვედი. ეს იყო ივლისის ბოლოს და  
აგვისტოს პირველ რიცხვებში.

ყირიმში დაბრუნების შემდეგ ჩემი შთა-  
ბეჭდილებანი ლექსად დავწერე. დავარქვი  
„მოგზაურობა საქართველოში“. ახლაც ძა-  
ლიან კარგად მახსოვს ის მიწური, ევპატო-  
რიის მახლობლად, სადაც ორი ლამე გავა-  
თენე და ჭრაქის სინათლეზე დავწერე ჩემი  
მოგზაურობის ისტორია...



## მოგზაურობა საქართველოში

მე მივდიოდი საქართველოსკენ,  
თან მიმყვებოდა ფიქრების ჯარი,  
შორეულ გზაზე მეგებებოდა  
კავკასიოდან დაძრული ქარი.  
ვაკვირდებოდი ნაცნობ ადგილებს,  
ერთ დროს გადამწვარს  
ცეცხლით, მახვილით  
მაგონდებოდა ომი, სისხლის ღვრა  
დაჭრილთა კვნესა, ოხვრა, ძახილი...  
თვალწინ დგებოდა თერგი, მოზდოკი,  
ყინვა, ქარბუქი და განსაცდელი,  
იერიშის წინ ძმებთან შეხვედრა,  
გამოსალმება უკანასკნელი.  
როგორ ვნატრობდით იმ დღეს, იმ საათს,  
როს გამარჯვებულ მშობელ მხარეში  
ნანატრი დილა გათენდებოდა,  
აღიფხვრებოდა მტრების თარეში!  
ის დღეც გათენდა, მაგრამ მრავალი,  
მისი მსურველი და მონატრული,  
განთიადს ვეღარ ეგებებოდა,  
შავ მიწას მერდში ჰყავდა ჩაკრული.  
ვინ დაივიწყებს გმირთა სახელებს,

იცოცხლებს ხსოვნა მებრძოლ ძმებისა,  
როგორც ანდერძი საშვილიშვილო,  
როგორც გვირგვინი უკვდავებისა!

\*

აი, გამოჩნდა კავკასიონიც,  
გაიელვარეს თვალწინ ქედებმა.  
თითქოს ღრუბლები ცეცხლის ალია,  
თითქოს მყინვარწვერს ცეცხლი ედება.  
აღარ სრულდება, აღარ მთავრდება  
მწვერვალთა ჯაჭვი გაუწყვეტელი,  
ბარად კალთები ჩაუკეცია,  
ცად აღმართულა, როგორც კედელი!  
გულში ვნატრობდი, ზღაპრულ ამირანს  
კლდე გაენგრია, გზა გაეყვანა;  
კეღარ ვითმენდი: მთების გადაღმა  
მეგულებოდა ჩემი ქვეყანა!

\*

დერბენდს, კასპიას გავცდი, გავშორდი,  
ბაქოში ვიწმენდ ჩექმებს, ფარაჯას.  
რამდენი გზები გამოვიარე,  
საქართველო კი მაინც არა ჩანს!  
ცას ვაკვირდები,

მთას ვაკვირდები  
და სანთელივით ვდნები, ვღონდები...  
გული ვერაფრით ვერ დავაჯერე,  
რომ საქართველოს ვუახლოვდები.  
... და მეშინია: წინანდებურად  
სიზმრად არ იქცეს საქმე ნამდვილი;  
ვიცოდი, წასვლა რარიგ ძნელია,  
თურმე, არც მოსვლა არის ადვილი!  
მმებს ვესალმები, დებს ვეფერები,  
სად არ მიმაფრენს ფიქრთა ხვეული,  
გულჩახვეული ვღელავ ზღვასავით,  
თამბაქოს ბოლში ვარ გახვეული!

\* \* \*

აჰა, მოვედი!.. დაწყნარდი გულო,  
ჩემო ოცნებავ, გაშალე ფრთები!  
დღეს სიხარულით მივწვდები ზეცას,  
ცოცხლად სამოთხეს შევუერთდები.  
მოვესწარ!.. დადგა დრო სანატრელი –  
როგორ აღვწერო, რაც ვიგრძენ მაშინ? –  
თაიგულების სეტყვამ წამიღო  
და ჩავიძიორე კოცნათა ზღვაში!  
ნაცნობი ხმები მესმოდა ირგვლივ,  
მეფერებოდა ვიღაც ნახადა.  
ცა ვარსკვლავებით იყო შემცული,  
მიწა – გაშლილი ფიანდაზადა.  
კოცნა, მოხვევა, ბედნიერება  
და სიხარულის სპეტაკი ცრემლი...  
სულ ოთხმა წუთმა გადამავიწყა,  
ოთხი წლის ჭირი და განსაცდელი!

\*

გზაზე შემომხვდა მოხუცი მამა,  
მხრებში მოხრილი, თმაშევერცხლილი.  
არ გამიჯავრდა დაგვიანებულს  
და ისევ შვილად მიმიღო შვილი.  
დავასხით დვინო უხმოდ, უსიტყვოდ,  
უენოდ ითქვა ჩვენი სათქმელი.  
ჯერ მე მიცქირა... შეხედა ჭიქას  
და აუტოკდა მარჯვენა ხელი.  
მივუხვდი: მაშინ მან ღვინის ნაცვლად  
შესვა დიდი ხნის ნამალი ცრემლი.  
კიდევ დავლიეთ, მაგრამ დათრობა  
ასეთ წუთებში ყოფილა ძნელი!  
დედამ სახლ–კარი დასთმო, დააგდო,  
ჩემი ხმა შორით რომ გაიგონა,  
გადამეხვია: „– დაბრუნდი, შვილო?!”  
შემომბახა და გულს ჩამიკონა.  
როგორ დაზრდილან!.. ვეღარ ვიცან

ჩემი პატარა, ცქრიალა დები.  
სიცილ–კისკისით, ლხენით ჩემს ირგვლივ  
მიმოფრინავდნენ, როგორც მტრედები.  
მმებიც მოვიდნენ! გადავეხვიეთ  
და გადაეჭდო ხელებს ხელები.  
მათი არ ვიცი, მე კი იმ ღამეს  
მაგრად მტკიოდა გვერდის წკნელები.  
მეკითხებოდნენ:  
– „როგორ ხარ, ბიჭო?“  
– „ისე ვარ როგორც სტამბოლის კაჟი!  
გავფანტეთ ბნელი, ხარობს ნათელი,  
ღამეს ამარცხებს დილის რიჟრაჟი!“

\*

ბიძა, ბიცოლა, ბიძაშვილები  
და ნათლიმამი თავის ჯალაბით –  
კეთილი გულით შემხვდნენ, დამლოცეს  
და მიმაცილეს სახლის კარამდის.  
ეზო აივსო, გულიც აივსო  
სიხარულით და ბედნიერებით.  
სურდათ გაეგოთ თავს რა გადამხდა,  
მეც ვპასუხობდი შეუჩერებლივ.  
– საით იყავი? – როგორ ომობდი?  
სად იძინებდით, ზედ რა გეხურათ?  
– სად ღამდებოდა, იქ ვიძინებდით,  
წავიფარებდით შინელს გლეხურად!  
– ღმერთო, მამკალი! იმ სიცივეში  
არც ლები გქონდათ და არც საბანი?!  
... მე გამეცინა: – ასე ხელდახელ  
როგორ ამეხსნა ომის ანბანი?!  
თავიდან მეთქვა? ზლაპარი იყო  
მათოვის ოთხი წლის ჩემი ამბავი!  
– შვილო, პირველად რომ დაიჭერი,  
ვინ შეგიხვია, ვინ მოგიარა?  
– ხალხმა მიშველა, ხალხმა მიწამლა  
და ლუკმაპური გამიზიარა.  
შვილს დედა ისე როგორ მოუვლის,  
როგორც გვივლიდნენ რუსის ქალები?  
გაჭირვებაში რუსის ქალივით,  
ქვეყნად არავის შეებრალები!  
მამამ ულვაშზე ხელი გადისვა,  
ჩემს გასაგონად უთხრა ბიცოლას:  
– ეგ ისე აქებს, თქმა აღარ უნდა,  
რუსის ქალი ჰყავს შერთული ცოლად!  
შემომხედეს და გადიხარხარეს.  
– თუნდ ასე იყოს, რა მოხდა ვითომ?!

დედამ დასტური დამიკრა ხელად:

– ვის რა საქმე აქვს, მან იცის თვითონ!

– არა, შე ქალო, ითხოვოს, მარა –  
ქართველ ქალს სხვა აქვს შნო და ლაზათი.

ჩვენ სხვა წესი გვაქვს, რუსის ქალები  
სულ სხვა წესებზე არის ნაზარდი!  
... დაიწყეს ბჭობა... მეც საუბარში  
ჩამითრიეს და დამიმორჩილეს;  
ვინ არ მირჩიეს,  
ვინ აღარ მიქეს  
და ვისზე აღარ დამაქორწინეს!  
აპა, იყივლა სადღაც მამალმაც,  
ჩვენსას კი სჯაა და მასლაათი.  
მე თავს ისე ვგრძნობ, თითქოს დღე არის  
და არა ღამის სამი საათი.

\* \* \*

ძლივს ჩამებინა... განთიადის ხანს  
ნანად მესმოდა მუხის შრიალი,  
მამლის ყივილი, ძაღლების ყეფა,  
ცად აფრენილი ჩიტის წრიალი.  
დილის ცელქ სიოს მოჰქონდა ჩემთან  
მშობლიურ ბაღის ვარდთა სურნელი  
და მთელდებოდა გულის ჭრილობა,  
უცხო მხარეში განუკურნელი.  
მესიზმრა: სპეტაკ ღრუბელთა შორის  
მიმაქანებდა შორს ანგელოზი,  
ვუცქერდი ქვეყნებს უცხოს, ათასგვარს  
და ნატვრა მკლავდა საქართველოსი.  
დიდხანს ვემახდი მშველელს ამაოდ,  
ვტიროდი, ცრემლი ღვარად მდიოდა  
და ანგელოზის ფრთებზე მწოლარეს  
სული მეწვოდა, გული მტკიოდა.  
ღრუბლებში, როგორც ვარსკვლავთა შუქი,  
გამოჩნდა იყი... ვერ ვიტყვი ვინა!  
ცრემლი მომწმინდა გიშრის კავებით,  
დამაიმედა და გამიცინა.  
ანგელოზს ფრთები დაჳკვეცა თითქოს  
გულზე მიმიყრდნო პირმომცინარი  
და ცის თაღიდან საქართველოსკენ  
დავეშვი სატრფოს მკერდზე მძინარი.

\* \* \*

ათი დღე და ათი ღამე  
ათი წუთის გახდა ტოლი.  
სწრაფად მოსწყდა ჟამთა სრბოლას,  
როგორც ტყვია განასროლი.  
ათი დღე და ათი ღამე  
ქარის ფრთებზე ვქანაობდი,  
გამფრინვალე რაშზე ვიჯექ,  
ღვინის ზღვაში ვბანაობდი.  
ნეტარების ოკეანეს  
აღარ უნდა არსით ფონი;  
არასოდეს არ ყოფილა

ასე კარგი ზესტაფონი.  
დამიძახებს მეზობელი  
დამაძალებს წითელ ღვინოს:  
„— ჩვენთვის სისხლი დაგიღვრია —  
უნდა სვა და მოილხინო.  
ალალია, შეგერგება,  
სხვა ვინა გვყავს შენისთანა  
მტრისგან იხსენ, დაიფარე  
ეს ხალხი და ეს ქვეყანა!

თავზე დამფრენს მასპინძელი:  
„— დათომ წარბი არ შეხაროს!“  
გულით უნდა, ლურჯი სუფრა  
პურმარილით დაიფაროს.  
ვდგები, ვამბობ სამადლობელს,  
ვადლეგრძელებ თითო—თითოდ...  
„— რასა ბრძანებთ, რად კადრულობთ!  
მადლობელი ჩვენ ვართ თვითონ,  
რომ ოჯახი დაგვიფასე,  
რომ გაგვხადე ნახვის ღირსი.  
ლხინში მუდამ ძმად გიგულებთ  
და მშველელად — გასაჭირში.  
წამოვალ და სხვა, მეორე  
არზა—თხოვნით სახლში მხვდება,  
მეუბნება: „— იქ თუ იყავ  
ჩვენთანც მოდი, რა იქნება?!  
გუშინდელი დღე გელოდით,  
დღესაც არ ჩანს შენი ლანდი,  
გოჭი იწვის,  
ღვინო გიცდის,  
დაგვაფასე, წამობრძანდი!“  
გული სწყდებათ შინაურებს,  
მოწყენილი უჩანთ სახე:  
— შვილო მოხველ, მაგრამ სახლში  
ერთხელაც ვერ დაგინახეთ!

\* \* \*

ხალხში გავალ... ეშხიანად  
მიცქერიან გოგონები.  
აღარ ვიცი, მათ რა მოსწონთ  
მე, თუ ჩემი პაგონები?  
რამდენია, რა კარგები,  
თვალეუუუნა, სახებროლა.  
მომაგონდა სიყმაწვილე,  
გულში დარდმა გამიქროლა.  
რა ვარდები ამოსულა,  
რა ყვავილებს უცქერს თვალი!  
სად ვიყავი, სად მეძინა,  
ვინ შემიკრა გზა და კვალი?!

ვის რა ვუთხრა, საყირიმოდ  
რომელს უნდა ვთხოვო ქალი?  
წავიყვანო – მომიკვდება,  
ამევსება ცრემლით თვალი.  
ვერ შევაჩვევ უცხო წესებს,  
ვერ ვასწავლი სიტყვას რუსულს,  
ბაღში ნაზარდს ვერ მივუჩენ  
საცხოვრებლად ველს გატრუსულს.  
დაჭრება და ფერს დაპკარგავს,  
რომ მოშორდეს თავის ბინას.  
ჩვენი ქალი იქ ვერ გაძლებს  
ვით ციმბირში მანდარინა.

\* \* \*

ათდღიანი შეებულება  
დაილია როგორც მთვარე;  
დანიშნული დრო გავიდა,  
გამგზავრებას დავეჩქარე.  
დედა ჩუმად იცრემლება,  
არ უცინის არვის პირი  
და ბოლო დროს მაგარ ღვინოს  
დაეძალა ოქროპირი.  
– ბიჭო, როდის დაბრუნდები,  
როდის გნახავთ ნეტავ კიდევ?“  
– ვინ რა იცის, სულ ერთ თვეში,  
იქნებ სახლში ჩამოვიდე.  
– ღმერთმა ჰქინას და აგვისრულდეს  
ეგ ნუგეში და იმედი!  
– გულს ნუ იტეხთ, მხნედ იყავით,  
კაცია და მისი ბედი!  
– ღვინოს ნუღარ გადაჰყები,  
წამსვლელი ხარ, გზა გაქვს გრძელი...  
– ღვინოს დავლევ, გზას ვიპოვი  
ეგ არ არის საქმე ძნელი!

\* \* \*

– ქალო, ღვინო მოიტანე,  
ჰურმარილი ანარჩევი!  
... აივანზე სუფრას აწყობს  
დასალოცად მამაჩემი!  
შეიკრიბნენ მეზობლები,  
შინაური, გარეული.  
ვიცინი და მათ ვაცინებ,  
წითელღინოდალეული.  
ყველამ მითხრა თითო სიტყვა,  
დამილოცეს გზა დაკვალი:  
– კეთილ იყოს შენი საქმე,  
შენი აწმყო, მომავალი!  
შენი მტერი და ორგული

მეწყერმა და წყალმა ზიდოს;  
და შენს ორგულს ზეციერმა  
ჭირი ჭირზე გადაპკიდოს!  
შენს მეგობრებს გაუმარჯოს,  
ღმერთმა მისცეს მკლავში ღონე,  
მოდით, მალე დაგვიბრუნდით  
და თქვენი ხმა გაგვაგონეთ!  
თქვენ ხართ ჩვენი სიამაყე  
და შვილები სასახელო.  
მტრის ურდო თქვენ დაამარცხეთ  
მკერდზე გკოცნით საქართველო!“  
\* \* \*

საგზლად ყველას რაღაც მოაქვს,  
კალათები დადგეს ზვინად;  
– ბიჭო, გზაში არ მოგშივდეს,  
არ მოგაკლდეს ლხინი ლხინად.  
აწყობენ და ალაგებენ  
ხაჭაპურებს დიდრონ-დიდრონს.  
დაახვავეს პურმარილი,  
ცხრა ჯორმაც ვერ აიკიდოს.  
ათ დღეს ათმა კაცმა ჭამოს,  
არ დააჩნდეს დანაკლისი.  
მეცინება:  
– მოდით, ბარემ  
გადამხადეთ პარაკლისი!

სად მაქვს მაგის თრევის თავი,

ხუთი კაცის უნდა ღონე!“

– გზაზე დგახარ, ყველაფერი  
დაგჭირდება, გაგვიგონე!

.....

დედალს თავზე ყველი აწევს,

ყველს შოთები ჭყლეტს და წურავს;

ზურგით ტიკი მოსწოლია

ჩემოდანის თავსახურავს.

ტიკში ჭაჭის არაყი დგას,

შეშლილივით ბორგავს, ღელავს.

მის მოხელეს ვენაცვალე:

მმა-ბიჭებში მასახელა!

\* \* \*

განშორების უამი დადგა,

მატარებლის დაპკრეს ზარი.

ეს ოხერი ელმავალიც

მიდის როგორც ნიავქარი!

გამაქროლა, ჩემს ზესტაფონს

თვალიც ვეღარ შევასწარი.

დამაღონა განშორებამ,

დამიხურა გულის კარი.

დავუბრუნდი ისევ ყირიმს,  
 ვინახულე ჩემი ჯარი.  
 მივესალმე, მოვიკითხე:  
 – ბიჭები ხომ კარგად არის.  
 – ვინც ვართ, ყველა კარგადა ვართ,  
 ნახევარი აღარ არი:  
 ბევრი წავიდ–წამოვიდა  
 შენ მათ ვეღარ მოუსწარი!  
 . . . . .

დამაჯინეს, მომაყოლეს,  
 რაც ვიხილე მშობელ მხარეს.  
 მომისმინეს ყურადღებით,

ნაამბობით გაიხარეს.  
 სამსახურს კვლავ შევუდექი,  
 საქმე გაჩნდა მრავალგვარი.  
 „ჩადგა წყალი ნაგუბარში,  
 თავისი გზით მიდის მტკვარი.“  
 ახლა ვუცდი შვებულებას,  
 იანვარში მიწევს მგონი,  
 ცივ ზამთარში ხელმეორედ  
 უნდა ვნახო ზესტაფონი.

3–14 ოქტომბერი, 1945 წელი  
 (დაიწერა ევპატორიის ახლოს,  
 ნესტიანსა და ბნელ მიწურში).

1945 წლის დამლევს ჩავსხედით ეშელონში, დავემშვიდობეთ ყირიმს და საქართველოსკენ გამოვსწიოთ.

1946 წელი გავატარეთ გორში, ავლაბრის ყაზარმებში, ვაზიანსა და ავჭალაში. იმის შემდეგ, რაც ომის წლებში ვნახეთ და განვიცადეთ, მეტად უფერულად და მოსაწყენად გვეჩვენებოდა ყაზარმული ცხოვრება, სამწყობრო და ტაქტიკური მეცადინეობა, განუწყვეტელი მარში და მანევრები... მალე ესეც დამთავრდა.

1947 წლის იანვარში მივიღე ბრძანება დემობილიზაციის შესახებ. გამოვემშვიდობეთ თანამებრძოლებს და ზესტაფონში ჩამოვედი. სწავლის გაგრძელება სექტემბრისათვის გადავდე, მანამდე სამსახურში დადგომასაც აღარ ჰქონდა აზრი. ისევ კოლმეურნეობაში დავიწყე მუშაობა, რომ სტუდენტობის დროისათვის სარჩო-საბადებელი მქონოდა. სექტემბერში კი დავუბრუნდი ჩემს ინსტიტუტს რუხი შინელით და სალდათური ჩემებით.



1948 წ. ქუთაისის პედ. ინსტიტუტი. ბოლო რიგში, ცენტრში რუხი შინელით დავით გენაძე

## ფრიად საიდუმლოდ ცხოვრება დავითისა

ჩხარის რაიონის სოფელ ქვედა ალისუბნის „დერევენცკი“ ბრძენსა და ფილოსოფოსს, ფილოლოგს, პოეტსა და სატირიკოსს ჯუმბერ ელიაზარის ძე კუტივაძეს ჩემი 1600° გრადუსიანი ტემპერატურის მქონე:

სალამი და გამარჯვება!

ჯუმბერ, ამ მოკლე შესავლის შემდეგ ვიწყებ ჩემი თავგადასავლის წერას.

სულ ერთი საათი იქნება, რაც სვირიდან მოვედი გაბრაზებული, გაჯავრებული და თავგზადა-კარგული.

მაშინვე გადმომცეს შენი წერილი, — წავიკითხე და შეკრული შუბლი გამეხსნა, გულის კარები გაიღო, სულმა შვება იგრძნო და მარჯვენამ თავისუფლება.

შენი წერილი რომ არ მიმეღო, ახლა ან სტენდალის „ნითელი და შავი“ უნდა მეკითხა, ან რ. კიპლინგის „მხეცების რომანი“, ან კიდევ რამე, რაც ზესტაფონიდან შორს წამიყვანდა. რაკი შენი წერილი მივიღე, ყველაფერს თავი მივანებე და „დავჯექ წერად ანდერძისა, საბრალოსა საუბრისად“.

იქნებ გული მოვიფხანო შენთან საუბრით, ოღონდ შენ მომისმინე. ეს იქნება ურეალისტურესი წერილი:

1947 წლის 31 იანვარს დავტოვე ჩემი პაგონ—ჯინჯილები და ვესტუმრე ზესტაფონს. როგორც წესი და რიგი მოითხოვს, სამხედრო საბუთები სამოქალაქო საბუთებით შევცვალე და ჩემი ავლა—დიდებით იქ მივედი, სადაც სხვები მიდიან დემობილიზაციის შემდეგ. ამიყვანეს აღრიცხვაზე და დამპირდნენ კარგ სამსახურს. მე ეს დაპირება დე იურედ მივიღე და დრო რომ არ გამეცდინა, ყოველგვარი პროტექციისა, ნაცნობობისა და მაღარიჩის გარეშე მოვეწვევე ჩვენ კოლმეურნეობაში „რიადავორი კოლხოზნიკად“.

1947 წლის 24 თებერვალს, ორშაბათ დღეს მთელი გლეხური საჭურველი ზურგზე მოვიდე და მინდორში გავედი. დავიწყე ყველაზე მძიმე ოპერაციით—მიწის ბრუნებით.

ყოველდღიურად ვაბრუნებდი 10—12 კვ. საჟენ მიწას, ე. ი. 3—4 შრომა დღის ანგარიშს ვასწორებდი. ერთი თვის განმავლობაში გადავაბრუნე თითქმის 300 საჟენი მიწა. ვმუშაობდი როგორც კამეჩი. მაშინ კიდევ იყო ოქროპირის მარანში შემონახული „მაზუთი“ და დაღლილობას სრულია-დაც არ ვერძნობდი. მიწის ბრუნების შემდეგ გადავედი სხვა სამუშაოებზე — გავიპიროვნე 1 500 კვ. მ. ვენახი, რომელიც ისე მაქეს მოვლილი, შეხედვა გაგეხარდება.

რაღა ბევრი გავაგრძელო, სოფლის მეურნეობამ ისე წამილო და გამიტაცა, რომ სხვა აღარაფერი აღარ მახსოვდა — აღარც წიგნი, აღარც კინო და აღარც თეატრი.

კოლმეურნეობაში ჩემი მუშაობა რომ ნახეს, ჯერ ბრიგადირობა შემომთავაზეს, მერე თავ-მჯდომარეობა. ორივეზე უარი ვთქვი. უარის მიზეზს შენ არ გისახელებ, შენთვის ეს ისედაც ნათელი და ცხადია.

ქალაქშიაც დამიბარეს იქ, სადაც აღრიცხვაზე ვიყავ აყვანილი და მოისურვეს ჩემი გაბედნიერება აი, რით: ჯერ მაყენებდნენ ფელდეგერად, — თუ იცი, ფული რომ უნდა ატაროს წარმოებიდან ბანკში, მერე უფრო უკეთესი ადგილი გამოჩნდა — ქალაქის ფინინსპექტორისა: უნდა მერიგებინა გადასახადის ბლანკები და მეკრიბა ფული.

ასე დეტალურად, პერსონალურად შეისწავლეს ჩემი უნარი და ენერგია, გაითვალიწინეს სამშობლოს წინაშე დამსახურება და მამწესებდნენ სამსახურში.

დაფასებისათვის მადლობა გადავუხადე, ქუდი დავიხურე, წამოვედი და დავიბარე — ნუღარ შეინუხებენ თავს ჩემი გამოძახებით, რადგან უკვე სამუშაო მოძებნილი მაქვს და კიდეც ვმუშაობ — თქმ. მას შემდეგ არავის შევუწუხებივარ. ვმუშაობდი ერთგულად, კეთილსინდისიერად და პატიოსნად. ეს იყო ნამდვილი იდილია ჩემს ცხოვრებაში თითქმის ექვსი წლის ხეტიალის შემდეგ, მაგრამ ის ოხერი ქვა მეც დამენია აღმართში. 1947 წლის პირველი აპრილიდან დედა ლოგინად ჩავარდა. ისეთ დღეში იყო, რომ სახლში მოსვლისა მეშინოდა. ყოველ საღამოს თვენახევარს იყო სიკვდილთან მებრძოლი. 17 მაისს წავიყვანეთ თბილისში, გაუკეთეს ოპერაცია, რაც მშვიდობით გადაიტანა, მაგრამ ჯერ კიდევ იქ არის და უცდის სრულ განკურნებას. ეს ამბავი აქ მოკლედ დაინერა, მაგრამ ისე გრძელი და მძიმე იყო, როგორც თვით სიკვდილია. დედის ავადმყოფობამ ხუთი წლით მაინც დაგვნია უკან, რაც იყო ოჯახში, ყველაფერი იმას მოუნდა. ახლა ვზივართ მშრალზე და საყიდელი გვაქვს პურიც და ლვინოც, მაგრამ ამას ვინ ინაღველებს, რაკი შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიარა. ოღონდ ის იყოს კარგად და სახლიც ნუღარ დგმულა თავის ადგილას.

ასეთ შფოთვაში, დელვაში და ავის მოლოდინში შუბლზე ოფლს ვიწურავდი, იარაღს არ ვყრიდი და სულით არ ვეცემოდი. პირველ ივლისამდე გამოვიმუშავე ზუსტად 200 შრომადლე, მერე შევ-დექი და დავიქირდი ჩემს მიტოვებულ საქმეზე. ქუთაისი... ინსტიტუტი... სწავლა!!! ვფიქრობ და ერთი და იგივე ტივტივებს მაღლა — ეს ყოვლად ბინძური ურჩეული, ეს ყოვლად ბინიერი, შეამი-ანი, გესლიანი ნივთი, მოგონილი თვით ადამიანის მიერ — ადამიანობის ჩასაკლავად, ეს წყევლა ყოველი საუკუნისა, ყოველი გონიერი ადამიანისა. ყოველი გზით ცდილობდა ფიქრი მის გვერდის ავლას, მაგრამ ყოველი გზის ჩიხში ეწერა მისი სახელი — ფული!

სად უნდა წახვიდე უმისოდ?

მქონდა მცირეოდენი გროშები შემონახული, ყველა ავადმყოფობამ შთანთქა. სად უნდა მეშოვა იგი? არა ბევრი, არამედ საკმაო — სწავლის პირველი დროისათვის.

ისევ მამაჩემის ხელობა გამოვიყენე: — ვიყიდე ერთი ცხვარი, დავკალი, გავყიდე — მოვიგე ფუ-ლი. ასე მეორე, მესამე... მონაგები კიდევ ისე გამიფრინდა... სულ ბოლოს წვერებცანცარა ბეკეკა შემხვდა, ნაღდი „მეფისატოფელი“, დავკალი, ძლივს გავყიდე და თავიდან წავაგე სამასი მანეთი. თავინი ნასესხები მქონდა, ერთმა კაცმა სესხად მოხოვა, შემრცხვა უარის თქმისა, ავდექი და გავა-სესხე. ახლა, ჩემი მოვალე, რომელიც უმოქმედოდ მხედავს, ხვალ თუ ზეგ იმ ფულს მომთხოვს, მე კი საძებარი მაქვს, ჯერ განასესხები და მერე ნანაგები.

ასე დასრულდა ჩემი კომერსანტული მოღვაწეობა, რომელშიაც მე იმდენი ნიჭი მაქვს, რამდენი ნიჭიც ჩოჩორს აქვს უმაღლეს მათემატიკაში. საქმეების გამოსასწორებლად გრძელვადიან სესხს დავუწყე ძებნა (ორი—სამი თვით) ახლობლებში — შენც არ მომიკვდე! აქ რომ ხელი მომეცარა, სამშაბათ დილას სვირში წავედი ბიძაჩემთან, ათას მანეთს მაინც მასესხებს — მეთქი. ვერ წარმო-იდგენ, ჯუმბერ, რა ძნელი იყო ეს! ათიათასი ვარიანტი შევცვალე თავში იმისა, თუ როგორ მეთ-ხოვა ფულის სესხება. ვუთხარი და იმდენი მეწუნუნა უფულობის შესახებ, ისე შემაცოდა თავი, ისე მოისპო ყველაფერი, რომ კინალამ ჩემი უკანასკნელი სამმანეთიანი მივეცი სესხად. და შენ რას ფიქრობ, ჯუმბერ, არ ჰქონდა მას ფული? ჰქონდა, მაგრამ ეს დაწყევლილი ნივთი დგას ყველაფერ-ზე მაღლა. წამოვედი იქედან იმედგაცრუებული, წელში მოხრილი გალახული ძალივით. კიდევ ორი ასეთი შემთხვევა საკმარისია, რომ კაცი უკიდურესი ინდივიდუალისტი გახდე — აღარ ირწმუ-ნო აღარც დედა, აღარც მამა, აღარც ნათესავი და აღარც მეგობარი, ჩაიკეტო საკუთარ ნაჭუჭმი, მიენდო ქარს, რომ გაგიტანოს სადღაც შორს, რომ შენს ყურს არ მინვდეს არცერთი ფარისევლური სიტყვა შესახებ მოყვასის დახმარებასა შინა.

მე დარწმუნებული ვარ, ჯუმბერ, ახლა რომ საქმე აწყობილი მქონდეს, რომ ჩემიდან ვინმე რა-მეს გამოელოდეს, სესხი კი არა, საჩუქარიც ბევრი იქნება. ახლა კი, თუ ბიჭი ხარ, დადექ საკუთარ ფეხზე და იარე! ვერ ივლი? ოთხზე იხოხე! მეც მეტი გზა არ დამრჩენია. მოკვდეს დათა, თუ ეს ვერ შევასრულო... მაგრამ, ფურთხი ამდენ ფარისევლობას, კბილების კრეჭას, გენაცვალე — შემოგევ-ლოს, იალბუზისოდენა ფურთხი იმ ადამიანს, რომელიც დალხინების უამს ბეჭებზე ხელს გიცაცუ-ნებს და გაჭირვების უამს სათოფეზე არ გეკარება! ასეთი ბოლმა დუღდა ჯუმბერ, ჩემს გულში, როცა შენი წერილი გადმომცეს. მიტომ გავავსე ეს ოთხი ფურცელი, რომ შენთან საუბრით ვიჯე-რო გული. აქ ვის ვუთხრა? გაიცინებენ და ღვთის გლახას დამიძახებენ, ან კიდევ სხვა მადლიან ეპითეტს მოძებნიან ჩემს შესამკობად. ჯუმბერ, ახლა ჩემი მომავალი გეგმების შესახებაც გეტყვი: პირველი სექტემბრიდან უნდა წავიდე ქუთაისში. ჩემში სწავლის წყურვილი იმდენად გაძლიერდა, რომ არ ვიცი, რა დაბრკოლება უნდა გადამელობოს წინ, გარდა ავადმყოფობისა, რომ ვერ ვის-წავლო — უნდა გადავლახო აუცილებლად. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კიდევ ვფიქრობ სწავლას. ვფიქრობ მეთქი ვამბობ, რადგან მრავალი ჩემი ფიქრი დაწერილა და დამდნარა ყინულ-ზე. ისეთი ფრთხილი რეალისტი გავხდი, რომ ყველაფერი ცხადად მეხატება თვალწინ, რაც გაისად უნდა გადამხდეს, მაგრამ არა უშავს, ორში ერთი იქნება — ან გადავიტან, ან გადამიტანს. უკან და-სახევი ყველა ხიდი ავაფეთქე და ყველა „პარახოდი“ დავწვი!

სასწავლებელში წასვლამდე კვლავ თოხს უნდა დავუბრუნდე, უფრო იმისათვის, რომ სულიე-რი სიმშვიდე მოვიპოვო. ეს ფრაზა კი არ არის, ჯუმბერ, ეს სინამდვილეა. როცა ვმუშაობ, თითქოს ყველაფერი წყნარდება და მშვიდდება, სული იწმინდება და სარკესავით ხდება.

წიგნებმა შრომის მაგივრობა ვერ გამიწიეს, თუმცა ისინიც კარგი მეგობრები არიან ჩემი. ასეც რომ არ იყოს, ამ ერთ თვეში 50 შრომადლეს კიდევ გამოვიმუშავებ, მოსავალს, ხუთ სიმინდს მაინც მივუმატებ კიდევ. ფული არ მექნება? ჭადი ხომ მექნება, ღვინოც მერგება ცოტაოდენი. ერ-თი სიტყვით, ხვალიდან უნდა გავიჭრა ველად.

ჯუმბერ, ჩემი თავგადასავლის გაცნობის შემდეგ, შენთვის ადვილი გასაგებია ჩემი დუმილი; გისურვებ ჯანმრთელობას, მხეობას და სულიერ სიმშვიდეს. ხანდახან სულელური ფილოსოფო-

სობა გამიტაცებს — ვაკევირდები, რა მშვიდად უცქერის გარე სამყარო, დაწყებული ვარსკვლავიდან, გათავებული ჩემი ქეციანი კატით, ჩემს ღელვას და შფოთვას. ჩემდა საბედნიეროდ, გარე სამყაროს სიმშვიდეში ვპოულობ ჩემი სულის სიმშვიდეს და მადლობა ღმერთს.

მომიკითხე თქვენი ოჯახი მთლიანად. მოკითხვა ჩემი იჯახის სრულუფლებიანი წევრებისაგან. გართმევ ხელს და გცოცნის შენი ძმა დავით გენაძე.

24. 07. 1947 წელი.

1948 წელს დავამთავრე ინსტიტუტი. დამტოვეს იქვე ასისტენტად. ინსტიტუტის დამთავრებამდე გავიცანი ჩვენი მომდევნო კურსის სტუდენტი მედიკო ბენდელიანი; ერთმანეთს მალე დავუახლოვდით და იმავე წელს შევებით ჩვენი ცხოვრების უდელში.

1949 წელს ჩამრიცხეს ასპირანტურაში. დავიწყე ბრძოლა მეცნიერების ციხე—სიმაგრეთა ასალებად. ვიბრძოდი გატაცებით, თავდაუზოგავად, ისე, როგორც დიდი სამამულო ომის ვეტერანს შეეფერებოდა. 1949 წლის 28 ოქტომბერს დაიბადა ჩემი პირმშო — ზურაბ დავითის ძე გენაძე. ასეთია ჩემი ცხოვრების მოკლე მატიანე 1946—1949 წლებში. ამ ოთხი წლის განმავლობაში ისეთი არაფერი დამინერია, რომ აქ შესატანად ვარგოდეს.

## აგელოზთა გამოღვიძება

როცა სარდაფში სავსე ფიალით  
ათჯერ ზედიზედ დავილოცები,  
ჩამომშორდება დარდი ტიალი  
გაიღვიძებენ ანგელოზები.

დამიჯდებიან მხრებზე მტრედებად  
ტქბილი ალერსით, ნაზი ღუღუნით,  
გული სიამით ამიღელდება,  
მესმის ვაჟკაცურ ხმების გუგუნი.

უსაზღვრო ზეცას ვკეცავ მარაოდ,  
თავს უძლიერეს ღმერთებს ვადარებ,  
ფულს სამოწყალოდ ვაძლევ ფარაონს,  
ჰერკულეს — ხელის გულით ვატარებ...

დგება რიურაჟი, ქრება ჩვენება,  
სთვლემს ანგელოზი, ფხიზლობს სატანა.  
მთა ვიყავ დიდი, ქვეყნის მშვენება;  
ჩიტის კვერცხივით ვხდები პატარა.

მაშინ ღმერთებთან არ ვლაპარაკობ,  
ჩამოყრილი მაქვს საწყლად ყურები  
და ვით სნეული — საგარაკოდ,  
მე სარდაფისკენ მივეშურები;

ჯიბეში გროშებს დავუწყებ ძებნას,  
კასრებთან მყუდროს გავიჩენ ბინას  
და ანგელოზთა გასაღვიძებლად  
წყალნარევ ღვინოს დავიდგამ წინა!

20. IV. 1948 წ.

1950 წელს მკაცრი, სუსხიანი ზამთარი დაიჭირა. იანვრის არდადეგების დროს სვანეთში წასვლას ვაპირებდი, მაგრამ ძალიან ბევრი მოთოვა და გზები ჩაიკეტა.

მოახლოვდა არდადეგებიც, მაგრამ გზის გახსნას მაინც არ დაადგა საშველი. ზურაბი სამი თვის უნახავი მყავდა, ქუთაისში რაღა გამაჩერებდა?! გადავწყვიტე სვანეთში ფეხით ასვლა. ყველა მიშლიდა: ასეთ თოვასა და ყინვაში სვანეთში როგორ ახვალ, გზაზე უბედურება შეგემთხვევაო. გუნებაში მეცინებოდა: თვალწინ მედგა ჩრდილო კავკასიისა და ყუბანის ლაშქრობანი რამდენიმე ასეული კილომეტრის მანძილზე. განა მაშინ ნაკლებ თოვდა ან ყინვდა?!

ჩემს გადაწყვეტილებაზე ხელი აღარ ავიღე. სვანი სტუდენტებიც ავიყოლიე და 22 იანვარს, გამთენის სანს, ცხრა კაცი გავედით ჯაჭვის ხიდიდან. ვიარეთ და ვიარეთ ნაკვალევსა და უკვალევ გზებზე. პირველი ლამე მექვენაში გავათიერ, მეორე ცაგერში. 24 იანვარს უკვე ლენტებში ვიყავ და ზურაბს ვეთამაშებოდი. მაშინ არის დანერილი ეს ლექსიც.

მახსოვს, პირველად მედიკომ დაიწყო კითხვა, მაგრამ ცრემლები წამოუვიდა და ბოლომდე ველარ ჩაიკითხა. ახლა მე გამოვართვი და შუა გზაზე მიღალატა ვაჟკაცობამ. ვუცქერდით ერთმანეთს ცრემლიანი თვალებით და თან გვეცინებოდა. ზურაბი კი — მაშინ აბა, როგორ მიხვდებოდა, ცრემლი რად მოგვდიოდა ან რა გვაცინებდა! იწვა არხეინად დედის კალთაში და ხელებით და ფეხებით თავისუფალ ვარჯიშს ასრულებდა.

## ზურაბს!

ზურაბ, დედის იმედი ხარ,  
მამის გულის ნუგეში.  
გათამაშებთ, გეფერებით  
და გიხუტებთ უბეში.

ბატონი ხარ, მბრძანებელი,  
გავხდით შენი ფარეში;  
დაგვატარებ აღმა—დაღმა  
ამ თოვლიან მხარეში.

ხან მოიწყენ, ხან მოილხენ,  
სწრაფად იცვლი გუნებას,  
კანონია შენი სიტყვა,  
შენი განკარგულება.

ბაბუაშენს ძიძად აქცევ,  
არ აძინებ ბებიას,  
ბიძას შეშას აზიდვინებ,  
მაინც არ გიწყრებიან.

მაინც თავზე გევლებიან  
ხელის გულზე ტარებით,  
ხან ჩირალდანს აგინთებენ,  
ხან გართობენ ზარებით.

აკვანს ცუდი თვალით უცქერ,  
არვის აძლევ უფლებას,  
რომ შებოჭონ არტახებით  
შენი თავისუფლება.

ვაჟკაცი ხარ გულზვიადი,  
მთის წყალივით მქუხარე!  
მიტომ გკოცნი, მამის გზა—კვალს  
რომ არ გადაუხარე!

როცა წავალ, ნუ მოიწყენ,  
იყავ იძედიანად,  
ჩამოხვალ და ჩემს ქონებას  
ჩაგაბარებ მთლიანად.

გაიზარდე, გაიხარე,  
გვიყვარდეს ერთმანეთი —  
მშობლიური იმერეთი,  
მშობლიური სვანეთი.

8. II. 1950 წ.  
ლენტები.

სვანეთში შუა თებერვლამდე დავრჩი, გზის  
გახსნას ველოდებოდი. მოლოდინი არ გამიმარ-  
თლდა, თოვლი კიდევ დაამატა, მთიდან ზვავები  
დაეშვა და გზები უფრო გაფუჭდა.

რაღა უნდა მექნა, ჩავიცვი ისევ სვანური ბან-  
დულები და იქიდანაც ფეხით წამოვედი. ჩემთან  
იყვნენ მიზდონი და ლაითა. გზაზე ბევრი ვიცინეთ  
და ვიოხუნჯეთ. ქუთაისში მშვიდობით ჩამოვედით.  
ერთი თვეც არ გასულიყო, რომ სახლობა ისევ მო-  
მენატრა და გულმა თოვლიანი მთებისკენ გაინია,  
მაგრამ სამსახურის დატოვება და წასვლა აღარ  
ხერხდებოდა... დარდების გასაფანტად მაშინ ეს  
ლექსი დავწერე:

## ჩემი მეოცხალი სვანეთში არის

თოვლი დადნება, წავა ზამთარი,  
მალე სულ მალე გაზაფხულდება;  
თბილ ქვეწებიდან ფრინველთა გუნდი  
მშობლიურ მხარეს დაუბრუნდება.

მაგრამ, მათ გუნდში არ მეგულება  
ჩემი სიცოცხლის თანაზიარი;  
შორს, თოვლიანი მთების კალთებზე —  
ჩემი მერცხალი სვანეთში არის!  
თუნდ გაზაფხულდეს ათჯერ, ათასჯერ,  
ბაღში, ვარდებში ჰყეფდეს ბულბული,  
მიწა ჰყვაოდეს, ცა ელვარებდეს,  
გაზაფხულს მაინც ვერ იგრძნობს გული,  
სანამ ჩემს მერცხალს არ დავინახავ,  
არ გაიღება სიცოცხლის კარი;  
ჩემი იმედი, ფიქრი და გრძნობა —  
ჩემი ზურაბი სვანეთში არის!

მაგრამ, დაიცა! შეიცვლის იერს  
ეს მინდორ—ველი, ეს მიწა—წყალი;  
გაზაფხულდება, მთებიდან ბარად  
ჩამოფრინდება ჩემი მერცხალი.

კავკასიონის მაღალო მთებო,  
გულზვიადებო, მომეცით მხარი,  
მამაშვილურად მიხედეთ ზურაბს...  
ჩემი ვაჟკაცი სვანეთში არის!

1950 წ. მარტი, ქუთაისი.

ვ. ლ.  
თუმც ჩემი მოი სარავა იძალვა. სამ კურთ  
რი ჩაუბრუნეთ მანავები განვითარეთ აწერ  
ასაკ/ზული განასა გვერდი მარტი 1950.  
J. ლორე.

15/II-50.

საზაფხულოდ ისევ სვანეთს მიგაშურეთ და ორი თვე იქ გავატარეთ. უზარმაზარი მთები, დაბურული ტყეები, მთის გიუმაჟი მდინარეები, სუფთა ჰაერი, ცივი, ანკარა წყაროები, თოვლივით თეთრ ნისლში გახვეული გზები და ბილიკები სულს ცისკენ იტაცებდა და გულს აუნერელი გრძნობებით ავსებდა. მართლა მადლიანად ვისვენებდი.

როცა ძალ—ღონე მოვიკრიბე, ორი პატარა ამბავი დავწერე. ერთი ოფიცრობისა და მეორე სტუდენტობის დროის ცხოვრებიდან. ჩემი შემოქმედებითი ძალების გასაშლელად პოეზია აღარ ვიკმარე და პროზასაც მივყავ ხელი, მაგრამ მკითხველი ადვილედ დარწმუნდება, რომ არც ერთში ვუქნივარ ღმერთს და არც მეორეში. აი, ეს „მოთხოვები“:

## ვომიჩის ოსრახუში

სტუდენტობის დროს ქალაქის განაპირა-უბანში ერთი პატარა ოთახი მქონდა ნაქირა-ვები. როცა კითხვით და წერით დავიღლებოდი, სახლის პატრონთან ავიდოდი, ნარდს ვეთამაშებოდი ან სხვადასხვა საკითხებზე ვსაუბრობდით. სახლის პატრონის მამას თო-მა რქმებია და მეც რუსულ ყაიდაზე ფომიჩს ვეძახდი მას. ფომიჩი უკვე კარგად იყო მოხუცებული, მაგრამ მეხსიერება ჩინებული ჰქონდა, მარცვალ-მარცვალ გვიყვებოდა ამბებს თავისი წარსულიდან.

ერთ საღამოს ჩაგვიგდო ხელში მე და იმავე სახლში მცხოვრები ერთი სტუდენტი, ბევრი დრო კი დაგგატარგვინა, მაგრამ ბევ-რიც გვაცინა. სხვათა შორის, მან ესეც გვი-ამბო:

„მაშინ რკინიგზელი ვიყავი, ადგილიც კარგი მქონდა და ხელფასსაც არა უშავდა. ერთხელ შემომიჩნდა ჩემი კარგი ამხანა-გი: „მოდი, ქუთაისში ვიყიდოთ ოხრახუში და თბილისში წავიღოთო. აქ სამი შაური ღირს კონა, იქ – ექვსშაურნაკლებ არ გაიყიდება, პირისპირ მოვიგებთო“. იმდენი მელაპარა-კა, რომ დამიყოლია. ავიღე შავი დღისთვის გადანახული გროშები და ბაზარში წავევი. ვიყიდეთ საზიაროდ ექვსი ტომარა ოხრახუ-ში, იმავე ღამეს ჩავსხედით მატარებელში და თბილისისკენ გავწიეთ.

დილაუთენია გავედით ბაზარზე. გავშა-ლეთ ჩვენი ოხრახუში და ვუცდით მუშტარს. დაიწყო ვაჭრობა, მაგრამ კაცი არ გვეკარება! აივსო ბაზარი ცოცხლ-ცოცხალი მწვანი-ლით, ვაი ჩვენს მოსწრებას – ოხრახუში ორ შაურად იყიდება.

– ეჲ, ცუდად არის საქმე! – ამბობს ჩემი ამხანაგი – ოხრახუშის ფასი დაცემულა. ორი კვირის წინათ ექვს შაურად იყიდებოდა!

– რაც არის, არის... მოდი და ჩვენც ორ-ორ შაურად გავყიდოთ, ხომ არ გადავყრით, ფული მიგვიცია!

სიხარულით გავყიდით, მაგრამ ვინ ყი-დულობს: მთელი დღე ჩამოვწყდით ფეხზე და ერთი ტომარა ძლივს გავასაღეთ. ფერდაკა-გული ოხრახუში მუშტარს ვეღარ იზიდავდა.

საღამოს დავიქირავეთ „ტაჩქა“ და ხუ-თი ტომარა ოხრახუშით ერთ ძველ ნაცნობს მივადექით. მან „პადვალში“ მოგვცა ბინა და თან გვირჩია, რომ ოხრახუშისთვის ხშირად გვესურებინა წყალი. ღამე მორიგეობით გვეძინა, ხან მე ვეზიდებოდი წყალს, ხან ჩემი ამხანაგი.

გათენდა დილა. შრომას ტყუილად არ ჩა-ევლო, ოხრახუში გაციცხლებულიყო. იმედი მოგვეცა, გვიხარია. ბაზარში ძალიან ადრე გავედით.

სანამ მზე ამოიწევდა, მოვასწარით და ერთი ტომარა კიდევ გავასაღეთ. მერე კი ისევ წავიდა ჩვენი საქმე უკუღმა: წყალნასხურებ ოხრახუშს მზემ რომ დახედა, ისე გაყვით-ლდა, როგორც ბაჯაღლო ოქრო.

– დაგტოვოთ და წავიდეთ! – მითხრა ამ-ხანაგმა – ამას აწი, შშიერი თხაც აღარ შე-ჭამს.

– მეტი რა გზაა? წავიდეთ! – ვუთხარი მე. დავკეცეთ ტომრები და წამოვედით.

ათი ნაბიჯიც არ გვქონდა გავლილი, ვი-ღაცამ დაგვისტვინა და შეგგაჩერა.

– თქვენ, ჰეი, ყურუმსაღებო, ამ ნაგავს ვის უტოვებთ? ახვეტეთ და საიდანაც მოგი-ტანიათ, იქით წაათრიეთ!

მეტი ძალა არ იყო. ჩავყარეთ ისევ ტომ-რებში, დავიქირავეთ „ტაჩქა“ გავიტანეთ ბაზრიდან და ერთ ყრუ მოსახვევში და-ვაპირეთ ოხრახუშის თავიდან მოშორე-ბა. დაგვინახა მეტოვემ, აყვირდა: „ახლავე მილიციონერს დაგუძმახებ, თუ აქედან არ აი-ბარგებთო!“ – საქმე სატირლადა გვაქვს და მაინც გვეცინება.

ვიარეთ და ვიარეთ, გავცილდით თბი-

ლის—ქალაქს და კაცის ნატამალი რომ აღარ ჭაჭანებდა, მოვხსენით ტომრებს თავი და გადავუშვით მტკვარში ნაწვავ—ნადაგი ფულით ნაყიდი გაყვითლებული ოხრახუში.

რაც ვივაჭრეთ, ისიც „ტაჩქის“ პატრონმა წაიღო. მშივრები ჩავსხედით მატარებელში და ქუთაისში უბილეთოდ ჩამოვედით. მადლობა ღმერთს, რკინიგზელები ვიყავით და ბილეთი აღარ მოგვთხოვეს.

ქალი სიხარულით მელოდა შინ, თბილისიდან ნავაჭრ საქონელს ჩამოიტანსო. მო-

ვედი და მოვუტანე: სამი ცარიელი ჯვალოს ტომარა. მოვუყევი რაც დამემართა. ჩემი ქალი სამ კვირას წყევლიდა და კრულავდა ჩვენს დამღუპველს.

ჩემზე ისე იმოქმედა ამ ზარალმა, რომ ოხრახუშის დანახვაც აღარ მინდოდა. ქორწილში რომ სუფრაზე ოხრახუშს დავინახავდი, თავი მამაჩემის სატირალში მეგონა!“ — დაასრულა ფომიჩმა თავისი ნაამბობი.

14 აგვისტო, 1950 წ. ლენტეხი.

## ამბავი ერთი დავაცეული კაცისა

ომის დამთავრების შემდეგ ყირიმის ერთ—ერთ სოფელში დავბანაკლით. ჩვენი ლეგიონი ქართველებისაგან შედგებოდა. ამ ლეგიონში მსახურობდა ოფიცერი გოგია ქ...

გოგიას დამთავრებული ჰქონდა საინუინრო ინსტიტუტი, სპეციალობით იყო გეოლოგი. ომის დაწყების დღიდან გაინვიეს არმიაში. მონაწილეობდა ბრძოლებში, მიიღო ორი ორდენი და ორი ჭრილობა. ომის დამთავრების შემდეგაც მეთაურობდა ბატარეიას, მაგრამ ვაი, მისთანა მეთაურობას — დღე და ღამე შინ დაბრუნებაზე ოცნებობდა, არმიაში გული აღარ უდგებოდა. ამდენმა ფიქრმა, დარდმა და ოცნებამ მისი გონება საოცრად გაჰყანტა. მასთან შეხვედრა და საუბარი, მის მოქმედებებზე დაკვირვება კაცა სულ ადვილად დაარწმუნებდა, რომ მის ჭუაში ყველაფერი რიგზე არ იყო, რომ მის თავში მარტო ქარი კი არა, კარგა ძლიერი ქარიშხალიც ტრიალებდა.

გოგიას კარგად ვიცნობდი. ერთმანეთან გვაახლოებდა ის გარემოება, რომ ორივე ზესტაფონიდან ვიყავით და ერთ ლეგიონში ვმსახურობდით. მას მეტად კეთილი გული ჰქონდა — მიმნდობი და ალალმართალი ყველაფერს ადვილად იჯერებდა, ამხანაგები ბავშვის გულწრფელობით უყვარდა და მათთვის სულსაც არ დაიშურებდა.

\*

ერთხელ გოგიასთან შევიარე. იგი გაუხდელად, მთელი თავისი ოფიცრული მოკაზმულობით იწვა ლოგიონზე და გაზეთს კითხულობდა.

— ოო ... ჩემ დათას გაუმარჯოს! — გამხდარ სახეზე ღიმილმა გადაუარა, — ა, ბიჭო, რა კრგია, ახლა მოხარშული კუპატი ზესტაფონში?! — დაურთო მისალმებას თავისი საყვარელი და აკვიატებული გამოთქმა. მეც მივესალმე:

— გაუმარჯოს გოგიას!.. იყავი კაცო, ნუ დგები! — მხარზე ხელი დავკარი და მის საწოლთან სკამზე დავჯექი. — რას კითხულობ ასე გატაცებით?

- ჩერჩილის სიტყვა დაბეჭდილი... აი რაებს ლაპარაკობს ახლა და ნახავ, თუ არ შეცვალოს ჰანგი ამ მამაძალმა. სანდო კაცი არაა, რომ შეეძლოს, შაურად გაგვიდის!

გოგიას უცებ სხვა აზრმა გაურბინა თავში; საგარეო პოლიტიკიდან თავის საჭიროობო საქმეებზე გადახტა და ეს მოხდა ყოველგვარი პაუზის გარეშე:

— არ შემიკლა, კაცო, ხელში ამ ჩემმა ორდინარეცმა ბარდანაშვილმა?! სად დადის, რას აკეთებს, რას დაბოდიალობს... მაგისთანა დაკარგული კაცის მნახველი არა ვარ!

მეცინება, ვკვდები სიცილით. სად ჩერჩილი, სად ბარდანაშვილი?! გოგია სწრაფად წამოიჭრა საწოლიდან, გააღო ოთახის კარი და ვიღაც მებრძოლს გასძახა:

— ბარდანაშვილი ამ წუთში მოვიდეს ჩემთან! — წუთი კი არა, ნახევარი საათიც გავიდა, სანამ ბარდანაშვილი გამოცხადდებოდა. გოგიამ მაგრად შეახურა იგი და მერე უბრძანა:

— ახლავე ნადი და ცხენი შემიკაზმე; როცა მზად იყოს, მომახსენე!

— არის, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო! — მიაწვაპუნა ქუსლი ქუსლს ბარდანაშვილმა, შებრუნდა და წავიდა. გოგია წუთით დაფიქრდა:

— რა ჯანდაბად მინდა ახლა ცხენი, რისთვის, თუ არა, კი?!.. ერთი ცხენის დ.....! — კარი გააღო

და ბარდანაშვილს გამოუდგა: — ბარდანაშვილო, აჟაუ! დაბრუნდი უკან! — ორდინარეცი დაბრუნდა.

— არავითარი ცხენი! წადი, საქმეს მიხედე. ნუ დახეტიალობ ასე უგზო — უკვლოდ!

ბარდანაშვილი რომ გაისტუმრა, გაზეთებს მოჰკიდა ხელი. გადააბრუნა, გადმოაბრუნა და ბალიშქვეშ ამოსდო.

— მომშივდა ულმერთოდ!.. ჰმ, ჰმ, ჰმ, რა კარგია ახლა მოხარშული კუპატი ზესტაფონში?! წავიდეთ დათა სასადილოში!

მე ნასადილევი ვიყავი, გოგიას დავემშვიდობე და ბატარეიისკენ გავწიე. ვფიქრობდი გოგია სასადილოში წავიდოდა, მაგრამ რას ვხედავ: გოგიას ხელები უკან დაუწყვია, თავი ჩაუდუნავს და საჯინიბოებისკენ მიდის. ეტყობა, ფიქრებშია წასული. დავეწიე:

— კაცო, სასადილოში გინდოდა წასვლა თუ საჯინიბოში? — ფიქრებიდან სწრაფად გამოერკვა და საწყლად შემომხედა.

— ვიცი, სად დავდივარ?! სულ გადამვარდა სადილობა გულიდან. აღარც ის მახსოვს, აქეთ რა ჯანდაბამ წამომიყვანა. დათა, იცი, რა გითხრა? — სულ წავედი, ბიჭო, ხელიდან. ვეღარ გავიგე, რაღა უნდათ ჩემგან. ომი იყო, როგორც შემეძლო ვიბრძოლე, წავიომე. გათავდა ომი, ქნან სიკეთე და გამანთავისუფლონ! რას ვაკეთებ აქ, რა ნაპოლეონი მე მნახეს, რომ ვეღარ მელევიან? ამოვიდა, ბიჭო, სული. დღე და ღამე ვფიქრობ, ამერია ტვინი, ნამდვილად გამოვჩერჩეტდი!

ამას რომ ამბობდა, ისეთი ნალვლიანი სახე ჰქონდა, გულქვა ადამიანსაც შეეცოდებოდა. თავი გააქინია, შებრუნდა და სასადილოსაკენ წავიდა. ვინ იცის, რამდენჯერ შეიცვალა კიდევ მისამართი, სანამ სასადილომდე მივიდოდა!

\*

იმ ხანებში თავისუფალი დრო ბევრი გვქონდა. ოფიცრები ხელიდან არ უშვებდნენ მარჯვე შემთხვევას, რომ თავი გაერთოთ, ეცინათ, ეხარხარათ.

გოგიას გულის დარდები ყველამ კარგად იცოდა. ერთხელაც, წინასწარ მოილაპარაკეს და ასეთი ოინი უყვეს: მოდის გოგია და თავისთვის ლილინებს. შეხვდა ერთი ოფიცერი.

— გამარჯობა, გოგია!

— გაგიმარჯოს!

— როგორა ხარ, როგორ მიდის შენი საქმე?

— ნუღარ მკითხავ! მიდის შავად, ბნელად...

— დაიცა, კაცო, მე აი, იმ საქმეზე გეკითხები...

გოგიამ ყურები ცქვიტა:

— ვერ გამიგია, რას ამბობ?

— ვიცით, ვიცით!.. გატყდი, რაღაა დასამალი?!

— თუ ძმა ხარ, ნუ მიედ — მოედები, პირდაპირ მითხარი!

— მართლა არაფერი იცი? არაფერი გაგიგია?!

— დედას გეფიცები, არაფერი ვიცი.

ოფიცერმა განზე გაიყვანა გოგია, ვითომ სიფრთხილისათვის გაიხედ — გამოიხედა და ხმას დაუწია:

— მაღარიჩი შენზეა! მე ვარ პირველი მახარობელი. ბედი გაქვს, ბედი!

— ე, კაცო, ნუ მომკალი ამდენი გამოცანებით, მითხარი რაშია საქმე!

— აბა, ყური დამიგდე: ლეგიონის შტაბში საიდუმლო ბრძანება მოსულა, ოფიცერთა შემადგენლობიდან გეოლოგი ინჟინრები უნდა გავათავისუფლოთო. სია შეადგინეს, ხუთ კაცთან ერთად შენც შეგიტანეს სიაში...

— კარგი ერთი, სამახარო მეტი ვერაფერი წახე?!

— არ მიჯერებ, ხომ?! შენი ნებაა... მაგრამ, თუ ჩემი სიტყვა გამართლდეს, პირველ მახარობელს ნუ დაივიწყებ!

გოგია საფიქრებელში ჩავარდა. უნდა დაიჯეროს, ვერ დაუჯერებია... გათავისუფლება?! საქართველო?! ოჯახი, წყნარი სამსახური, დაქორნინება... ვითომ მართალია?! არ დაიჯერო! ზღაპარია, ჭორია!

— ეჱ! — ამოიხვენება გოგიამ და გზას დაადგა: — აღარ არის საშველი!

აი, შეხვდა მეორე ოფიცერი:

— სალამი გოგის, სალამი! გილოცავ, ძმაო, სულით და გულით გილოცავ!  
— რას, კაცო, არ მეტყვი?! — აქ გოგიამ ოდნავ გაიღიმა, თითქოს არაფერი, სულ არაფერი იცის, რასაც ულოცავენ.

— რაღა თქმა გინდა, ბიძია, შეკარი ბარგი—ბარხანა და მოუსვი ზესტაფონისკენ!  
— ნეტა მოცლილი არ იყო! რა ზესტაფონი, რის ზესტაფონი!  
— ამას ორ დღეში გაიგებ... შტაბში ბრძანება მოსულა, შენი სპეციალობის ოფიცრებს ათავი-სუფლებენ თურმე,— ექვსი მოყვლილხართ ბადეში.

გოგიას სიხარულით აუძგერდა გული, მაგრამ არ შეიმჩნია. სხვებიც შეხვდნენ... ყველამ მიუ-ლოცა, ყველამ ფიცით—მტკიცით გაანდო ეს სასიხარულო ამბავი. ურწმუნოების ყინული დადნა, დაიჯერა გოგიამ, დაიჯერა მთელი გულით და გონებით, რომ სულ მოკლე ხანში გაათავისუფლე-ბენ... აი, ბედნიერება!

საღამოს ჩემთან მოვიდა. მხარ—თეძოზე ვიყავ წამოწოლილი ჩემს დათვის ბუნაგში და თამბა-ქოს ვაბოლებდი. მომვარდა, გადამეხვია და გადამკოცნა.

— დავიბადე, დათა! ხელმეორედ დავიბადე, მეშველა... მათავისუფლებენ!..

თვალზე სიხარულის ცრემლი უბრწყინავდა. მისი ნათქვამი დავიჯერე, ძალიან გამეხარდა. ღა-მის თორმეტ საათამდე ვისმენდი მის აღტაცებულ საუბარს მომავალი სამოქალაქო ცხოვრების შე-სახებ. მერე სამფურცლიანი წერილი დავწერე და გოგიას გადავეცი, რომ ზესტაფონში ჩვენებთან მიეტანა.

გოგია საამური ოცნებების ზღვაში ცურავდა:

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი

გაახარებს ვისმე განა?!

თაფლში ურევს მწარე ნაღველს,

მტრისას მისი გამოცანა!“

ხანმოკლე აღმოჩნდა გოგიას სიხარულიც... მეორე დღეს წინ ერთი ოფიცერი შემოეყარა, ვი-თომ ძლიერ დაღონებული და გულმოსული.

— ეჱ, რა ძნელია კაცის ცნობა?! შეხედავ, ადამიანია, ადამიანობის კი არაფერი აცხია. პირში გიცინის და ზურგს უკან სამარეს გითხრის!

გოგიას რატომლაც არ ეჭამნიკა მისი ნათქვამი:

— რა მოხდა, კაცო, ვინ გაწყენინა?

— მე არავინ... შენი საქმე კი, უკულმა წაიყვანა კაპიტანმა ქადაგიძემ.

— რას ამბობ! რაო, როგორ?!

— რა და გაუგია, შენ რომ გათავისუფლებდნენ, მისულა შტაბში და უთქვამს ლეგიონის მეთაუ-რისათვის,— რატომ ათავისუფლებთ ქავთარაძეს, კაცი არმიაში დარჩენისთვის თავს იკლავს, სამ-ხედრო აკადემიაში აპირებს წასვლასო. დაუჯერებია ლეგიონის მეთაურს, ამდგარა და შენი გვარი სიიდან ჩხიპ... ამოუშლია.

— ეგ რა მითხარი, კაცო! რა უნდოდა მაგ ურჯულოს ჩემთან, რატომ დამლუპა, რა დავუშავე?!

ცეცხლი შემოენთო გოგიას. მისი გაბრაზება ვის უნახავს, მტრედივით მშვიდი და ბატკანივით უწყინარი იყო. ახლა კი აფთორად იქცა და პირდაპირ ქადაგიძის ბინისკენ გაქანდა. ერთი წუთის შემ-დეგ იქ ერთი ალიაქოთი იდგა.

გამოდი გარეთ, შე იუდა, შე გველო! — ყვიროდა გამნარებული გოგია და ჩახმახზე შემდგარ რევოლვერს ხელში ატრიალებდა, — მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა კაცის დალუპვა და განადგუ-რება. ტყვით გაგიხვრეტ მაგ გველის თავს, გამოდი გარეთ!

კაპიტანი გარეთ გამოვარდა. გაკვირვებით უცქერდა ამ სურათს. მან, აბა, რა იცოდა, რამ გაა-გიჟა გოგია, რად უტრიალებდა ცხვირნინ რევოლვერს, რად ემუქრებოდა?

— კაცო, რა მოგდის, რამ გადაგრია! გამაგებინე მაინც რა დაგიშავე, რისთვის მკლავ?

ბევრი იყვირა გოგიამ, მაგრამ სროლა მაინც ვერ გაბედა. არც კაპიტანმა დაჲკარგა მოთმინება და როგორც იყო, დაამშვიდა გაშმაგებული გოგია, სახლში შეიყვანა და ყველაფერი გამოჰკითხა. მანაც უამბო, რატომ და რისთვის აპირებდა კაპიტნის მოკვლას. თურმე პატარა ბავშვივით ატირდა

გოგია, როცა გაიგო, რომ ამხანაგებმა მოატყუეს, მაგრამ შემდეგ ყველაფერი დაივიწყა და თვითონაც გულიანად ხარხარებდა ამ ამბის მოგონებაზე.

\*

გოგიას რევოლვერი განთქმული იყო მთელს ლეგიონში. სროლაში ხშირად ვეჯიბრებოდით ხოლმე ოფიცერები ერთმანეთს. გოგიას ორი—სამი კაცი თუ სჯობნიდა, სროლაც კარგი იცოდა და რევოლვერიც ხელს უწყობდა. ბატარენათ, როგორ ამაყად იდგა ფართან, როცა ტყვიებით სულ ათიანები და ცხრიანები იყო დაცხრილული.

ბატარეიის მეთაურებმა გადაწყვიტეს, გოგიას რევოლვერისათვის ლულა გამოეცვალათ. ძნელი საქმე იყო, მაგრამ მაინც მოახერხეს.

ერთ დღეს, ლეგიონის არტილერიის უფროსმა შეკრიბა ბატარეიის მეთაურები, აბა, ვნახოთ, ფისტოლეტის დაშლა—აწყობა ხომ არ დაგვიწყნიათ. დროც დანიშნა; — ამდენ და ამდენ წუთში უნდა მოასწროთ.

რევოლვერები ყველამ სწრაფად დაშალა, მაიორმა, ვითომ ნაწილების სისუფთავეს ამონმებდა, აიღო ერთ—ერთი მეთაურის რევოლვერის გაცვეთილი ლულა და შეუმჩნევლად დადო გოგიას რევოლვერის ნაწილებთან, მისი რევოლვერის უზადო ლულა კი, სხვას გადაულოცა.

— აბა, დავიწყოთ აწყობა! — თქვა მაიორმა და საათს დააცქერდა. გოგიამ ყველას მოასწრო და მაიორის მადლობაც დაიმსახურა.

გავიდა ერთი კვირა. შეგვარიბეს ოფიცრები და სასროლო მოედანზე გაგვიყვანეს. დაიწყო სროლა. დადგა გოგიას რიგი. გოგიაც მოემზადა, ეგონა, ტყვიას ათიანში ჩააჯენდა. გაიცა ბრძანება:

— Огоны! ცეცხლი! — ისროლა გოგიამ, მაგრამ თვალებს არ უჯერებს: ტყვიამ ფარის ქვეშ მიწა ახვეტა და მიმოაბნია.

— ბიჭოს, ეს რა მომდის?! დაიცა, კარგად დავუმიზნო! — უმიზნებს და უმიზნებს. თქვენც არ მომიკვდეთ, ვერ მოახვედრა. ტყვიამ ზუზუნით გადაუარა ფარს თავზე.

დალონდა გოგია. მივიდა იარაღის ხელოსანთან, რომელიც თან გვახლდა, და უთხრა:

— ნახე, ერთი, რა დაემართა ამ რევოლვერს!

ხელოსანმა ნახა და დიაგნოზიც დაუსვა:

— ლულა გაცვეთილია, ხაზებიც კი აღარ ეტყობა. ჩააბარეთ საწყობს და გამოიტანეთ სამაგირო!

გოგიამ შუბლზე ხელი გადაისვა, დაფიქრდა.

— გასაკვირალია... ათი დღის წინ კარგად იყო, ახლა რა ჯანდაბა დაემართა?! აღარ ღირს ამის თრევა!

გოგიამ რევოლვერი საწყობს ჩააბარა, მაგრამ სამაგირო აღარ გამოიტანა: ცუდი მარკისაა, ლულა მალე უცვდებაო.

\*

ლეგიონის სარდლობამ გადაწყვიტა ღამით განგაშის მოწყობა. წესით, ეს გადაწყვეტილება საიდუმლოდ უნდა დარჩენილიყო თვით განგაშის გამოცხადებამდე, რათა სარდლობას კარგად შეემონმებინა პირადი შემადგენლობის საბრძოლო მზადყოფნა.

გოგიამ როგორლაც შეიტყო ეს საიდუმლო და გადაწყვიტა, რამდენიმე საათით ადრე მოემზადებინა ბატარეია განგაშისათვის. როცა „კამენალომნიის“ გატრუსულ არე—მარეს სიბნელე შემოეპარა, გოგიამ დაიწყო მოქმედება:

— სტარშინა, მოაწყე ბატარეია!

— არის, ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო!

ბატარეია აფორიაქდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ზემდეგმა მოახსენა, რომ ბატარეია მოწყობილია. გახედა გოგიამ სიბნელეში თავის ჯარს, მწყობრში სამოცი კაცის ნაცვლად ათი კაცი იდგა. გაბრაზდა, მაგრამ როგორ!

— რას ჰეგავს ეს! სად არის დანარჩენი! ქვაბთან სამოცი მოდიხართ, მწყობრში კი მხოლოდ ათი კაცია... ბარდანაშვილი, ეს ყურუმსაღი ბარდანაშვილი, მაინც, სადაა?

— მაიორმა წაიყვანა ჩექების გასაწმენდად — უპასუხა სტარშინამ.

— მაგას ვაწმენდინებ ჩექებს!.. ბატარეიაში აღარ ვნახო მოსული. ეს არის თქვენი დისციპლინა?! სტარშინა, დაშალე ბატარეია, მოძებნე ყველა მებრძოლი და მწყობრში ჩააყენე!

დატრიალდა ზემდეგი, ეძებს და ეძებს მებრძოლებს. ზოგი ცხენებთან არის, ზოგი თივაზეა წასული, ზოგი მზარეულს ეხმარება. რა ქნას? ერთადერთი ბარდანაშვილი ჩაიგდო ხელში, მაგრამ ახლა კიკნაველიძე დაეკარგა! რაც იყო, იყო... მოაწყო ბატარეია და მოახსენა მეთაურს; გოგიამისევ ბარდანაშვილი მოკითხა.

— ქ, აქა ვარ! — გაისმა ბარდანაშვილის შიშნაჭამი ხმა.

— ვეღარ გავიგე, რა ემართება ამ ხალხს! უბარდანაშვილოდ მწყობრში ათი კაცი იდგა, მოვიდა ბარდანაშვილი, მაინც ათია. რა ჰქვია ამას?!

მართლა ვერაფრით გაეგო მას, რომ თუ ბარდანაშვილი მოვიდოდა, მაგრამ კიკნაველიძე გაიპარებოდა, მწყობრში მებრძოლთა რაოდენობა უცვლელი დარჩებოდა.

ბატარეია დაშალა და საქმე ვახშმობამდე გადასდო. კარგდ იცოდა, რომ ვახშამს ერთი კაციც არ დააკლდებოდა. მისი ვარაუდი გამართლდა — სალაშერო სამზარეულოსთან კატილოკებისა და კოზების რაჩხა-რუჩხით სამოცი მებრძოლი შეგროვდა. გოგიამ დრო იხელთა, დააწყო მთელი ბატარეია თოფ-იარაღით, ცხენებით, ქვემეხებით, გაიყვანა ბანაკიდან და მახლობელ გორაკს მოაფარა.

უცდის და უცდის, როდის დაჰკურავს საგანგაშო სიგნალი. „არსაიდან ხმა, არსით ძახილი!“ ირიურაუა, გათენდა, მზე ამოვიდა, გოგია მაინც ჩასაფრებულია. სადილობის დროს როგორც იქნა დარწმუნდა, რომ განგაში აღარ ეწყობოდა და ბატარეია ზარით და ზეიმით ბანაკში შემოიყვანა. ლამენათევი და დაქანცული მებრძოლები, ვითომ სამეცადინოდ, ველად გავიდნენ და ტკბილ ძილს მიეცნენ. გოგიაც შეჯდა ლურჯაზე და მახლობელი სოფლისკენ გასწია დროის გასატარებლად.

რა მუხთალია წუთისოფელი!.. ერთი საათის შემდეგ საგანგაშო სიგნალმა მთელი ლეგიონი დააყენა ფეხზე. მოვიდა ლეგიონის მეთაურიც. ყველა იარაღში ზის, არსად ჩანს მხოლოდ გოგიას ბატარეია. ლეგიონის მეთაურმა შუბლი შეიკრა და ადიუტანტს რაღაც ჩაწერინა. დაბრუნდა ქავთარაძე, მაგრამ, ვაი, მისთანა დაბრუნებას! გამოიძახეს შტაბში. იქ რა უთხრეს, მე აღარ მიკითხავს, რაღა კითხვა უნდოდა! იმდენი იდარდა გოგიამ, რომ ავად გახდა. მთელი ერთი კვირა მე ვუზიდავ-დი რძესა და მანონს.

\*

იმ ბატარეიის მეთაური, სადაც მე ოცეული მებარა, იყო კაპიტანი პავლე ტაბატაძე. მორჩებოდა თუ არა სამსახურს, შეუდგებოდა თავის საყვარელ საქმეს: ხან საათს არემონტებდა, ხან სევასტოპოლთან ნაპოვნ, დაუანგული სანადირო თოფის ნაწილებს წმენდდა და ქლიბავდა, მისი ხელის გაჩერება არ იქნებოდა.

ერთ დღეს დაბრუნდა სამსახურიდან, გაიხადა ახლად შეკერილი კრიალა ჩექმები, კუთხეში მიაწყო, მოიხსნა რევოლვერი, ჩამოჯდა სკამზე და დაუწყო ჩხიკინი. როგორ მოხდა, კაცმა არ იცის: დაიჭექა რევოლვერმა, ტყვია ჩექმას მოხვდა ცხვირში და ქუსლში გაიარა!

შემხვდა გოგია. სიცილით ვუყვები ამ ამბავს, ასე და ასე იყო მეთქი: კაპიტანმა ჩექმები გაიხადა, კუთხეში დაალაგა, რევოლვერი გაუვარდა, ჩექმას ცხვირში მოხვდა და ქუსლი გაუხვრიტა-მეთქი.

— ჰო, ჰო, ჰო! უყურე შენ! — შენუხებული ამბობს გოგია — ძვალში ხომ არ გაუარა ტყვიამ?

— რას ამბობ, კაცო? — გამიკვირდა მე, — ჩექმას ან ძვალი სადა აქვს, ან რბილი?

— მერე, ჩექმაზე ვინ ამბობს, მე გეკითხები — კაპიტანს სად მოხვდა, ძვალში თუ რბილში?!

— კაპიტანს როგორ მოხვდებოდა? ხომ გითხარი, ჩექმები გაიხადა და კუთხეში მიალაგა მეთქი!

— ჰოო! — გადაიხარხარა გოგიამ, — ეგ სულ აღარ გამხსენებია. მე ვიფიქრე, ფეხზე რომ ეცვა, მაშინ მოხვდა!

— კი, მაგრამ, რომ გელაპარაკებოდი, ყურს არ მიგდებდი?

— ყველაფერს ხომ ვერ დავიმახსოვრებ, მერე! ხან ეს დამავიწყდება, ხან ის. ეგ კი არა, თავში ტვინი მიდუღს... არაფერი ისმის ოფიცერთა დემობილიზაციის შესახებ? ჰმ, ჰმ, რა კარგია, ახლა, მოხარშული კუპატი ზესტაფონში?! ვნახავთ კიდევ ზესტაფონს?

— ვნახავთ, გოგია, ვნახავთ!

— ღმერთმა ქნას და ჩვენს თხას მგელი დაეჭიროს! — მითხრა იმედგადაწყვეტლმა, ქუდი თავზე სამჯერ შემოიტრიალა, ხალათი შეისწორა და ღილინით გაუდგა გზას.

\*

ლეგიონის მორიგედ ვიყავ. ლამე თეთრად გავათენე. დილით ნაწილის მეთაურს პატაკით შევ-

ხვდი. ის იყო ორიოდე საათით დასვენებას ვაპირებდი, რომ ჩემთან გულგახეთქილი გოგია მოვარდა:

— არიქა, მიშველე, დავით!

— რა იყო, რა მოხდა?!

— რაღა რა მოხდა, წუხელ მებრძოლები გავაგზავნე თივის მოსატანად. ისინი კოლმეურნეობის ზვინს დასტაკებიან, წამოულიათ თივა; გაუგია მეველეს და აყვირებულა, ხუთი კოლმეურნე დასდევნებია მებრძოლებს. ახლაც ნაწილში არიან და ლეგიონის მეთაურს ეძებენ, ჩივილს აპირებენ. რომ იჩივლონ, ლეგიონის მეთაური ტყავს გამაძრობს. თუ ძმა ხარ, იქნებ დაამშვიდო ისინი?

გოგია რომ თავის გასაჭირს მიამბობდა, მე რაღაც დამწვრის სუნი მეცა.

— ბიჭო, რაღაც იწვის! — ვუთხარი მე.

— რა ჯანდაბაა, მეც მცემს სუნი!

მივიხედ—მოვიხედეთ, არაფერი ჩანს. აი, უცებ მოვკარი თვალი: გოგიას შარვლის ჯიბიდან ბოლი ამოდიოდა. გოგიაც ტყვიანაკრავივით შეტრიალდა, ჯიბეში ხელი ჩაიყო და იქიდან ანთებული პაპიროსი ამოიღო. ჯიბეც ამოაბრუნა. იგი ისევ იწვოდა. როგორც იქნა, ჩავაქრეთ.

— ეს რა მომივიდა, კაცო! ფანქარი პირში ჩამიდევს და ანთებული პაპიროსი კი — ჯიბეში. ძან არ გადავრჩი! მაგრამ ამის რა დარდი მაქვს, თუ ძმა ხარ, იმ კოლმეურნებისაგან მიხსენი!

მეც დავპირდი დახმარებას, მაგრამ რაღას დავეხმარებოდი: კოლმეურნებს მანამდე უნახავთ მეთაური; საქმე გამოიძიეს, მებრძოლები ჰაუპტვახტში ჩასვეს, გოგიას კი მაგარი საყვედური გამოუცხადეს.

— ზესტაფონში ცხენი თვალით არ მინახავს, — ამბობდა საყვედურით განიწმატებული გოგია, — აქ კი, სამოცი ცხენი ჩამაბარეს, გასწყვიტოს ჭირმა და ქოთაომ. როგორ მოვუარო, რა ვაჭამო? ქერი არ ჰყოფნით, თივას ხელი არ ახლოო!.. კაცს არ ჭამენ ეგ გასაწყვეტლები, თორემ მივალ თავ-ლაში, დავწვები და შემჭამონ, იტეხონ კისერი!

\*

რა დასაფიცია, იმ დროს თითქმის ყველა მეთაურს ჰყავდა აჩენილი გულის ვარდი სოფლად ან ქალაქად. გოგიაც კაცი იყო და სული ედგა, მასაც ჰყავდა ერთი ქალი. ხან ქალი მოდიოდა გოგიას-თან, ხან გოგია ამხედრდებოდა შავ ტაიჭიზე და მიაქროლებდა სატრფოსაკენ.

ერთხელ გოგია შინ ღამით დაბრუნდა. მეზობელი ოთახიდან ერთმა ოფიცერმა გამოჰყო თავი და გოგიას უთხრა:

— ამ საღამოს შენი დუსია მოვიდა. ცოტა უგუნებოდ იყო: თავი მტკივაო — დაგვიბარა. გოგიას უთხარით, მასთან ვარ. სინათლეს ნულარ აანთებს, ნურც გამაღვიძებს, დაწვეს და დაიძინოსო!

— მართლა?! კარგია. გმადლობთ!

ლეგიონში ერთი მზარეული გვყავდა. მსუქანი, ჩამრგვალებული კაცი იყო, მელოტი და ქოსა. ოფიცრებმა ეს მზარეული დაიყოლიეს თურმე და გოგიას ლოგინში ჩააწვინეს.

ოთახში შესვლისთანავე გოგიამ ტანსაცმელი გაიხადა და ისე მოიქცა, როგორც უთხრეს: აღარც სინათლე აანთო, აღარც „ქალი“ გააღვიძა, ასწინ საბანი და ლოგინში შეუგორდა მას.

— დავწექი მარა, ვაი, მისთანა დაწმოლას! — გვიამბობდა მეორე დღეს გოგია:

— ვეფერები, ქალი ხმას არ მცემს, თან მეტვება, რამ გაზარდა და რამ გაასუქა ასე. მოვუსვი თავზე ხელი, — ღმერთო შენ მიშველე! — ერთი ღერი თმა არა აქვს, მაგრამ ეს რაა! — მალე ისეთი რამ მომყვა ხელში, რომ სწრაფად დავრწმუნდი, ლოგინში ქალი კი არა, ვიღაც კაცი მეწვა. წამოვხტი ლოგინიდან ყვირილით და გინებით. ცოტა არ იყოს, კიდეც შემებინდა და სიბნელეში მასთან შეჭიდება ველარ გავბედე. სანამ ასანთს მოვძებნიდი, წამოიჭრა ეს მამაძალლი ლოგინიდან, ისკუპა ფანჯრიდან და გადახტა. გამოვვარდი გარეთ და გამოვუდექი ნიფხავ—პერანგის ამარა.

— არ გაუშვა, გოგია, მარჯვედ იყავი!

— აქ ვართ; მიღი, მისცხე, ნუ გეშინია!

გამოვბრუნდი უკან. ვნახო, ესენი ვინ არიან, რომ ყვირიან და ხარხარებენ?! ვინ და ჩემი მეზობელი მეთაურები! მაგათანა მეზობლები არ მოეშალოს ჩემს მტერს! მივხვდი, რა ხაფანგიც დამიგეს. კიდევ კარგი, რომ თავი შევიკავე, თორემ ხუთივე უნდა მიმეწვინა გოჭებივით ერთმანეთზე... ოთახში სინათლე ავანთე, მივიხედ—მოვიხედე... იმ მამაძალლი ცალი ქამარი და აღუმინის კოვზი დარჩენდა. თუ ვიპოვე მათი პატრონი, ხომ კარგი, თუ არა და ჯანდაბას მისი თავი და ტანი!

- კი იპოვი, სად წაგივა, აუცილებლად იპოვი! — ვამხნევებთ გოგიას და ვხარხარებთ...
- აი ნახავთ, ვიპოვი და კვირისტავივით წავს! ცოცხალს არ გავუშვებ!
- ... მაგრამ გოგიას ამ მუქარის ასრულება აღარ დასცალდა: მალე დემობილიზაციაში მოჰყვა.

\*

მას შემდეგ გავიდა ოთხი წელი, გოგია ვერსად ვნახე. შორიდან მესმოდა: თბილისში მსახურობს ძალიან კარგ ადგილზე მოეწყოო. ქალიც ითხოვა, შვილიც ჰყავს, ზესტაფონში ხშირად დადისო. რომ შეხედო, ვეღარ იცნობ, ისე გამოიცვალაო.

ორიოდე თვის წინათ, ზესტაფონში ვიყავი. სადგურიდან ვიღაცეები მოდიოდნენ; ქალებიც და კაცებიც კარგად იყვნენ ჩაცმული, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ხუმრობდნენ და იცინოდნენ.

დავუახლოვდი მათ. ერთმა ნაცნობმა სახემ მიიპყრო ჩემი ყურადღება. ვუცქერ, ისიც მიცქერს. ნუთუ, ეს გოგია არის? ის არის ნამდვილად! მანაც მიცნო, მიატოვა თანამგზავრები და მხიარული შეძახილით ჩემკენ გამოიქცა:

— გამარჯობა, დავით! შენ გენაცვალე, ხომ ვნახეთ კიდევ ერთმანეთი!

გადავეხვიეთ და გადავკოცნეთ ერთმანეთი. თავიდან ფეხებამდე ვათვალიერებ გოგიას: საუკეთესო კოსტუმი, ძვირფასი ტუფლები, ხავერდის შლიაპა, მყლავზე გადაგდებული საზაფხულო პალტო!.. ისევ ის სახე... პატარა, ცოცხალი თვალები, გამხდარი, ნიავქარა ტანი!

გოგია გვერდით შებრუნდა და საზაფხულო პალტო ერთ—ერთ მანდილოსანს გადასცა.

— იარეთ, დაგენევით! — უთხრა მას და ისევ მე მომიბრუნდა:

— სადა ხარ, როგორა ხარ, დათა?!

— რას ვიზამ, ვცხოვრობ... შენ სად დაიკარგე, კაცო?!

— ნულა მეტობა, ათასი საქმე გაჩნდა: თბილისი, ზესტაფონი, სამსახური, ცოლ—შვილი, მტერი, მოყვარე — ერთი წუთიც არ მრჩება დრო.

— რა გაეწყობა, ასეთია კაცის ცხოვრება! არმიაში ყოფნა არ მოგენატრა?!

— თუ ძმა ხარ, ნუ მომაგონებ, გესმის, ნულარ მომაგონებ! დაილოცოს ზესტაფონი, აქ მოვკვდე და აქ დავიმარხო!

— ახლა საით გასწიეთ?

— სოფელ თვრინში მივდივართ, ქორწილში დაგვპატიჟეს. თუ გწამს ძველი მეგობრობა, წამოდი, დროს გავატარებთ საზღაპროდ და საარაკოდ!

— დრო არა მაქვს, ჩემო გოგია, ამ საღამოს ქუთაისში უნდა ვიყო! — მართლაც არ მქონდა დრო.

რამდენიმე წუთს კიდევ ვისაუბრეთ, მოვიგონეთ წარსული ამბები, ამხანაგები, მეგობრები...

— აბა, წავედი, დათა, მელოდებიან. კიდევ შევხვდებით ერთმანეთს... გამარჯვებით და გამარჯვებით!..

ის იყო, ნაბიჯი გადადგა, მაგრამ უეცრად შეჩერდა და წამოიძახა:

— ფუი, დასწევლოს ღმერთმა, ეს რა დამემართა?!

— რაო, რა დაგემართა?

— საზაფხულო პალტო არ დამრჩა სადგურში?! სკამეიკაზე მქონდა გადაკიდებული. მივალ, მარა, მეტი არაა ჩემი მტერი, პალტო იქ აღარ დამხვდეს! — მეცინება, ვკვდები სიცილით:

— რას ამბობ, პალტო იმ ქალს არ გაატანე, გვერდით რომ მოგყვებოდა?

— შენ აგაშენა ღმერთმა, არ გადამიტრიალდა კინაღამ გული? იცი, ვინ იყო ის ქალი?

— არა, არ ვიცი.

— ვაი, რა ვუთხრა ჩემს გამოჩერჩეტებულ თავს, ვერც კი გაგაცანი... ცოლია ჩემი, ცოლი!

— რა ვუყოთ, მომავალში გავიცნობ!

— იცოცხლე—თქვა! აბა, წახვამდის, დავით, წახვამდის!

— წახვამდის, გოგია!

შეტრიალდა და ჩქარი, მსუბუქი ნაბიჯით წავიდა წინ წასულთა დასაწევად. დიდხანს ვუცქერდი მას. გოგიამაც მოიხედა უკან, ხელი დამიქნია, გაიცინა, მერე ხალხს შეერია და თვალს მიეფარა.

13 — 14 აგვისტო, 1950 წ. ლენტეხი.

1951 წელს ზემდგომი ორგანოების განკარგულებით ასპირანტები შტატიდან ამოგვრიცხეს და საათობრივ ანაზღაურებაზე გადაგვიყვანეს. დაიწყო დავა ივნისის, ივლისისა და აგვისტოს თვის ხელფასის შესახებ. დირექტორი გვაძლევდა ამ თვეების ჯამაგირს, მაგრამ მთავარმა ბუხპალტერმა, კოტე გაბაშვილმა, მოიტანა თავისი დავთრები და დირექტორს გადაწყვეტილება შეაცვლევინა. ჩვენ მაინც არ დავყარეთ იარაღი: ერთი საჩივარი მოსკოვში გავგზავნეთ, მეორე კი — თბილისში. საქმე მოვიგეთ და გაკოტრების გზაზე დამდგარმა ასპირანტებმა კარგი კამპანია გადავისადეთ. მაშინ დავუწერე კოტეს ეს ლექსი, რომელიც ჩემდა დაუკითხავად მას მიუტანეს. არ სწყენია, ჩვენთან ერთად ისიც ბევრს იცინოდა.

## ოფევლა ჟამსა უფალობისასა

მეფულეთა უხუცესო,  
გაბაშვილო კოტე!  
შენ ჩვენს მიმართ ჩაიდინე  
დიდი სიბოროტე:  
ასპირანტებს გვამჯობინე  
ოცდაათი ვერცხლი.  
მაგ შენს წიგნებს, დავთარხანას  
წაეკიდოს ცეცხლი!  
ოფლით, შრომით მონაგები

ორი გროში ფული  
წაგვართვი და დაგვიკარგე,  
შენ წაგიწყდეს სული!  
შენი შტატი წყალმა ზიდოს,  
ზღვამ დაგიღოს პირი,  
არ მოგშორდეს უფულობა,  
ტანჯვა, გასაჭირი!

ივნისი. 1951 წ. ქუთაისი.

1952 წელს ვმუშაობდი სადისერტაციო თემაზე. იმდროინდელი ლექსები კომენტარების ღირსი არაა. მოკლე ცხობებს ზოგიერთი მათგანის შესახებ სქოლიოში იპოვნიან ისტორიკოსნი და მკვლევარნი. ზოგი სულ უშენიშვნოდა დატოვებული; ჩემი შემოქმედებიდანაც ხომ უნდა დარჩეს რაღაც საკირკიტო, თავსატეხი და საძიებელი?! რუსთაველს რომ ჩემსავით ეწერა თავისი „ვეფხისტყაოსნის“ კომენტარები, რა ეშველებოდა ამდენ ფილოლოგს და ისტორიკოსს? ასეა, ყოველმა დიდმა მწერალმა მომავალზედაც უნდა იზრუნოს, შთამომავლობასაც უნდა დაუტოვოს საარსებო წყარო, მარტო მისი ხომ არაა ეს ქვეყანა?!?

### (პედედისტურ პილოზე)

თურმეობითის ფორმებო,  
თქვენ დაგექცათ კერია!  
ვინ ეშმაქმა მოიგონა  
ეს მესამე სერია?!

ორი წელიწადია ვწერ,  
ვეღარ დამიწერია.  
დავწერ, წავშლი,  
წავშლი, დავწერ,  
გაცვდა კალმის წვერია.  
გაი, თუ თქვას ხელმძღვანელმა:  
„ჩვენი დათა შტერია!  
სადისერტაციო შრომა  
ვეღარ დაუწერია?!“

12. IV. 1952 წ.

### (ოპტიმისტურ პილოზე)

დავეჯახე თურმეობითს,  
როგორც ნიშა ხარი.  
დავეტაკე, დამეტაკა,  
ადგა ბრძოლის ქარი.  
ამოვიდე კალმისტარი  
შიგ გულმკერდში ვკარი;  
მწვანე ყდაში ჩავაწვინე  
უცებ ცოცხალ-მკვდარი,  
მივუტანე ჩემს ხელმძღვანელს,  
სთქვა: „რა კარგი არის!“  
მზემ ღრუბლები მიმოფანტა,  
მეც დამიღვა დარი!

3. VII. 1952 წ.

1953 წლის 15 მარტს მომივიდა ვენერას მეუღლისა და ჩემი კარგი მეგობრის — სო-სო კვანტრიშვილის წერილი ახალციხიდან, სადაც ის მაშინ მეღვინედ მუშაობდა. წერილი ლექსად აეწყო. დავჯექ და პასუხი მეც ლექსად მივწერე. აქვე ვათავსებ ორივეს, — სოსოს წერილს — შემოკლებით, რადგან ამით არაფერი დაშავდება, ჩემს პასუხს კი უცვლელად, რამდენადაც ყოველი მისი სტრიქონი ახალი ბრწყინვალე ფურცელია ქართულ შაირსიტ-ყვიერებაში. სოსოს ისიც ეყოფა, რომ ლიტერატურის კრიტიკოსები სქოლიოში მაინც მოა-თავსებენ მის სახელსა და გვარს. ეს კი დიდი ბედნიერებაა: რამდენი პროფესორი მოუმდუ-რებიათ იმის გამო, რომ მათი სახელი და გვარი სქოლიოში არ უხსენებიათ!

## „დათა! აბა, მოხედვა საქმეს და არ ატეხო აურზაური.

ენას გიწონებ, დავითა, საქმეს ჩაუჯექ თავითა,  
შრომას შეუდექ გმირულად, წერა დაიწყე ანითა,  
კანდიდატობას მოგცემენ, არ შეიჯერო ამითა,  
მე დოქტორობას გისურვებ და დაამთავრებ ჰანითა,  
მოიწადინე, სვანური რომ აგეყვანა მწვერვალზე,  
სიძნელეები წინ შეგხვდა, შენ არ შეფერხდი ამაზე.  
ერთ ხელში წიგნი გეჭირა, მეორე გქონდა კალამზე,  
დაბნეულობას მიეცი, იგინებოდი სალამზე.  
ხელს არ აკლებდი ამავ დროს „პარალოს“, „მრავალფამიერს“;  
ამბობდი: „ცოტა ვილხინოთ, თორემ ვინ შერჩა ამიერს?“  
ჩემები შორს გადაყარე, ცილინდრს ეტაკე განიერს,  
გალსტუკი ჩამოიკიდე, სიჭრელით ჰგავდა შპალიერს.  
არ გამიჯავრდე, დათაჯან, ლექსსა გწერ სამასხაროსა,  
ჩემმა სიტყვებმა უდროოდ სახე არ დაგიღაროსა,  
გულსა მხნეობა მიეცი, მტერმა არ გაიხაროსა,  
იფურჩქნე, ვითარც ყვავილი ტურფასა საბაღნაროსა!  
სასაცილოდ არ გეყოფა, ლექსსად რომ გიწერ წერილსა,  
ენის სიწმინდეს ვერ ვიცავ, ალბათ ვისწავლი მერმისა;  
მაინცდამაინც მწარ ენით ნუ გამიკიცხავ შაირსა,  
რომ მომავალშიც შენთანა ლექსად თქმა მსურდეს რამისა.  
მშვიდობით, ჩემო დათია, ალბათ მომწერ პასუხს ვრცელსა,  
ლექსების წერა დავიწყე, ვედარები რუსთაველსა.  
დახარჩენსა პოეტებსა აკაკის და აბაშელსა  
ცალთვალადაც არ შეგხედავ, არ დავუქნევ ტყუილად ხელსა.  
საიათოვას იმ სოფლიდან, ჩამოვიყვან აქ, მესხეთში,  
გრიშაშვილის ყარაჩოლელს ავამდერებ რუსთაველში,  
ბარათაშვილის მერნითა ბაირონს ვაჭენებ ტყეში,  
შილერს, შექსპირს და გოეთეს ჩემთან მოვიყენებ გვერდში.  
კალმად ჩხიგვის ფრთასა ვხმარობ, მელნად მტკვარსა ამღვრეულსა,  
ძლიგს მოვაბი თავი, ბოლო ჩემსავითა არულსა.  
იტყვი, ალბათ, ის საწყალი ტყუილად აფუჭებს რვეულსა,  
პოეტობას დამიწუნებ, მიწოდებ გადარეულსა!

25. II. – 3. III. 1953 წ. მესხეთი.

დათა, იცი, რა გითხრა? ეს ის მესხეთია, სადაც რუსთაველმა დაწერა „ვეფხისტყაოსანი“ და ნუ გაგიკვირდება, რომ მეც დავწერო რაიმე, თუნდაც „კურდლისტყაოსანი“. ასე, რომ ყველაფერი მიმბაძველობით არის. ... და ბოლოს რაღაცა იქნება, წერას მაინც ვისწავლი.  
ეს აუცილებელია!

9. III. 1953 წ. სოსო

სოსოს პასუხად ეს მივწერე:

## ჩემი სალაში კონტს, მეღვინესა და მოქალაქეს!

მომივიდა შენი ლექსი, დიდი გრძნობით დაწერილი,  
ამჟები და მოვლენები მშვენივრად გაქვს აღწერილი.  
კარგია, რომ გისწავლია პოეზიის ანი-ბანი,  
რუსთაველი აღარ არის დაგრჩენია მოედანი.

ლექსი ხუთჯერ წავიკითხე, გულმა ხუთჯერ გაიხარა,  
შიგ რითმები მიდი-მოდის, ვით მინდორში ცხვრების ფარა.  
რა სიბრძნეა ჩაქსოვილი, რა ჭკუა და რა გონება!  
ძველებურად შესძლებია მესხეთს მგოსნის შთაგონება.

ვინც კი თვალი გადაავლო, ვერავინ ვერ დასდვა წუნი,  
სტრიქონსა და სტრიქონს შუა უხვად ასდის ღვინის სუნი,  
ყვავილების თაიგულზე შლანგებია გადაწნული,  
კუპლეტებში კოტრიალობს გოჭი, შემწვარ-შებრაწული.

ოქროა და მარგალიტი, რა ინატროს კაცმა მეტი?  
არ აკლია ჰიპერბოლა, შედარება, ეპითეტი.

ვინც ზეპირად დაისწავლა, თავს ესხმება ბრუ და რეტი,  
ასე იცის, როცა ლექსში სიბრძნე არის მეტისმეტი!

ჩემს ამბავსაც მოგახსენებ: – წინ მივდივარ ნელა-ნელა,  
რეცენზიის მოლოდინმა დამდაგა და დამანელა!  
დარდით გული დამიწყლულდა, – დაბორკილი, დასალტული,  
თბილისიდან აღარ მომდის არც უარი, არც დასტური.

ზოგჯერ სარდაფს ვესტუმრები, იქ იოლად გამაქვს ლელო,  
ამ ბოლო დროს მოვუმატე ოპონენტის სადღეგრძელოს.  
არ გეგონოს ძველებურად, თბილისში ვერ გასახელო,  
ვერავინ ვერ დაგიჯაბნის, მოყვარე გყავს სასახელო!

დღეს ვენერაც ჩამოფრინდა, კონსპექტებით დატვირთული,  
შეკრება აქვთ დაუსწრებლებს, სიხარულით უცემს გული,  
ხვალ სამ საგანს ჩააბარებს, ზეგ ხუთი აქვს განზრახული  
მეცნიერულ ხვნა-თესვაში უდგას მართლა გაზაფხული.

როცა ჩავალთ ზესტაფონში, მივვიწვევს და დაგვაპურებს  
ბომბებივით გადმოგვაყრის ცხელ ჭადებს და ხაჭაპურებს  
შემწვარ ქათამს, ცვრიან მწვადებს, დავეჯახოთ როგორც ტურა,  
ღვინო ვსვათ და ერთმანეთი გადავკოცნოთ პოეტურად.

24. III. 1953 წ.


1953 წლის 27 ოქტომბერს, ასპირანტურაში  
შესვლის ოთხი წლისთავზე, ხანგრძლივი და თავ-  
დაუზიგავი ბრძოლა წარმატებით დაგვირგვინდა.  
ამ დღეს დავიცავი ჩემი სადისერტაციო ნაშრომი და  
მომანიჭეს ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდი-  
დატის ხარისხი. ჩამოსვლისთანავე მედიკოს დეპეშა  
გავუგზავნე: „ჩამოვედი თბილისიდან, ციხე აღებუ-  
ლია; ჩემი გული, შენი გული სულ გახარებულია.“

რამდენიმე დღის შემდეგ სვანეთიდან ამაზე უფრო სასიამოვნო ამბავი ჩამომიტანა ნოდარმა: 10 ნოემბერს დაიბადა ჩემი მეორე ვაჟკაცი — როსტომ დავითის ძე გენაძე.

დაზამთრებამდე მოსკოვში გასაგზავნი საბუ-  
თების მომზადებას მოვუნდი. დაზამთრდა და გზე-  
ბიც ჩაიკეტა. ჩემი პატარა ოჯახი ისევ სვანეთის  
თოვლიან მთებში მოემწყვდა. გადავწყვიტე 1950  
წლის ლაშქრობის განმეორება, არ მინდოდა როს-  
ტომს გული დაწყვეტოდა და ეთქვა: ზურაბის სა-  
ნახავად ფეხით ამოვიდა სვანეთში მამა და ჩემი  
ნახვისთვის კი თავი არ შეინუხაო, მაგრამ მედიკოს  
საპროფესიო ნერილებმა ამ გადაწყვეტილებაზე  
ხელი ამაღლებინეს. ამ დროს დაიწერა ლექსი „ზუ-  
რაბს და როსტომს“, რომელიც შემდეგ ზურაბმა  
ზეპირად ისწავლა და ხალხში გაიტანა. მკვლევარე-  
ბისათვის ზედმეტი არ იქნება იმის ცოდნა, რომ ამ  
„ხალხის“ 90 პროცენტს შეადგენდნენ ზურაბის მე-  
გობრები რკინიგზის საბავშვო ბალიდან:

## ზურაბს და როსტომს

თქვენთან ბაასი მომინდა,  
ხელში ავიღე კალამი.  
სალამი ლომის ბოკვერებს-  
ზურაბს და როსტომს სალამი!  
გამხნევდით, გულს ნუ გაიტეხთ,  
მისვლა-მოსვლა გვაქვს გვიანი.  
ვიცი, არ დამემღურებით,  
ბიჭები მყავხართ ჭკვიანი.  
მთები რომ გადმოვიარო,  
შემწევს ღონე და ძალია.  
თუ არ მოვდივარ, იცოდეთ,  
სულ დედათქვენის ბრალია.  
მომწერა: „გზები დაიქცა,  
წამოსვლა ამიკრძალია!“  
უნდა ვუსმინოთ, რას ვიზამთ,  
წინდახედული ქალია!  
ზამთარი მალე გაივლის  
დარდი დადგება მზიანი.  
მთიდან წამოვა მანქანა,  
სწრაფი, არწივის ფრთიანი.  
ჩამოხვალთ, გადამეყრება  
გულზე ვარდნი და იანი.  
ჭომაში დროშით შეგხვდებათ  
ნოლარი ბენდელიანი.



ვახტანგ  
ონიანე

„ვახტანგ მეფე დმერთს უყვარდა,  
ციდან ჩამოესძა რეკა,  
იალბუზხე ვეხი შედგა,  
დიდმა ძთებმა იწყეს დღეცა“

არც მეფე ხარ, არც მთავარი,  
არც განთქმული სპასალარი,  
მოქანდაკის მარჯვენა გაქვს,  
ძველ ბერძენთა დასაღარი.

ჩუმი ხარ და უწყინარი  
გაზაფხულის გავხარ სიოს,  
მაგრამ შენი ნიჭის ძალა  
ჯილად ადგას კავკასიონს.

ციდან ზარის რეკა გესმის,  
ჰქვეთ და ჰხატავ ქვას პიტალოს,  
რომ ჩუქურთმამ საუკუნოდ  
მოძმესავით გაგიტანოს,

რომ გრანიტის ქანდაკებას  
არ დაეტყოს ღროთა სვლანი,  
იალბუზზე ფეხით შეღვე  
ხელოვნების გორგასლანი

დაილოცოს ეგ მარჯვენა,  
მხნედ და მტკიცედ ძეგლდეს გული,  
შენს ქებას ქეაც ღაღადებდეს,  
შენი აზრით სულჩადგმული.

შენს დიდ ზეიმს გაუმარჯოს,  
შენს მშობლიურ მთას და მდელოს!  
შენისთანა შვილებს რომ ზრდის,  
მკერდს ვუკოცნი საქართველოს!

გუაში. 1958 წლის 11 აგვისტო

წამოდით ხვავით, ბარაქით,  
არ შეირცხვინოთ გვარია,  
ნესტორ ბაბუას უთხარით,  
გასწყვიტოს თხა და ცხვარია  
კალათით წამოიყვანეთ  
ბებოს გაზრდილი ვარია!  
მოკითხვას გითვლით აქედან  
ჯუმბერ, არკადი, ლევანი,  
ოთარი, ჟორა ობჩელი  
სხვა დანარჩენი ყველანი,  
კარგად იყავით შვილებო,  
ამოიწურა მელანი!

28.12.1953

## ლვინის ტალღა

ლვინის ტალღა დაგვეჯახა,  
მოდის როგორც ნიაღვარი;  
ვაშრობთ, მაგრამ ვერ დავაშრეთ  
ყელამდე ვართ შიგ ჩამდგარი.  
გათენდება „ბორჯომს“ ვეძებთ  
დაღამდება, ვკარგავთ ჭკუას.  
ლვინოს ვყავართ გაბაწრული,  
როგორც მწყერი ცხენის ძუას!  
აქ არკადი ლევანს მოჰყავს, \*)  
წინ მოუძღვით ოთარ-ბეგი,  
უორა კედელ-კედელ მოდის

ქვებზე ცხვირპირდანაბეგვი.  
სიმღერებით ქუჩს და გრგვინავს  
ლამით ქუჩა განიერი:  
„ბორლის ყელსა მოგეხვიე“  
„ტურფავ“, „მრავალუამიერი“.  
ჯუმბერს ქუდი დაჰკარგვია,  
მოჰკცევია ყელსაბამი.  
მთელ რესტორანს აგუგუნებს  
დათას „დაწყობილი ბანი“.

1953 წ. ზამთარი.

\*) როცა არკადიმ წაიკითხა ლექსი, ეს სტრიქონი არ მოეწონა და ასე გადააკეთა:  
„არკადი ლევანს მოათრევს“. უნდა ითქვას, რომ არც არკადის შესწორებაა უსაფუძვლო. სინამდვილეში ასეც ხდებოდა და ისეც: ხან არკადი მოჰყავდა ლევანს, ხან ლევანი არკადის, -ერთმანეთს ვალში არა რჩებოდნენ.



1953 წ. ქუთაისი. არკადი გოგუაძე, ლევან სანიკიძე, დავით გენაძე

სექტემბრის ბოლო რიცხვებში ერთი მეტად სამწუხარო ამბავი მოხდა: ჩვენმა დირექტორმა ლუკა ჭელიძემ, შალვა ჩხარტიშვილმა და პოლიკარპე ჯაჯანიძემ თოფ-იარაღი აისხეს და სანადიროდ წავიდნენ, თან წაიყვანეს პოლიკარპეს სანადირო ძალი მარსიკა. ბევრი ინადირეს თუ ცოტა, საღამოს უვნებლად დაბრუნდნენ შინ, არსად ჩანდა მხოლოდ საბრალო მარისკა. მონადირები ირწმუნებოდნენ, რომ ძალი გაიქცა და დაიკარგაო, მაგრამ ეს ასე როდი ყოფილა: თურმე, ერთ-ერთ მათგანს კურდლლისთვის უსვრია და მეძებარი კი მოუკლავს. რაღა უნდა ექნათ?

საწყალი მარსიკასთვის ფარჩხი მიუყრიათ და წამოსულან. ამ ამბავს დიდხანს ინახავდნენ საიდუმლოდ, მაგრამ „რა გინდ რომე კაცმან მალოს, ჭირი თავსა არ დამალავს...“ სინამდვილე გამოაშკარავდა და ყველა ალაპარაკდა, ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას. აქა-იქ კიდეც იცინოდნენ... განა ცოტაა გულქვა ადამიანი ამ ქვეყანაზე?!

მე და ლევანს კი სამი დღე და ღამე არ გვძინებია მარსიკას ტრაგიკულად დალუპვის გამო. მწუხარებით გულმოკლულებმა ავიღეთ ხელში კალამი და მარსიკას ხსოვნის უკვდავსაყოფად ლექსი დავწერეთ. გადაწყვეტილი

გვქონდა მისი წარწერა მარსიკას საფლავის ქვაზე, მაგრამ ვეღარ მოვახერხეთ. აქ მაინც დარჩეს ეს ლექსი, რომელშიც მყითხველი ადვილად ამოიკითხავს საბრალო ძალის საყვედურებს და შეუბრალებლობას მისადმი.

## ეპიტაზია მარსიკას საფლავზე

1953 წლის 20 სექტემბერს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, ჭინჭარაულის მისადგომებთან ტრაგიკულად დაეცა პოლიკარპე ჯაჯანიძის სანადირო ძალი მარსიკა (1951—1953 წელი).

წამიყვანეს, თოფი დამცეს,  
დამაყარეს გულს ეკალი.  
რაღა გარეთ მიმათრევდნენ,  
სახლში მაინც მოვეკალი.  
რად შევიქენ უბედური  
ან რა დამიშავებია,  
ჩემს გამზრდელს და მოამაგეს,  
რად ჩააცვეს შავებია?!  
ცორემლის წვიმას გადურეცხავს,  
მიწა მკერდზე დანაყარი.  
ყალიონით თავზე მაღვას  
პოლიკარპე გულდამწვარი.  
„პონჩიკებით“ გავუზრდივარ,  
უჭმევია ტაფამწვარი,  
გავიზარდე, ძალი დავდექ,  
შევაჯერე მთა და ბარი.  
ბოლოს ამან გამაფუჭა,  
ვიყავ მეტად გულმართალი.  
უკრიტიკოდ ვენდობოდი,  
ვისაც თოფზე ჰქონდა თვალი!  
ყნოსევა მკვეთრი, ალღო კარგი,  
გრძნობა მქონდა ალალია,  
ვიყავ წინდაუხედავი,  
როგორც ვახტანგ ალანია.  
და ჰა, ერთმა მონადირებ,  
რომ აებნა გზა და კვალი,  
კურდღლის ნაცვლად მე მომარტყა  
დამიბნელა ორთავ თვალი.  
მე ხომ მოკვდი... მმაკაცთათვის  
დამიგდია ეს ახდერძი:  
ცუდს არ გაპყვეთ მონადირეს,  
რომ არ გახდეთ ტყვიის კერძი,  
თორებ ვეღარ დაბრუნდებით,  
ვერ იხილავთ სახლის კარებს!..  
ვინც ეს ლექსი წაიკითხოს,  
შენდობას ნუ დაიზარებს.

11. X. 1953 წ.

1953 წლის 23 ივნისს ლევანმა დაიცვა დისერტაცია. მისი მეგობრები და ამხანაგები სიხარულით შევხვდით ამ ამბავს: დისერტაციასაც დავესწარით და დესერტაციაზეც ჩინებული დრო გავატარეთ. ამ პრეცინვალე დღეებს ორი ფერმკრთლი ლექსით გამოვეხმაურე.

\* \* \*

„დაიცვა,  
დაიცვა,  
დაიცვა!“  
გაჰკივის  
რადიო,  
გაზეთი.  
ქვეყანას მეორე არ ახსოვს  
მიღწევა, ბრწყინვალე ასეთი!  
თბილისი  
ზეიმით  
გრგვინავდა,  
ცას ხევდა  
ქუხილი  
ტაშისა,  
პონტოდან ისმოდა ჭიხვინი  
მითრიდატ მეექვსის რაშისა!

25. VI. 1953 წ.

\* \* \*

ქალაქ თბილისს საპაეჭროდ გავაგზავნეთ ლევანი,  
ავიკრიბეთ მეგობრები, თან გავყევით ყველანი:  
არკად, ოთარ, დავით, უორა, აბრამიძე შალიკო,  
ჯიბით გვატანს ტელეგრამას ირემაძე ვალიკო.  
ზეიმით და ზარით შეგვხვდა მთელი აკადემია,  
თორმეტამდე არ შემწყდარა ხალხის ნაკადებია.  
საბჭო დასვეს, სხდომა გახსნეს, გაიმართა კამათი,  
დატრიალდა ძიძიგური აფხაზური ყამათი.  
მერე ლევანს დაუძახეს, მითრიდატეს შვილობილს,  
მაგალითი იყო ცოდნის, ნიჭის, ტაქტის, ზრდილობის.  
დაამთავრა, გამოუხტა, ვიღაც თავცარიელი,  
არ შემინდა სანიკიძე, შეუცვალა იერი.  
იმ საღამოს „ინტურისტში“ გაიშალა მაგიდა;  
ღვინო, მწვადი, პურ—მარილი,

სულო, გულო, რა გინდა!  
შევესიეთ რაინდები, რა გადაგვირჩებოდა?  
გაისმოდა მილოცვები, სასმისები შრებოდა.  
ქუთაისში ვიწყეთ დენა ძმებმა ნაწილ—ნაწილად  
და თბილისმაც გვირგვინებით, ტაშით გამოგვაცილა.

30. VI. 1953 წ.

## ლევანის ძმის – ლადოსადმი მიღებილი ფერილიდან

ხარისხები მოვიპოვეთ,  
საქმე აღარ გვაქო.  
გადავწყვიტეთ ვინახულოთ  
თქვენი ქალაქ ბაქო.  
სულით, გულით გადავკოცნოთ,  
ვინც გადიდა, გვაქო.  
წარბები არ შეიჭმუხნო,  
ვაჟკაცურად დაგვხვდი.  
დიდად ჩვენ არ შეგაწუხებთ,  
ნუ გექნება ხათრი:  
ღვინო თუ ვეღარ იშოვო,  
გვასვი ბაქოს ნავთი.

8. XII. 1953 წ.

## ეთოს ფერილის პოეტური ეპილოგი

ქუთაისში მომავალი  
შეაბრუნე ნავი.  
აღარ მოხველ, დაგვივიწყე,  
მოგვანატრე თავი.  
შემოთვალე, რა მოგართვათ  
პირის სანახავი?  
აქ ზაფხული მიიწურა;  
დადგა შემოდგომა.  
ნუთუ აღარ მოგეწყინა  
ნევის პირას ჯდომა?  
სალამს გიძღვნის შორი მხრიდან  
რიონი და მტკვარი,  
ჩამობრძანდი, გაახარე  
ჩვენი მთა და ბარი!

21. IX. 1953 წ.

\*\*\*

მე მშობლიური მიწა მეძახის  
შინ მიწვევს ჩვენი წყაროს ჩხრიალი,  
აუწერელი სიმშვიდე ბაღის  
მწვანე ფოთლების წყნარი შრიალი.

მომწყინდა აღმა–დაღმა ტარება,  
გაუფერულდა განვლილი გზები,  
გულს სიახლოვეს არ ეკარება  
ძველი ოცნება, ძველი მიზნები.

მე მშობლიური მიწა მეძახის,  
ჩემი ბავშვობის ნაფეხურები,  
ნაცნობი ეზო, მწვანე ხის სახლი,  
მაღალი კიბის საფეხურები.

1954 წ.

ეს ლექსი დავუწერე ჩვენი კათედრის ასპი-  
რანტს და ჩემს კარგ მეგობარს კლარა კუბლაშ-  
ვილს, როცა იგი სადისერტაციო თემაზე მუშა-  
ობდა და ნაშრომის გადასაბეჭდად ქაღალდს  
წინასწარ იმარაგებდა. კლარას გენიალური  
ნაშრომი „ფონეტიკური მოვლენები ქართული  
ენის დასავლურ კილოებში“ ახლა უკვე მზადა. სულ ცოტა ხანი დარჩენილა, რომ ლექსში გა-  
მოთქმული წინასწარმეტყველება საქმედ იქ-  
ცეს და საქართველოს კიდევ ერთი დიდი ენათ-  
მეცნიერი შეემატოს.

## 19 საახალფლო ეპისტოლა 54

კლარამ იყიდა ფურცლები  
ერთად ათასი ცალია.  
შრომა აქვს გადასაბეჭდი,  
ჩემთვის აღარა სცალია.  
ხმასაც აღარ მცემს უბრალოდ,  
რა ძნელი მოსათმენია!  
შუბლზე ლარები გაუჩნდა,  
რა გიკვირთ – ბრძენთა ბრძენია!  
შემოიარა აჭარა,  
რაჭა, იმერეთ–გურია.  
ასპირანტობა მოსწყინდა,  
კანდიდატობა სწყურია.  
მასალა გოდრით უდგია,  
ზღვა არის დაუშრობელი  
მისთანა არვინ არა გვყავს,  
დიალექტების მცნობელი.  
ზოგი დაწერა, ჩაწანწკლა,  
დასაწერი აქვს ზოგია;  
შედარებითი მეთოდით,  
აშუქებს ანალოგიას.  
დასკვნები, დებულებები  
სულ სხარტად გადმოუცია:  
მეტათეზისი ამშვენებს  
სოხორთა სუბსტიტუციას.  
საგაზაფხულოდ ნაშრომი  
გამზადებული ექნება.  
ამის იმედებს იძლევა  
მისი ნიჭი და შეგნება.  
დისერტაციას დაიცავს,  
წავყვებით დიდი, პატარა,  
რომ მოვისმინოთ მისი ხმა  
ხავერდოვანი, ნარნარა,  
ბოლოს დავლოცავთ, იმედი  
იქნებ არ გაგვიწილოსა,  
არ ამჯობინოს ქართლური  
ზემომერულ კილოსა.  
საქვეყნოდ გამოაჩინოს  
ეს კუთხე ერთი მტკაველა.  
იმერლებს კლარა გვაცოცხლებს,  
ვით ფშავლებს ვაჟა–ფშაველა.  
მეტი რა კუთხრა, ეს კმარა,  
დისერტაციის დაცვამდე.  
მაშინ კვლავ ვეტყვი ქებასა,  
ხმა პქუხდეს მიწით ცათამდე.

4. I. 1954 წ.



1955 წ. ბათუმი. მასწავლებელთა დახმაროვნების კურსები. ცენტრში დავით გერაძე

### ელეას!

ზურაბისა და როსტომის დედავ,  
ჩემი ცხოვრების თანაზიარო,  
მინდა ჩემს გულში ჩამოგახედო,  
ფიქრი და გრძნობა გაგიზიარო!  
მაგრამ მითხარი, სულის სიღრმეში  
წაუკითხავი რა დაგრჩა შენა?!  
ერთად მივდივართ ცხოვრების გზაზე,  
ერთია ჩვენი ჭირი და ლხენა.  
უსიტყვოდ გესმის ჩემი სათქმელი.  
მაშ რაღა გითხრან ჩანგის სიმებმა?  
გაქო, გადიდო?

გადაიკითხავ

და უნებურად გაგეცინება.

შენზე ძვირფასი რა დამრჩენია!  
ნუ გწყინს თუ დათამ დაიგვიანა:  
ჩემი ლექსები –

ყველა შენია...

შენი ვარ –

ჩემი ლექსებიანა!

22. VI. 1955 წ. ქუთაისი.

### ცაკვასები ინსტიტუტის გუბაკებზე

\* \* \*

გენაცვალე ჩვენს დირექტორს,  
კაცი არის გონიერი:  
ხელს უწყობს და ეველრება,  
ვინაც არის ღონიერი.  
უბინაომ ბინა ვთხოვე,  
გამომიშვა ცარიელი.  
ახლა ველად ვარ გაჭრილი,  
როგორც შოთას ტარიელი.  
ქვაბში ვზივარ, ნუგეშს მაძლევს  
ზურაბ, ჩემი ავთანდილი.  
იქნებ მოლბეს დირექტორი,  
ხელმეორედ ვნახავ დილით.  
ცრემლებით ვწერ განცხადებას,  
ან სიცოცხლე, ან სიკვდილი!

\* \* \*

მარგო რუხაძე ქალია,  
ღმერთი სწყალობდეს ძლიერი  
სულ მისი ვაჟებაცობაა,  
რომ არ დავდივართ მშიერი!

\* \* \*

ბუხჰჰალტერიას ვესტუმრე,  
მერაბიჩს ვუთხარ სალამი,  
მარჯვენა ხელის მაგივრად  
გამომიშვირა კალამი.  
კითხვაც კი აღარ მაცალა,  
მომძახა: „ფული არ არი!  
მოლარე ბანკში წავიდა,  
ფულის აღება ძნელია.  
ათი დეპეშა დავარტყი,  
კრედიტი გაუხსნელია!“

\* \* \*

ხალხს სარალიძე\* ვვონივარ,  
ზარალიძე ვარ გვარადა.  
ინსტიტუტს მიტომ ვეწვიე,  
საქმე მოვუწყო შავადა!

\*) სარალიძე ინსტიტუტის დირექტორის მო-  
ადგილე იყო სამნეო დარგში. დ. ჯანელიძემ ერთ  
კამპანიაში მას ასეთი ლექსი უთხრა ექსპრომტად:

„ხელში სასმისი მიჭირავს,  
დღეგრძელება მსურს შენია,  
იმდენ წელიწადს იცოცხლე,  
რამდენი თმაც გაგცვენია!“

სარალიძეს მელოტი ჰქონდა და ეს ლექსიც  
მარჯვე გამოვიდა. როცა ჩვენს დირექტორს  
ვუამბეთ ამის შესახებ, თქვა:  
„მერე, სარალიძეს თმა სადა აქვს თავზეო?“

\* \* \*

აგერ მოდის გაბაშვილი,  
ბესიკის ჩამომავალი,  
როცა ფულები უწყვია,  
მზე არის ამომავალი.  
თუ სალარო დაიცალა,  
ჩაიკეტავს მაგრად კარებს,  
უწყისებში თავჩარგული  
ემსგავსება ნაკლულ მთვარეს.

\* \* \*

ნადიაც კარგი ქალია,  
შეუდგენია დავთარი:  
მე და ლევანი ნისიად  
გვარჩინა მთელი ზამთარი.  
ახლა ვალები დაგროვდა,  
დრო დადგა შეუპოვარი:

ჩეკს აღარ გვაძლევს ნადია,  
ხარჩოს არ გვისხამს „პოვარი“...

\* \* \*

სიცხეა და პაპანება,  
დილა არის ალიონი,  
პოლიკარპემ კაბინეტში  
შეაბოლა ყალიონი.  
ლევანი კი გვერდზე გარბის,  
არც გამგე ჰყავს, არც პატრონი.  
წაუღია წასაკითხად  
,,მითრიდატე ევპატორი“.  
ქოჩორს იგლეჯს, ასე ამბობს:  
„წინ ვერ წავდგი ბიჯებიო,  
დასწრებულის ლექტორი ვარ,  
დაუსწრებლად ვგიუდებიო.  
მუშაობას არ მაცლიან,  
რა უღმერთო წესიაო,  
ღმერთო როდის გათავდება  
ეს ზაფხულის სესიაო,  
პოლიკარპეს მოვშორდები,  
ჩემთვის უკეთესიაო!“ \*

ეს ლექსი დაწერილია იმ დროს, როცა და-  
უსწრებელი განყოფილების გამგედ მუშაობ-  
და პ. ჯაჯანიძე, ხოლო მის მოადგილედ ლ. სა-  
ნიკიძე. მერე პოლიკარპე გათავისუფლდა და  
ლევანმა დაიჭირა მისი პოსტი. მაშინ დავწერე:  
„პოლიკარპე სამსახურში არ დადის,  
თავის პოსტი დაულოცა არყადის,  
მაგრამ ლევანმა წართვა არყადის  
ხედავთ, ზოგჯერ სიმართლე რომ  
არ გადის?!“

\* \* \*

აიმართა პოლიკარპე,  
ააქდერა ჩონგურ-ქნარი,  
მოითხოვა დაიშალოს  
ეს ბენიძის სემინარი,  
არეული, დარეული,  
შიგ ხალხია მრავალგვარი!  
აქ დათუნა წამოიჭრა,  
არსენამაც მისცა მხარი,  
ადგა თინა ნიჟარაძე  
დაჰკივლა და დასცა ზარი,  
მაგრად დახვდა ირემაძე,  
შეაგება ყველას ფარი  
და გადარჩა დაუშლელი  
ეს ბენიძის სემინარი.

\* \* \*

პლუტარხს კითხულობ გაფაციცებით,  
ჰეროდოტეთი ხარ კმაყოფილი,  
ტოლაძე-ამხანაგებს ყურსაც არ გვიგდებ,  
ისტორიაში ცხვირჩაყოფილი.

\* ) ეს ლექსი ხემს მეგობარს, ლევან სანიკიძეს — ძველი მსოფლიო ისტორიის დიდ სპეციალისტს, რომისა და საბერძნეთის შეუდარებელ მცოდნეს.

~~~~~ \* \* \*

გამოვიდა ორატორი —  
ჯანელიძე გვარადა,  
სიტყვა გვითხრა ორად ორი  
გულის გასახარადა:  
ფიცი დასდო, რომ გახადოს  
ხალხი განათლებული.  
წამოვიდა, თან წამოჰყვა  
გარსკვლავების კრებული.  
ხელი შეუბლზე შემოიდო,  
დაჯდა დაფიქრებული. \*

\* ) ეს ლექსი მიეძღვნა დ. ჯანელიძის მგზნებარე გამოსვლას ერთ — ერთ კრებაზე, სადაც მან დამსწრენი აუწერელ აღტაცებაში მოიყვანა. დავით ჯანელიძის ახლო გაცნობამ და მასთან ხანგრძლივმა მეგობრობამ დამარწმუნა, რომ რუსთაველისა და ჩემს შემდეგ ქართულ პოეზიაში მას ტოლი არა ჰყავს. განსაკუთრებით ემარჯვება ექსპრომტები, სანამ ერთი ბოთლის ფარგლებში ტრიალებს. ერთი ბოთლის შემდეგ კარგავს პოეტურ აღმაფრენას და სამუდამოდ ავიწყდება მის მიერვე სულ ცოტა ხნის წინათ შექმნილი პოეზიის უბრწყინვალესი შედევრები. სპეციალობით არის ისტორიკოსი, რუსეთ — ირანის დიპლომატიური ურთიერთობის უბადლო მცოდნე. დისერტაციის დაცვის შემდეგ ვაპირებთ მის დაჯილდოებას „ირანის ლომის“ ორდენით.

~~~~~ \* \* \*

გოგუაძე შრომას წერს გაზეთ „შრომის“ ფურცლებით,  
მუზეუმში მეტი შრომა ხვდება განსაკუთრებით.  
ოლქეომში რომ დაიბარეს, იგრძნო კმაყოფილება  
და კინაღამ ჩააბარეს მთელი განყოფილება,  
მაგრამ უკან დააბრუნეს მთელი ბარგი — ბარხანით  
ისევ შრომას შეუდგა კვნესითა და ქაქანით. \*)

დ. ჯანელიძემ მეც მიძღვნა ორი ლექსი: პირველი წარმოადგენს ექსპრომტს, მეორე — ნაწყვეტს მისი პოემიდან, სადაც პირველი პირით მალაპარაკებს. აი ეს ლექსები:

1. „მე გეწაძე მიტომ მიყვარს, შრომა იცის ხოშიანი,  
გამარჯვებით წინ მიიწევს ხელში წითელდროშიანი.  
აქ ტანკები განალაგა, იქ აღმართა ღობურია,  
შეტევაზე გადმოსული გააბრუნა თოფურია.“
2. „ზესტაფონს სახლი ავაგე, დევთა სასახლის მგვანია,  
დოცენტმა კაცმა ვიკადრე, ზურგით ვათრიე ქვანია.  
ლევამირად დაბადებულსა შიში არა მაქვს გრამიცა,  
მეცნიერებას დავუდე „ზაკონები და გრანიცა“.  
მტერს არ ვაჭაძე მურაბა, ვანანე ჭკუით ბატობა,  
მე ვარ და ჩემი ზურაბა და ჩემი კანდიდატობა!“

\* ) ეს ლექსი მიეძღვნა ჩემს მეგობარს არკადი გოგუაძეს — დიდ ისტორიკოსს, რომელიც დ. ჯანელიძის თქმით, „ნაროდნიკებს დაეჯახა, ჩაგვიჯინა ნალიაში“.

საქართველო... უსაფრთხო  
 მასში მოსახუროს.  
 რომ უშენდეს, რომ უშენდეს  
 მწირ შემოსახუროს.  
 შემოსახუროს გრიგორი გრიგორი,  
 გრიგორი გრიგორი.  
 უკან რამარტინ შემოსახურო,  
 მარტინი გრიგორი.  
 კარისმანი უკანონები,  
 ნეკარი რამარტინ.  
 ხოლო კუნძული უნდა მოახდენ  
 ცეკვის განახლა.

10. IX. 1958.

## შრიშიციანი

\*

ბულბული სდუმს.  
 ჭრიჭინებენ ჭრიჭინები;  
 სოფელს იკლებს მათი კაკაფონია.  
 ყველა დიდი  
 მგოსანივით იჭიმება,  
 თავი ყველას რუსთაველი ჰგონია!

\*

ქვა ესროლეს.  
 ხმა გაკმინდეს მომღერლებმა.  
 ერთი წუთით დაისვენეს ყურებმა.  
 დაუყვავეს:  
 იწყეს ყელის მოღერება,  
 ატყდა ისევ მთელი უბედურება!

\*

ზაფხულია.  
 მზე ქვას ხეთქავს.  
 ჭრიჭინებმაც გააყრუეს მთა-ბარი.  
 ჩემი გულის  
 სადარდელი გამოეთქვას,  
 ერთი კარგი მომღერალი სად არი?!

9. III. 1960 ნ. ქუთაისი.

## 0. გრიშაშვილს

საქართველოს დაჭრილ მკერლზე  
 წინათ ბევრი ცრემლი ღვარე,  
 მაგრამ, როგორც შვილმა დედა,  
 სულზე მეტად შეიყვარე:  
 მისი ხალხი, მისი მიწა,  
 მისი მზე და ბადრი მთვარე  
 ქართლის ზეიმს მოესწარი  
 აღარა ხარ მგლოვიარე.

შენ არწივი გდარაჯობდა,  
 ცა გფარავდა საფირონი.  
 შენს აკვანთან იავნანას  
 ღულუნებდა იადონი.  
 შენზე ზეცით გადმოსულა  
 მადლი, ნიჭი და მირონი  
 მტერსაც ხიბლავს შენი სიტყვა  
 და საქმენი საგმირონი.

თოვლის ფიფქი რას დაგაკლებს,  
 მზიანო და კარგო დარო,  
 სიცოცხლის და სიყვარულის  
 მეხოტბევ და ამირბარო!  
 მინდა ელგას,

მინდა ჭექას,  
 მინდა ქუხილს  
 შეგადარო;  
 სიმღერებად დამსხვრეულო,  
 მოგუგუნე ნიაღვარო,  
 სიტყვის ჯიღავ სხივნათელო,  
 ლექსის ბექა ოპიზარო!

შენ არ არჩევ დიდს, პატარას,  
 საყმოცა ხარ, სამეფოცა.  
 შენი გულის ჩირაღდანმა  
 გაგვათბო და შუქი გვტყორცნა.  
 ეგ ჭაღარა, ეგ თვალები,  
 ეგ მარჯვენა დაილოცა.

.....

ყველას ჰკოცნი, რა იქნება  
 მეც მაჩუქო ერთი ციცქნა!

7.V. 1960 წ. წაკითხულია  
 პედინსეციტუტში  
 ი. გრიშაშვილთან შეხვედრისას.

## მოიცა, ვინეა უაცც მიგატოვებს!

\*\*\*

მე მცირა.  
მოდი გამითხე გული!  
ნეტავ, სადა ზარ,  
რომელ მხარეში?  
გესმის?! ვარდებში  
კვნესის ბულბული  
და ცრემლად დნება სიმწუხარეში!  
\*\*\*

ღიმილი შენი  
ნისლმა დაპფარა.  
ნიავი ამსხვრევს  
ტირიფის რტოებს.  
ღალატი არც შენ  
შეგრჩება... არა!  
მოიცა, ვინმე  
შენც მიგატოვებს!

1960 წ. ზესტაფონი, შემოდგომა.



\*\*\*

შემოდგომა მიიწურა.  
მოახლოვდა ზამთარი,  
ტყე-ღრეებში ვიღაც დაძრწის  
კაცი მიუსაფარი,  
მარტოდმარტო დარჩენილი  
და გულამოკვეთილი...  
ძმა არა ჰყავს,  
და არა ჰყავს,  
მოყვარე და კეთილი.  
სულში ობლად ჩაიხედავს  
იქაც თოვს და ავდარობს...  
მკერდი გტკივა, ტანი გეწვის,  
დამსხვრეულოჭადარო!  
სიბნელეში ჭოტი ჰყივის,  
ხევში ეშმა ხარხარებს.  
შენ ხომ იცი, ბედისწერა  
არსად არ გაგახარებს!  
ბნელეთისკენ გაგაქროლებს  
დავიწყების ფერია.  
იქ აღარ თოვს,  
იქ აღარ წვიმს,  
იქ აღარაფერია.

31.X.1961 წ. ქუთაისი.

## ოცნება პიავრალებით

\*\*\*

ტყვიით დაჭრილი ველად დამტოვეს,  
მწვერვალზე დგანან ჩემი ტოლები.  
მაინც ვენუკვი ირმის ნახტომებს,  
ბედს ერთხელ კიდევ შევებრძოლები.

თავს დამკაშაშებს ზეცა კრიალა,  
სევდა-დარდები გადამეყარა.  
მინდა მეხივით დავიგრიალო,  
რომ გავაღვიძო მთელი ქვეყანა.

გულში ჩამიდგა სინათლე დილის,  
წინ მიძღვის ძლევის ბაირალები.  
მე უზარბაზნოდ ავიღებ თბილისს  
და საქართველოს კერპი გავხდები!

29. V. 1959 წ. ქუთაისი.



## სურათი

\*\*\*

შემოდგომის ყვითელ ფოთლებს  
მოაქროლებს ქარი.  
და მოღელავს ორლობეში  
ოქროს ნიაღვარი.

გაღმით მოჩანს ეკლესია,  
გადახრილი ჯვარი...  
ცივ ლოდებზე ყვითელ ფოთლებს  
აფარფატებს ქარი.

მშობლიური კუთხის ნატვრამ  
აღარ მომასვენა.  
შორი მხრიდან ჩამოვედი,  
ვეღარ გნახეთ თქვენა...

სხივჩამქრალი ვარსკვლავები,  
ბნელი, ცივი დამე.  
უკუნეთში სანთლის შუქი,  
მკრთალად მოკამკამე...

შემოდგომის ყვითელ ფოთლებს  
მოაქროლებს ქარი  
და ღუღუნებს სამრეკლოზე  
გაბზარული ზარი!

1960 წ. შემოდგომა. ზესტაფონი,  
მაცხოვრის ეკლესია.

## ჩემს ძეაკაცებას



1960 წ. თებერვალი. დავით გენაძე, ლევან სანიკიძე.

შემიკლა ხელში ამ ქუთაისმა  
ლვინით, ლოთობით, უხმო დარდებით.  
სხვა გზა არა მაქვს, წავალ და სადმე  
ბატის ჭუკივით დავიკარგები;  
ან, როცა მთვარე ბაგრატის ტაძარს  
დაეკიდება ოქროს ეშვებით,  
ლანდღვა-გინებით ჯაჭვის ხიდიდან  
მღვრიე როონში გადავეშვები.  
დავწყევლი ბახუსს, სმას და ლოთობას,  
გზას გავუდგები სვენებ-სვენებით.  
გულში ჩავიკრავ იასეს წერილს  
და უკუნეთში ჩავესვენები.  
მაშინ აიღეთ ძმებო, ყანები,  
შესანდობარი ჩემი დასცალეთ!  
სირცხვილი თქვენდა, რომ ქვეყანაზე  
ტკბილი ცხოვრება არ დამაცალეთ!

8. I. 1961 წ.

## ჩემს ლექტორს, თანამებრძოლსა და პოლეგას აკალონს

დღე დღეს მისდევს, დამე ღამეს,  
საღამო ცვლის ნათელ დილას;  
დედამიწის ლამაზ მკერდზე  
რამდენი რამ გამოცვლილა!

აღარ ყეფენ ქვემეხები,  
აღარ მოდის ცეცხლის წვიმა  
ბნელი გაჰქრა, ცისარტყელა  
ჩაჭდობია ჩონგურს სიმად.

გახსოვს ქვიშის ტრამალები,  
უსაზღვრო და უდაბური?  
გამზრდელ-გაზრდილს თოფით ხელში  
იქ შეხვედრა გვქონდა ძმური.

ოთხი წელი მტერს ვებრძოდით,  
ხვედრს ვუძლებდით გულშემზარავს,  
მხოლოდ ღამით დარდს ვუმხელდით  
ჯარისკაცის ღარიბ კარავს.

გახსოვს შავი, ხმელი პური  
საერთო და საზიარო,  
ყუბანის გზა, ქერჩის სუსხი  
ცარიელი თახჩა-თარო?

შენი სიტყვა გულს მითბობდა  
მართალი და აზრიანი,  
შენთან ახლოს აღარ ქროდა  
არც გრიგალი, არც ნიავი.

გახსოვს ქართველ ვაჟაცების  
გმირობა და თავდადება,  
საპუნ-გორას ობელისკი  
თეთრი ქვების დიადემა?

გმირთა საფლავს ხავერდივით  
დაპიბინებს მწვანე მდელო  
და შორიდან უხმო ლოცვით  
მათ იგონებს საქართველო.

მტერს გულმკერდი შევულენეთ,  
დავუმსხვრიეთ ხერხემალი  
და მახვილის წერა გახდა,  
ვინც აღმართა ჩვენზე ხმალი.

ცამ ღრუბლები გადიყარა,  
როგორც იქნა, დადგა დარი.  
ცხრა მთა ფეხით გადმოვლახეთ  
შემოვალეთ სახლის კარი.

ჩვენი გზებიც გაიყარა  
სულ სხვადასხვა შეგვხვდა ბედი:  
შენ თბილისს ხარ, მე ქუთაისს  
შუა ჩადგა ლიხის ქედი.

დროის ეტლმა გაიქროლა –  
გაიდენეს წლებმა წლები,  
ჩვენდა ილბლად მოიგონეს  
სახელმწიფო გამოცდები.

კვლავ ეწვიე მშობელ მხარეს,  
ნახე მისი მთა-კორდები,  
ეს გახსოვდეს! ან ნურასდროს  
ერთმანეთს ნუ დავშორდებით.

1961 წ. ქუთაისი.

## ბრძანება-ბრძანი 60გლია

სიოს ფრთებზე დავფარფატებ  
პაწაწინა ნიბლია.  
არწივებთან შებრძოლება  
არა, არ შემიძლია!

\*

ყვავილების ნექტარს ვწუწინი,  
ვარდის ძირას დავწვები.  
შიშის ზარს მცემს ღვინით სავსე,  
დაგრეხილი ყანწები.

\*

სიოს ფრთებზე დავფარფატებ  
ღობებმძრალა ნიბლია.  
გმირობას მთხოვთ, თავგანწირვას...  
რა ვქნა, არ შემიძლია!

\*

ეს სოფელი მუხთალია,  
ვერაგი და მზაკვარი,  
მიტომ ამერ-დამერია  
მე ცხოვრების გზა-კვალი.

\*

სიოს ფრთებზე დავფარფატებ,  
გულს მიხეთქავს გრიგალი.  
მე ვერ ვიტყვი: „ვაჟებიცი ვარ,  
ბედის შეურიგალი!“

ზარი დაჰკრავს. დაღამდება,  
აყევლება გენია:  
არც ზეცაში, არც ქვესკნელში,  
არსად არაფერია!

\*

გაზაფხულის ცელქო სიოვ,  
მდინარეთა გრიალო,  
მაპატიეთ, თუ სიკვდილი  
ცოტა დავაგვიანო!

\*

სიოს ფრთებზე დავფარფატებ  
ხმაწერიალა ნიბლია.  
სიმღერებით ცხრა ქვეყანა,  
ცხრა მთა გადმომივლია.

\*

შენ სულ სხვა ხარ, ამირანო,  
დაამსხვრიე ჯაჭვები.  
სანამ ზეცას არ აკოცებ,  
მიწაში ნუ ჩაწვები!

\*

სიოს ფრთებზე დავფარფატებ  
ბრძენთა-ბრძენი ნიბლია...  
ყველაფერი, ნათლად გითხრათ,  
რა ვქნა, არ შემიძლია!..

17. IV. 1962 წ. ქუთაისი.

## გაზაფხული

მოდის დაფდაფით,  
ნიაღვრებით,  
გიჟურ ზმანებით.  
მწვანე კორდებზე გაუშლია ძლევის ალმები.  
ოჳ, ეს ვარდები,  
ყვავილები,  
იასამნები! -  
მე გაზაფხულის მობრძანებას მივესალმები.  
მზე აბრიალდა,  
ცივ ზამთარზე  
შური იძია.

ფეთქავს სიცოცხლე,  
ბულბულები ტრფობით იწვიან.  
შესდექ სიკვდილო  
ვერ შემაცდენ,  
ჩემო ბიძია!  
მე გაზაფხულის მიტოვება არ შემიძლია!

V. 1962 წ. ქუთაისი.

\*\*\*

შენ ჩაიძირე,  
მღვრიე წყალმა გადაგიარა.  
არ შეგიბრალა  
ქვეყნად არა ადამიანმა.

მთვარე კაშკაშებს,  
ვარსკვლავები ზეცას ამკობენ  
და კომეტები  
ერთმანეთთან ამხანაგობენ.

დილის სიო ჰქონის,  
მწვანე მდელო ნაზად ბიბინებს.  
შენ არ შეშინდე -  
მომავალი გიწნავს გვირგვინებს.

1962 წ. თებერვალი.

## ორეული და სიზმარი

წუხელ სიზმარში ლანდად ქცაული  
ტანჯვა-წამებით გარდავიცვალე:  
სიკვდილს ვებრძოდი, თრთოდა სხეული  
და სამუდამოდ ვხუჭავდი თვალებს.  
წითელ კუბოში ვიწექ უსულო,  
ია-ვარდებით მკერდდაფენილი,  
და დამტიროდა შავით მოსილი  
ჩემივე სული ცად აფრენილი.  
ქარი დაფლეთილ ფოთლებს მაყრიდა,  
ისმოდა ტყიდან ცივი ხარხარი  
და შეჭედილი ყოველი მხრიდან,  
გორავდა კუბო დაუმარხავი...  
... გარდახდა ხანი. ბნელი და უნდო  
გამოვიარე გზა შორეული.  
ნეტავ სად არის ეხლა ის კუბო,  
სად ხეტიალობს ის ორეული?  
მაგრამ, ჰე ღმერთო!.. მე აღარ ვეძებ,  
რად ვიყავ წინათ ტანჯულ-ვნებული  
და ამოვდივარ ცხოვრების ხეზე  
მწვანე კვირტებად აფეთქებული!

9. IV. 1962 წ.

## არსოთა მაუვას

ისევ მომწყურდა სიმშვიდე სულის,  
დანისლულ კორდზე სუნთქვა იების,  
ლანდების ნანა, ლოცვა მხურვალე.  
სინაზე თეთრი აკაციების.

თითქოს მექანის ფიქრები ჩემი,  
ხმა ახლოვდება უფრო და უფრო...  
ო, როგორ მინდა მშობლიურ ენით  
იმ დაჭრილ გრძნობებს გავესაუბრო;

ისევ აღვანთო ჩემს გოლგოთაზე  
შემოქმედების ცეცხლი ძლიერი  
და დიდებისკენ აღმავალ ბილიკს  
ავყვე, ვით დანტე ალიგიერი.

გავაცისკროვნო ეკლის გვირგვინი  
ჯადოსნურ სიტყვის იაგუნდებით  
და შენ მოგართვა არსოთა მეუფევ,  
როს სამუდამოდ დაგიბრუნდები.

19–24. II. 1962 წ. ქუთაისი.

## მეგობარს

ასე აღარ გამოდგება  
აღმა-დაღმა ყიალი.  
რას გიშველის დიდი ნიჭი,  
მძლავრი პოტენციალი;  
თუ არ იცი დროის ფასი,  
მნიშვნელობა წამისა;  
თუ დაპკარგე სათვალავი  
შენ დღისა და ღამისა?!

— — —

ყველა შრომობს ფუტკარივით,  
ყველას რაღაც ახარებს.  
დასთესს-მომკის, დაისვენებს,  
იცინის და ხარხარებს.  
შენ კი როგორც თვალნაცემი,  
ხელს ვერაფერს აკარებ  
და სიცოცხლეს, ღვთის ნაჩუქარს,  
სიზმარ-ცხადში ატარებ.  
ენას – კლიტე, ფეხს – ბორკილი,  
ქედზე გადევს ხუნდები.  
სამი კვირის სამუშაოს  
სამ წელიწადს უნდები.  
ვინც დაგისტვენს, უკან მისდევ,  
ღობე-ყორეს ედები.  
შენს სულს აღარ ალამაზებს  
ცეცხლი შემოქმედების.

— — — — —

კვირა გადის... შრომისათვის  
ერთ დღესაც არ გცალია.  
თავს იმართლებ: „ყველაფერი  
პირობების ბრალია!“  
მითხარ რატომ უნდა იყო  
წუწუნა და მკვნესარი  
ბედი ბრძოლით მოიპოვო, –  
გაუკაცობა ეს არი.  
უკუაგდე სიზარმაცე,  
აღმა-დაღმა ყიალი,  
დააქუხე დიდი ნიჭი,  
მძლავრი პოტენციალი!

1–2. V. 1962 წ.  
ქუთაისი.

## შოთალებს მუხა განმარტოებით

ზურაბს და როსტომს

შორს, მთის კალთებზე, ცად ატყორცნილი, მზით დაკოცნილი მძლავრი რტოებით  
ქარიშხლის ფრთებზე,  
სიოს სუნთქვაზე,  
შრიალებს მუხა განმარტოებით.

\*

ამ წუთისოფლის ორომტრიალი  
მის სულს არაფერს არ ეუბნება.  
იგი მხოლოდ ცას,  
იგი მხოლოდ მზეს,  
იგი მხოლოდ ღმერთს ესაუბრება.

\*

მუხა ყურს უგდებს იდუმალ ჰანგებს,  
ხან შვებით სუნთქავს, ხან დაღონდება.  
აღსასრულის ჟამს,  
ტოტებდამსხვრეულს,  
ვინ იცის რა არ მოაგონდება.

\*

ქარი ონავრად გაიჯირითებს,  
კლდეს შეაწყდება ტალღა მქუხარი  
და წარიშლება  
ადგილი იგი,  
ნადარდ-ნაფიქრი და ნამუხარი.

\*

მაგრამ დრო წავა... ბინდი და ნისლი  
ბობოქარ მუხას შემოშორდება  
და ვაჟკაცური  
ხატება მისი  
ნერგებში ისევ განმეორდება.

\*

შორს, მთის კალთებზე, ცად ატყორცნილი, მზით დაკოცნილი მძლავრი რტოებით,  
ქარიშხლის ფრთებზე,  
სიოს სუნთქვაზე  
შრიალებს მუხა განმარტოებით.

22 – 28. XI. 1963 წ. ქუთაისი.

## დაკპა ჩოცგურს საიათოვა!

შენს სიმღერებს, საიათოვა,  
სიყვარულმა დაათოვა.  
მოგკლა აღა-მაჰმად-ხანმა,  
გაგაცოცხლა ჩვენმა ხანამ.

ასეთია მგოსნის ბედი:  
გულს ნუ იტეხ, საიათოვა;  
დიდი რწმენა და იმედი  
თუ წავიდა, ისევ მოვა!

შორი გზიდან ის რომ მოვა,  
აღარ გმართებს დარდი, გლოვა.  
აი, მაშინ  
ყვავილნარში  
აბულბულდი, საიათოვა!

დააქუხე მგოსნის სიტყვა,  
აისროლე ცამდე გრძნობა.

ქება უთხარ  
ერეკლეს ხმალს,  
კავკასიის ერთა ძმობას!

ვინც წავიდა,  
ისევ მოვა.  
განა მისოვის ჩამოთოვა,  
რომ გაზაფხულს  
ვერ მოვესწროთ,  
მხე ვერ ვნახოთ, საიათოვა?!

სვეძლიერი  
დარჩეს ერი,  
წყალმა ზიდოს მტერთა ხროვა!  
თბილის-ქალაქს  
შუქი ადგას,  
დაპკა ჩონგურს საიათოვა!

26 – 27. XII. 1963 წ. ქუთაისი.

## მექა, მეღინა

\*

მე წუხელ, დამით  
მოვიარე მექა, მეღინა!  
ლანდები მკლავდნენ.  
არ იქნა და არ დამეძინა.  
როგორ ვიბრძოდი,  
ო, რადენი ცრემლი მეღინა.

\*

ნეტავ ეს ღამე,  
ეს დემონი რას უქადაგებს  
გამქრალ ოცნებებს,  
დავიწყებულ ფიქრთა ხვეულებს;  
შუბლის ნაოჭებს,  
ყაყაჩოსფერ სისხლის ნაკადებს,  
მკვდრებსა და ცოცხლებს,  
ერთმანეთზე გადახვეულებს!

\*

მოდის ტაატით ქარავანი გარდაცვალების.  
არაფერს აზრი აღარა აქვს, გარდა ცვლილების.

\*

აპა, თენდება,  
ვარსკვლავები  
ცაზე კიაფობს.  
ბნელეთის ბურჯებს  
გარიურაჟი  
ანგრევს, მიაპობს.

მთავრდება ბრძოლა:  
ღმერთი ნეკნებს  
ამტვრევს იაკობს.

იწვის ბიბლია  
და მითები  
საგოლიათო!

\*

მომმეთ ეძახი? მოუწოდებ დედა ბუნებას?  
სულელი ნუ ხარ! შენი არვის არ ეყურება!

15. XII. 1962 წ. ზესტაფონი.



1976 წ. გაზაფხული. უნივერსიტეტის ეზო. ფილოლოგიის IV კურსი

## აბა როგორ არ მიყვარდეს!

აბა, როგორ არ მიყვარდეს,  
როგორ არ ვცე თაყვანი!  
აქ შევხედე მზეს პირველად  
აქ დგას ჩემი აკვანი

დილაა თუ საღამოა,  
ისმის ფეროს გუგუნი  
და ზეიძობს ზესტაფონი,  
შვილი ამ საუკუნის.

ელმავლები ჩვენს სადგურზე  
ჰქონიან ჭიხვინ-ჭიხვინით;  
„მოსკოვ-თბილის, თბილის-მოსკოვ,  
როსტოკი და ტიხვინი“;

გულს ახარებს ავტობუსთა  
მოტორების ხმაური  
„შორითი და სალიეთი,  
შროშა, დილიკაური“;

ცად აჭრილი ტუ-104  
ჩვენი ეშხით მთვრალია,  
ჭურის თავზე დაფრინდება  
ვაჲ, რომ არა სცალია.

მიწას შვენის ყვავილები,  
ია-შროშან-გვირილა  
მოდის წყნარად მოიმდერის  
შავგვრემანი ყვირილა.

ხალხი ნახეთ, რა ხალხია  
საქართველოს თვალია.  
პურმარილით სავსე არის  
მარნები და ნალია.

თუმცა მოვასპო, დაგვაქცია,  
წლევანდელმა ზაფხულმა –  
სამტრესტიდან ღვარად მოდის  
ძველშავი და კრახუნა;

ავდარი და სეტყვა გვალვა  
აღარ გვაკრთობს აღარა,  
დაშაქრულ ხელს მეგობრულად  
გამოგვიწვდის აგარა.

ერთსაც ვიტყვი, ნუ დაგვძრახავთ  
თქვენი მონა დავშთები;  
კიდევ დაგვრჩა ძველი ყოფის  
მავნე გადმონაშთები.

უსაზომო დროსტარება,  
ნათლობა და ღრეობა  
ქორწილი და მისელა-მოსვლა  
ქელეხი და ღრეობა.

ქეიფია. სეტყვასავით  
მოდის სავსე ყანწები  
წაიქცევი ადრიანად  
ტახტზე თუ არ დაწვები.

ორლობეში გატრეტილი  
ვიღაც ძლივს მობანცალებს.  
„ტოლუმბაშო, ღვინო მასვი,  
მიდი შენ გენაცვალე!“

ეპ, რას იზამ... როგორც თქმულა;  
მზესაც კი აქვს ლაქები.  
მაინც კარგი გლეხები ვართ  
კარგი მოქალაქენი.

ზოგს პარიზი, ზოგს ბერლინი,  
ზოგს ლონდონი ჰგონია;  
არ მოტყუვდეთ, ეს ქალაქი  
ჩემი ზესტაფონია.

21. XII. 1963 წ.

ზესტაფონი-ქუთაისი.



შესვედრა 33 ნლის შემდეგ. მე-18 არმიის 414-ე მსროლელი  
ლეგიონის ოფიცერთა ჯგუფი. მარცხნიდან: პროფესორი  
დავით გენაძე. დომენტი შამათავა. გრიგორი ხვინგაა.

## დამო, დავიდეთ!

ამ ბაღში გული აღარ ხალისობს,  
წამო წავიდეთ, ჩემო მურია.  
შორს გაგვიფრინდა ჩიტი ლამაზი,  
ახლა სხვა მტრედის ეშხი მწყურია.

აბა, მითხარი ამ ქვეყანაზე  
რა არის მტკიცე და ფერუცვლელი?  
ერთი ეშხს კარგავს და მის მაგიერ  
სხვა მოდის ვარდის ნაზი ფურცელი.

ფეხზე გვაცვია მიწა ქალამნად  
და თავზე ქუდად ცა გვახურია.  
ვინ იცის კიდევ ვის არ შევხვდებით,  
წამო, წავიდეთ, ჩემო მურია.

28. I. 1964 წ. ქუთაისი.

## უსმინეთ, მოდის!

საქართველოს ცა დასაბამიდან  
ზრდიდა პოეტებს, უკვდავებმიანებს.  
გალაქტიონი თუმცა წავიდა,  
მაინც ჯადოსნურ ჩანგს ახმიანებს.

ის ქედუხრელი იყო გენია,  
უნაზეს ხმებით გულდამდაგავი.  
მეხს და ქარიშხალს გადარჩენია  
მონობის ბეჭდით დაუდაღვი.

მისი მამული ცრემლდანამული  
მგოსნის ნათელ შუბლს ეამბორება.  
ისევ ლავეარდობს ცა შორეული  
და სიზმარივით მიდის ცხოვრება.

მიწას ვარსკვლავი ეთამაშება  
ცისკარი ებრძვის ბნელს და უკუნეთს.  
მიჰყვება მკერდში დაჭრილ რაშებად  
მისი ლექსები ამ საუკუნეს.

მთაწმინდის მთვარე ოქროს გედივით  
თბილისს დასცქერის გულდარდიანი.  
ძველ ტკივილებზე ნუდარ ვიდავებთ:  
კრწანისში კვდება დამე გვიანი.

თენდება! ორბი ჰყივის სხვა ხმაზე,  
ცას ჰყოცნის გრები და ბახტრიონი.  
ახალ ჰანგებით ქართლის ძველ გზაზე,  
უსმინეთ, მოდის გალაქტიონი!

24. XII. 1963 - 4. I. 1964 წ. ქუთაისი.

\* \* \*

სულში გრიგალი შემომეპარა  
და ყველაფერი არივ-დარია;  
მეკითხებიან რა მოგივიდა?  
ყველა მეძახის „რამ გადაგრია?!“

თეთრად თენდება ღამე უძილო  
და გულს დარდები აწევს ლოდებად.  
მარქვი უფალო; მზისკენ მივდივარ,  
თუ აღსასრული მიახლოვდება?

ხომ ხედავ, ვარდებს აწვიმს და ათოვს,  
ჩემს ბედისწერას არ ვეურჩები.  
მაგ ჭკვიან თვალებს, შენს სულს დიდებულს  
უმსხვერპლოდ ვეღარ გადაურჩები!  
უცხო ლანდებად მისდევს ნაპრალებს  
ჯოჯოხეთიდან გზა სამოთხემდი;  
რატომ გიხილე, რად გაგიცანი,  
ახ, ქუთაისში რად ჩამოხვედი?

1964 წ. ოქტომბერი. ქუთაისი.

## ოცეაბა და სინამდვილე

პოეტი ტრფობით ვარდებში დნება,  
და ეშხით უმღერს წარმტაც იდეალს,  
გრძნობა ცივდება,  
ლექსები რჩება  
ტურფა ვარდები სადღაც მიღიან.

ცა დაიქუხებს, გამოფხიზლდება,  
საბრალოს თვალზე ცრემლი ჰკიდია.  
და მაინც სჯერა რომ გათენდება  
გულს ინუგეშებს – „, ღმერთი დიდია!“

დრონი მიღიან, მირაჟი ქრება,  
ოცნებებს ცელავს ყინულის დანა;  
მისთვის ციხეა მთელი ქვეყანა:  
აღარ ჩანს ღმერთი, ავობს სატანა!

4. II. 1964 წ. ქუთაისი.

## თბილისერი მეტამორფოზა

მთაწმინდას დასცექერის ფრესკები ღრუბლის  
ბობოქრობს მტკვარი ისნის ჯიხურთან.  
თბილისმა რისხვით შეიკრა შუბლი –  
არაფრით გულში არ ჩამიხუტა.

პირქუშად შემხვდა დედა ქართლისა,  
გადამალეწა თავზე ფიალა  
და ალესილი ხმალი ბასრისა  
დარდიან გულში დამიტრიალა.

არსაით მესმის ტკბილი ქართული  
მზარავს ლურსმული აქემენიდთა.  
დამბლვერს ვახტანგი ხელშემართული  
ჩათქვირებული სკვითურ ცხენიდან.

ანგელოსებმა ისარი მტყორცნეს,  
მივდივარ მცხეთას ცრემლთა მთოველი,  
მაგრამ გელათის მწირსა და მლოცველს  
ახლოს არ მიშვებს სვეტიცხოველი.

### ანალოგია

წუხელდამ ქარი,  
დაჭრილი ქარი;  
ბნელში მუდარით  
ღმერთს შესჩიოდა...  
ახ, ნეტავ ვინმეს  
გაელო ქარი –  
ხევებში კვნესით  
მიმოდიოდა.

დაჭრილი ქარი,  
მოთქმით და ზარით  
ითხოვდა შველას  
და მაინც არვინ.

გაუღო ქარი,  
წაქცეულს არვინ  
არ მიეშველა!

დაჭრილი ქარი,  
ამაყი ქარი,  
ვგრძნობდი, თუ რარიგ  
დაღონდებოდა.

.....  
მაგონდებოდა  
გულქვა ზამთარი.  
ჩემი წარსული  
მაგონდებოდა.

12. III. 1968 წ. თბილისი, შუალამე.

ო, შემოქმედო, შენს წმინდა ცაჟე  
დამიქარაგმე საღვთო თილისმა,  
რომ უსახლკარო დავით გეწაძე  
გულში ჩაიკრას დედა თბილისმა.

ჩამოჰგუგუნე მაღლით დიდ ხურლას,  
ამიგოს ბინა ნათელ–მზიანი,  
რომ გავახარო როსტომ და ზურაბ  
და ჩემი მართა ბენდელიანი.

ო, მერე ღმერთო, დავდგები ლოცვად  
მაღლა აწვდილი ცისკენ ხელებით  
და შემოგწირავ ყოველდღე კოცნას  
ბაგეთა უხმო ამეტყველებით.

მთაწმინდას ჰუცენის გვირგვინი ღრუბლის,  
ღიღინებს მტკვარი ისნის ჯიხურთან.  
მგონი თბილისმა გაიხსნა შუბლი  
და აპა, გულში მეც ჩამიხუტა.

14. III. 1968 წელი.  
თბილისი.



მივდივარ და ქრება ტანჯვა–წამება,  
თავს მიხრიან იები და ვარდები,  
მივდივარ და არსად არ მეჩქარება  
უკან რჩება დანისლული დარდები.

ამისრულდა ვით ზღაპარში ნათქვამი,  
რაც რომ გულში საოცნებოდ მქონია;  
წამი იყო, რაც ვიცოცხლე აქამდი –  
წინ ჩემი გზა უსასრულო მგონია.

წამო ჩემთან, გადავსეროთ მთა–ბარი,  
ცრემლით რატომ ამოვივსოთ თვალები;  
ხალხს ვახაროთ გამარჯვების ამბავი,  
არ დაცემულს, ვაჟკაცს ვენაცვალები.

მივდივარ და ქრება ტანჯვა–წამება,  
თავს მიხრიან იები და ვარდები;  
მივდივარ და არსად არ მეჩქარება,  
წყალმა ზიდოს დანისლული დარდები.

12.XII. 1971 წ.



\* \* \*

არ მიყვარს, როცა ფოთლები ცვივა,  
ფოთლები ცვივა ჩუმად და წყნარად.  
დამზრალ, გათოშილ ყვავილებს სცივათ  
და ქარი კვნესის გულშესახარად.

არ მიყვარს, როცა ტყე, მინდორ-ველი  
ტყვიისფერ ნისლში ჩაიძირება;  
და სუფევს ირგვლივ სულშემხუთველი  
დუმილი, სევდა და მიძინება.

არ მიყვარს, არა, როცა გულს გვიღრღნის  
ყოფნა-არყოფნის ამაოება  
და ბაგეზე პკლავს უდარდელ ღილინს  
ჰირქუში ზამთრის მოახლოება.

მე მიყვარს, როცა იფეთქებს კვირტი,  
გამოიღვიძებს დედა-ბუნება

და მდინარეთა ცისფერი ზვირთი  
ხევებში ლაღად აგუგუნდება.

მიყვარს, როცა მზე აელვარდება,  
მიწას უღიმის და შუქნათელობს  
და ეფინება ოქროს ვარდებად  
სხივთა კონები მთებსა და მდელოს.

როცა ნიავი ჯეჯილს შეარჩევს,  
განთიადს ხვდება დაფით, ნაღარით;  
როცა სიკვდილი შიშით ცახცახებს,  
სიცოცხლე გრგვინავს ვით ნიაღვარი.

მინდა გაზაფხულს ვუმღერო ჰიმნი  
დაუოკებელ ძალთა მოკრებას;  
ახალგაზრდული ვნებით და ჟინით  
გრძნობათა გიუმაუ აბობოქრებას.

1971 წ. თბილისი.

\* \* \*

იყო და არა იყო რა,  
იყო კამეჩი ნიკორა,  
მოინავარდა მინდვრები,  
ლაფშიაც ბევრი იგორა;

იშრომა, ოფლი დაღვარა,  
მიწა დახნა და დაღარა.  
საკარმიდამო ნაკვეთი  
აქცია წალკოტ-ბაღნარად;

დაზარდა ზორბა ზაქები,  
მთელ ქვეყანაზე საქები,  
„რა ბიჭები ჰყავს ნიკორას!“  
იძახდნენ ამხანაგები.

ბოლოს ძალ-ღონებ იკლო რა,  
დაჩაჩანაკდა ნიკორა  
გაფრინდა წუთისოფელი...  
იყო და არა იყო რა!

10 – 18. X. 1978 წ.



## ადამიანები ჩვენს გვარდით ანუ აძალვი დიღი სახლის პატარა დიასახლისისა

უჩვეულო არაფერი მომხდარა: უბრალოდ, მეგობარმა მთხოვა ჩემს ახლობელთან შევიაროთო. პირველი სკოლის შენობაში ვიწრო, გრძელ კიბეებს მეორე სართულისკენ ავუყევით. მერე ასევე ვიწრო დერეფანი გავიარეთ (ბინა კომუნალური გახლდათ) და სასურველ კარს მივადექით.

მასპინძელი ასაკოვანი სიმპათიური ქალბატონი აღმოჩნდა. ჩვენმა დანახვამ დიდად გაახარა და შინ გულიანად შეგვიპატიცა.

ეს იყო ამალია დეიდას მისაღებიც, სასტუმროც და საძინებელი ოთახიც.

მიუხედავად ამისა, აქ ჭვიანი პატრონის განკარგულებით ყველაზე დიდი და საპატიო ადგილი მის აღმატებულება წიგნებს ეჭირათ, რომლებიც ოთხივე კედელზე განთავსებულიყვნენ. ქალბატონმა ამალიამ ჩემი დაინტერესებული მზერა დაიჭირა (გულისტქმას თუ მიმიხვდა) და საუბარიც ასე აეწყო:

— რას ფიქრობ, შვილო, ბევრი წიგნია, ვითომ?

— საქმაოდ ბევრი. მდიდარი ბიბლიოთეკა გქონიათ.

— ეჱ, რა ვიცი. ჯერჯერობით კიდევ არა უშავს... შენ ადრე უნდა გენახა, იატაკიდან ჭერამდე სულ სავსე იყო წიგნებით (ძალზე მაღალჭრიანი ბინაა, როგორც ეს ძველად ნაგებ შენობებს სჩვევიათ).

— მერე და რა იქნენ?

— რა და, დავყიდე (სინაულით ამბობს). აბარა მექნა, ძალიან მიყვარდა, მაგრამ შეველიე. მაგ წიგნებმა გადამარჩინეს, თორემ თოთხმეტლარიანი პენსია მეყოფოდა თვიდან თვემდე? (ქალბატონი ამალია მარტო ცხოვრობს, თუმცა გულისხმიერი მეზობლების წყალობით, მარტოობას ნაკლებად განიცდის).

— წიგნებს თქვენ იძენდით, თუ ოჯახის სხვა რომელიმე წევრი?

— მეც, რა თქმა უნდა, მაგრამ უფრო ჩემი და ელენე კინწურაშვილი, რომ იტყვიან, გადამკვდარი იყო წიგნებზე. მთელი ცხოვრება სწავლას შესწირა, ოჯახიც არ შეუქმნია. (ცნობისათვის: „წიგნი ხსოვნისა“ — ში, რომელიც გამოჩენილ ქუთათურებს ეძღვნება, ვკითხულობთ: „ელენე კინწურაშვილს თითქმის მთელი ქუთასი იცნობდა. მის აღზრდილთა სიას უამრავი შესანიშნავი სპეციალისტი ამშვენებს. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდას შეაღია...“)

— თქვენს ბიბლიოთეკას სხვადასხვა პრო-

ფილის წიგნები ამშვენებს (ფიზიკის, მათემატიკის, ბიოლოგის, ფილოსოფიის, ისტორიის, მსატვრული ლიტერატურის...), ამიტომ გამიჭირდა გამომეცნო წიგნის მფლობელთა პროფესია.

— მე ქუთასის ყოფილი პედაგოგიური ინსტიტუტი დავამთავრე დაწყებითი მეთოდიკის განხრით. ჩემმა დამ ამავე ინსტიტუტის ფიზიკა—მათემატიკის ფაკულტეტი. შემდეგ ამ ფაკულტეტის დეკანის მოადგილედ მუშაობდა (1939 — 41) ნლებში. იყო ფიზიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი. სხვათა შორის, ეს ბინა მას, როგორც ინსტიტუტის თანამშრომელს მისცეს... აუჰ, რა ხალხი ცხოვრობდა აქ?!

— მაინც, ვინ ცხოვრობდნენ, ქალბატონი ამალია?

— ჩამოგითვალოთ?.. რომ გამომრჩეს, სირცხვილია, იმიტომ, რომ ერთმანეთზე უკეთესები ცხოვრობდნენ: ალექსანდრე მიქელაძე (ამ ბინის ერთ—ერთი პირველი მცხოვრები), ანგია ბოჭორიშვილი, დავით მაჭავარიანი, ჯვებეროგავა, მიხეილ ზარქუა, გივი ჩხაიძე, დავით გაბრიაძე, არჩილ ებრალიძე, კონსტანტინე მეძველია, დიმიტრი იაშვილი, გიორგი კოკოჩაშვილი, ნიკო ქუთათელაძე, დავით ხეცურიანი, ელენე კინწურაშვილი, გიორგი მჭედლიძე.

ესენი კი გეცოდინება — ზოგი დიდი ბიოლოგი იყო, ზოგი ფსიქოლოგი, ფილოლოგი, ფიზიკოსი, ისტორიკოსი...

— დასახელებული ლექტორებიდან რომელიმე თუ გასწავლიდათ?

— კი, დავით გენაძე და ანგია ბოჭორიშვილი, მაგრამ არ გეგონოთ, რაიმე პრივილეგია მქონდა — ინსტიტუტში მეზობლობას ვივინყებდით, იქ სტუდენტი ვიყავი და არა მეზობელი.

— შინ მეზობლობა „ახსენდებოდათ“ თუ მხოლოდ ლექტორები იყვნენ?

— ახსენდებოდათ? თქვენ გვინიათ ამპარტავნობდნენ, ქედმაღლობდნენ — არიქა, მე მეტი ვიცი ან უფრო დიდი ჩინოსანი ვარო? არავითარ შემთხვევაში. რამდენადაც მკაცრნი ჩანდნენ ინტიტუტში, იმდენად გულლია, თბილი ადამიანები — შინ. თვემდაბლობა უყვარდათ, ხმაუმაღლებელი საუბარი (ჩხუბი და კინკლაობა გამორიცხული იყო). სამსახურიდან რომ მოვიდოდნენ, დერეფანში თავშეყრა იცოდნენ, ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ. რა სჯობდა მაგათ გვერდით ყოფნას... საღამობით გაიკრიფებოდნენ თავ — თავიანთ ოთა-

ხებში და გვიანობამდე, ღამის 3 — 4 საათამდე მუშაობდნენ.

— თავაზიანობა — გულითადობით რომელს გამოარჩედით?

— ვერც ერთს. მაგენი ერთი ტიპის, ერთი ჯიშის ხალხი იყვნენ. ერთი ოჯახი ვიყავით, რა... ერთი დიდი ოჯახი...

— ერთი უთხარი, ამალია, ვინ იყო ამ დიდი ოჯახის საყვარელი დიასახლისი? — საუბარში ერთვება ჩემი მასპინძლის სიყრმის მეგობარი და მეზობელი პროფესორ გიორგი მჭედლიძის და ნუნუ მჭედლიძე. ქალბატონ ამალიას ელიმება და ჰასუხს თავს არიდებს,

— თქვენ იყავით? — ვეკითხები.

— ჴო, გემრიელი კერძების მომზადება მე-მარჯვებოდა, თანაც ხშირად შინ ვიყავი, ამიტომ სიამოვნებით ვუსრულებდი სურვილებს დავით მაჭავარიანს, დავით გენაძეს, ანგია ბოჭორიშვილს (სხვებსაც) ვინმე რომ ესტუმრებოდათ, არიქა ამალია, გვიშველე რამეო და დიდი პურმარილი იმართებოდა (რომელ-საც უკლებლივ ყველა მეზობელი ესწრებოდა), ხომ გეუბნებით, ერთი ოჯახი გვქონდა — ოჯახის წევრებივით ვესაუბრებოდით ერთმანეთს, რჩევებსაც ვთხოვდით, ბავშვებსაც ხშირად მიტოვებდნენ. სამაგიეროდ, ჩემზეც ძალიან მზრუნველობდნენ. თუ შემაგვიანდებოდა, შფოთავდნენ. ერთხელ ბატონი ანგია მეუბნება: „რომ არ მოხვიდე, სად გეძებოთ, რა ვქნათო? — რა ქენით და, ხმა არ ამოილოთ — თქო, ვურჩიე და კვდებოდა სიცილით. ეს ჩვენი ამალია რა ეშმაკი ყოფილაო... (ვხუმრობდით).

— იუმორში ვინ ვის ჯაბნიდა, ვინ იყო ყველაზე ენაზყლიანი?

— ყველა ერთნაირად ხალისობდა, მაგრამ დავით გენაძის ერთ ამბავს გავიხსენებ. მოგეხსენებათ, ის ფილოლოგი იყო და სიტყვაც უჭრიდა და კალამიც.

ორი ქათამი მყავდა, საწყლებს საქათმე არ ჰქონდათ და ზამთარში ხეზე უნევდათ ყოფნა. დილით გავიღვიძე და კარებში ვხედავ ფურცელს, რომელზეც საკმაოდ დიდი ლექსი წერია:

## ამალიას ცავა-დედოფალს

ამალიას დედალს, მამალს,  
არ აქვს სახლი, არ აქვს ბინა  
და ორივემ ცივ ზამთარში  
გამხმარ ტოტზე დაიძინა!  
აწუწულა დედოფალი,  
გულმოსული ყივის სიძე  
ბინის ორდერს მათ არ აძლევს

არც ჩხობაძე, არც ტაკიძე.  
ახლა ადგილს დაეძებენ,  
ახლოს უნდათ, განა შორსა?  
მაგრამ, თურმე ამ საქმეში  
ფული დიდ როლს თამაშობსა.  
მოირბინეს მეზობლები,  
უბნები და გზატკეცილი;  
თანხა ბევრი შეაგროვეს  
ჯიბეში აქვთ ჩაკეცილი.  
ახლო ხანში მამლაყინწა  
წამოსჭიმავს კოხტა ქოხსა.  
მხარ-თეძოზე წამოწვება  
შემოსძახებს ყიყლიყოსა!  
წარსულ დარდს და გაჭირვებას  
წაესმება წამალია;  
დედალ — მამალს ქოხში ნახავს  
გაიხარებს ა-მ-ა-ლ-ი-ა.

## დათა გეწაძე,

დაწერილია 1965 წლის ცივ ზამთარში.

(ამ ხელნაწერს აგერ უკვე 31 წელია სასოებით ინახავს ნეფე — დედოფლის ჭირისუფალი)

— ქალბატონი ამალია, ასეთი ადამიანების მეზობელი საპროტექციოდ არასოდეს შეუწუხებიხართ?

— არასოდეს. — იქნებ იმიტომაც, რომ იცოდნენ მათთან არაფერი გაუვიდოდათ. დავით მაჭავარიანთან ან ანგია ბოჭორიშვილთან გაბედავდნენ საპროტექციოდ მისვლას? გამორიცხული იყო. დავით გენაძემ იცოდა გაფრთხილება — „გამოცდების დროს თუ დამირეკონ, არ ვარ სახლშიო“.

— შემდეგ ამ დიდი ოჯახის წევრები ცხოვრებამ სხვადასხვა გზაზე გარიყა, არა?

— ბევრი მათგანი თბილისში გადავიდა სამოღვაწეოდ. ზოგი გარდაიცვალა... ჴო, სამწუხაროდ კარგი ოჯახი დაიშალა, მაგრამ ალბათ ასეც უნდა მომხდარიყო. როგორც ოთარ ჭილაძე ამბობს: „ყველას თავისი გზა ელოდება და ყველამ მარტო უნდა გაიაროს იგი“.

## ელისო ტყეშელაშვილი

თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“  
ქუთაისი. 2001 წელი, 11–17 ივნისი.



ნიკორწმინდა. 1970 წ. ოქტომბერი.  
თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი (საღ. განყ.) || კურსი

## რეცენზია ლექსად დავით ვარლამის ემ ჯანელიძისაგან

რა წიგნი დაგიწერია –  
რუსთველის სამჯობინარე;  
ნიაგარიგით მოლელავს  
იაგუნდების მდინარე.

მგოსანო, შენი სახელი  
მუდამ იქნება წინარე.  
მერანს უცხუნე მათრახი,  
გამარჯვებისკენ წინ არე!

უკვდავი შემოქმედების  
გადაშლილია წინ არე;  
მუზას შენჯლრევა უხდება,  
დაგიჩლუნგდება მძინარე.

ვენაცვალები ზურმუხტ-ლალს,  
ჩაჭედილს მაგ შენს ენაში.  
მადლიან ვაზად შრიალებ  
ქართული სიტყვის ვენახში.

შენთა რითმათა ლაპლაპი  
ნურც გაქრეს უამთა დენაში.  
მეც პოეზიის მთებს ვუტევ  
და გეჯიბრები რბენაში.

სივრცენი გადარღვეულან  
ჩემი ქურანის ფლოქვითა –  
ნიკოლოზ ბარათაშვილის  
ვალები სულ გამოქვითა.

ვისურვოთ ცისარტყელასაც  
გადავხვეტო ნეკის მოსმითა;  
აყვავდა ლიტერატურა  
ორი დავითის მოსვლითა!

დ. ვ. ჯანელიძე

29. III. 1957 წელი, ქუთაისი.

\* \* \*

დავით გენაძეს პოეზია ძლიერ უყვარდა. სალალობო ლექსებსაც წერდა. ქართული ენის სტრუქტურის ნიჭიერი მკვლევარი გახლდათ. მრავალი საყურადღებო ნაშრომი დაგვიტოვა.

მარტო მისი სადოქტორო დისერტაცია რად ღირს. იგი ხომ ფუნდამენტური გამოკვლევაა სულხან—საბა ორბელიანის ენისა და სტილის შესახებ.

დავითი მადლიანი ადამიანი იყო — წრფელი, პირდაპირი, გულლია. გონიერივი და ფიზიკური შრომა თავდაუზოგავი იცოდა, ეგონა ვერაფერი მოერეოდა. გარდაცვალებამდე ორიოდე თვით ადრე ვნახე, ვისაუბრეთ. წამიკითხა თავისი ლექსი, რომელსაც „ავანტურა“ ერქვა.

ეს მისი თავგადასავალი იყო. საკუთარი თავი ნიკორა ხარის სახით ჰყავდა გამოყვანილი, ხარისა, რომელმაც დაზარდა „ორი მოზვერი, კარგები, ართუ ავები“. სამწუხაოდ, ეს ლამაზი ლექსი აღარ მახსოვეს. ლექსის სევდიანმა კილომ კი ცუდი წინათგრძნობა გამიჩინა, გულდამძიმებული დავშორდი.

სულ მალე, მოულოდნელად გარდაიცვალა. სიკვდილმა ფეხზე მყოფს მოუსწრო და ზესტაფონში თავისი ალალი შრომით აშენებული სახლის კიბეზე წააქცია...“

**ლეილა კვანტალიანი.**



შეხვედრა თბილისის 134-ე სკოლის მოსწავლეებთან. 1977 წ პროფესორი დავით გენაძე. აკადემიკოსი შოთა ძიძიგური



დავით ოქროპირის ძე გერამე იქროპირ დარისბანის ძე გერამე



დედმამიშვილები  
დავით, გოგოცა, ლენა, ირა, კოტე და ბიჭიკო გერამები



1943 წ.

თბილიშე  
სასახლე უნივერსიტეტი  
საქართველოს  
მთა უკანას შემა  
დაუკავშირებელ კურსი



დავით, გუგულა და კოტე გერამები



დავით და კოტე გერამები



ვაკე სასურალი, სომხეთი



ოლია გორდეზიანი, ლენა, ბიჭიკო, დავით, რაჟდენ, კოტე და კოტე გერამები





ISBN 978-9941-0-0519-0

A standard linear barcode representing the ISBN number 978-9941-0-0519-0.